ლელო
პალიტრა მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 დეკემბერი **სამშაბათი** 2009
№307 (12986) ფასი 60 თეთრი




## სიღნაღავას ფოკუსი

როგორ გავისტუმროთ მილიონები

რატომ წავიდა გეგეჭკორი?

ამბავიონი » გვერდი 2

# მედიარჩეულნი

# აქაც ყველაფერი ცხადია



**გუშინ იყო... გუშინ**

» გვერდი 3


მანუჩარ ცხადაია

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვა**

1. მანუჩარ ცხადაია
2. ნინო სალუქვაძე
3. კობა ფხაკაძე
4. ვიქტორ სანიკიძე
5. ალბერტ კუზილოვი
6. ვარლამ ლიპარტელიანი
7. გიორგი გოგშელიძე
8. ზაზა ფაჩულია
9. ნანა ძაგნიძე
10. უშანგი კუზანაშვილი

**ყველა დროის ლაურეატები**

» გვერდი 13



## ბექჰემი მილანში ჩავიდა

„მილანში" დევიდ ბექჰემის გამოცხადებული დაბრუნება გუშინ შედგა. ინგლისელი ნახევარმცველი ვარეზესთან ახლოს კარნაგოს საწვრთნელ ცენტრში მივიდა. 34 წლის ბექზი „როსონერიში" სეზონის ბოლომდე დარჩება, მერე კი... აი, მერე იმედი აქვს, რომ ფაბიო კაპელო მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. ჰოდა, იმიტომაც ეშურებოდა ევროპაში დაბრუნებას, ნაკრების მწვრთნელის ხშირი მეთვალყურეობის ქვეშ რომ იყოს და ეგებ, მეოთხედაც ითამაშოს მუნდიალზე...

ქართული ფეხბურთი

ალმასკომის სხდომა

# სიჭინავას ფოკუსი

## ვალიდან 3 მილიონზე მეტი გასტუმრებულია. ვინ შეცვლის გეგეჭკორს ალმასკომში?

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წლის ბოლო თავყრილობა გაიმართა. მოდით, ჯერ დღის წესრიგს შეგახსენებთ და მერე თითოეულ საკითხზე დეტალურად გიამბობთ.

**1. დამოუკიდებელი აუდიტის საბოლოო დასკვნა ფეხბურთის ფედერაციის მდგომარეობის შესახებ;**

**2. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" განცხადების განხილვა მეკარე გრიგოლ ჭანტურიას საკითხთან დაკავშირებით;**

**3. რეგიონული ფეხბურთის ფედერაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;**

**4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუდმივმოქმედი კომიტეტების შესახებ;**

**5. სხვადასხვა.**

დავიწყოთ აუდიტის დასკვნითა და ვალებით. სხვათა შორის, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ვალების ნაწილი უკვე დაფარა - ლაპარაკია დაახლოებით 10 მილიონი ლარიდან 3 563 789 ლარის გასტუმრებაზე. ეს რაღაც ფოკუსს ჰგავს. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** განაცხადა, ვალის ნაწილი გაირკვა, „ზესტაფონს" განაჩენის გასაჩივრება კერძო სპორტულ არბიტრაჟში შეუძლია. ეს უწყება მალე ოფიციალურად დარეგისტრირდება და სწორედ მსგავსი სადავო საკითხების შესწავლა-გადაწყვეტით დაკავდება.

რეგიონულ ფედერაციებს სფფ-სგან კუთვნილი თანხები აქვთ მისაღები. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა „ლელოს" უთხრა, რეგიონული ფედერაციები ამ თანხებს იანვრის პირველ ნახევრამდე მიიღებენ.

ფეხბურთის ფედერაციის მუდმივმოქმედი კომიტეტიდან გუშინ მხოლოდ ორის - იურიდიული და სამსაჯო კომიტეტის შემადგენლობები დამტკიცდა. იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელის **მურად ანჯაფარიძის** მოადგილე **გიორგი რევაზიშვილი** იქნება. კომიტეტის წევრებად დამტკიცდნენ **ლევან გორხელაშვილი, რევაზ შენგელია** და **კესო ჩხიკვაძე**. სამსაჯო კომიტეტს რომ **სერგო კვარაცხელია** უხელმძღვანელებდა, ესეც ნოემბერში გადაწყდა. მისი მოადგილე **ლევან ფანიაშვილი** იქნება, ხოლო კომიტეტის წევრები - **ოთარ გუნთაძე, მერაბ მალალურაძე** და **ანატოლი მილჩენკო** იქნებიან.

გუშინ ალმასკომს წერილობით მიმართა მისმა ერთ-ერთმა წევრმა **გიორგი გეგეჭკორმა**, რომელ-

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



მარცხნიდან: რევაზ არველაძე, ზვიად სიჭინავა, ალექსანდრე ჩივაძე გუშინდელ ალმასკომზე

უეფას, სახელმწიფოსა და სპონსორების დახმარებით დაიფარა. მისივე თქმით, გასასტუმრებელი დარჩა 6 798 167 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვადასხვა ორგანიზაციისა და ფედერაციის თანამშრომელთა დავალიანება უკვე გადახდილია და უახლოეს დღეებში ამ დავალიანების მნიშვნელოვან ნაწილსაც გაისტუმრებენ.

სიჭინავამ ისიც თქვა, რომ ფედერაციის ანგარიში დაყადაღებული აღარ არის. თუმცა აუდიტის საბოლოო დასკვნის საფუძველზე ვალი გაიზარდა - ფედერაციას კომპანია „ინფრონტის" (რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩების უცხოეთში ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება აქვს) კიდევ 300 ათასი ევრო მართებს. ამის თაობაზე ფედერაციამ „ინფრონტისგან" ოფიციალური წერილიც მიიღო.

აუდიტი ვახსენეთ და, ანალოგიური შემოწმების დასკვნები ალმასკომზე რეგიონულ ფედერაციებსაც უნდა წარმოედგინათ, მაგრამ დასკვნას ვინ ჩივის, სახსრების უქონლობის გამო აუდიტი არც ჩატარებულა.

რაც შეეხება მეორე საკითხს. ფედერაციის ალმასკომმა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" მისი ყოფილი მეკარე **გრიგოლ ჭანტურიასთვის** (რომელიც ამჟამად რუსთავის „ოლიმპში" თამაშობს) კონტრაქტის ვადაზე ადრე გაწყვეტის გამო, 7 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. იმერული კლუბი ამ ვერდიქტს არ დაეთანხმა და განცხადებით მიმართა ალმასკომს იმის თაობაზე, თუ რომელ ინსტანციაში შეეძლო ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება. როგორც

მაც ამ ორგანოს დატოვება გადაწყვიტა და ეს მოუცლელობით ახსნა. ალმასკომმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა, შესაბამისად, ასარჩევია ახალი წევრი. როგორც სიჭინავამ გვითხრა, ალმასკომის მე-19 წევრის ვინაობა რამდენიმე კვირაში გაირკვევა.

გაცხადდა ისიც, რომ ფეხბურთის ფედერაციამ მილიონი ლარის ღირებულების სავარჯიშო ინვენტარი შეიძინა. ამ ინვენტარის ნაწილი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დაიდებს ბინას და მას ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებები გამოიყენებენ. ნაწილი კი იმ საფეხბურთო სკოლებს გადაეცემათ, რომლებიც ინფრასტრუქტურის მიხედვით სათანადო ნორმებს აკმაყოფილებენ.

ალმასკომმა დააკმაყოფილა ფედერაციის პრეზიდენტის თხოვნა ფეხბურთელების შეწყალების შესახებ. შესაბამისად, მოთამაშეებს, რომლებსაც დისკვალიფიკაციის გამო მატჩების გამოტოვება უწევდათ, სეზონის მეორე ნახევარში თამაშებს აღარ გამოტოვებენ.

„ლელოსთან" საუბარში სიჭინავამ ისიც აღნიშნა, რომ ეროვნული ნაკრების გენერალურ სპონსორს, სააქციო საზოგადოება „მადნეულს" შორის პარტნიორობა ჩვეულებრივ გაგრძელდება. იანვარში სიჭინავა და **რევაზ არველაძე** გერმანიაში გაემგზავრებიან და სპორტული ეკიპირების მწარმოებელ კომპანია JAKO-სა და სხვა ფირმების წარმომადგენლებს შეხვდებიან.

**დავით ცაბაძე**

ბენდელას თასი


დინამომ 2009 წელი გამარჯვებით დაასრულა

# ლამაზი დასასრული

..."დინამოს" შეხვედრის ბოლო წუთები ინურება, ქართული ფეხბურთის გრანდი „უნივერსიტეტს" 3:2-ს უგებს, დაძაბულობამ პიკს მიაღწია... და ამ დროს, დინამოელმა **ვაჟა ნემსაძემ** ზუსტი დარტყმით წერტილი დაუსვა თამაშს - 4:2 და „ბენდელას" თასის XVIII გათამაშების გამარჯვებული თბილისის „დინამო" გახდა.

„ბენდელას თასს" ასეთი დაძაბული და ლამაზი ფინალი კარგა ხანია არ ჰქონია. თავიდან თამაში „უნივერსიტეტის" (**ლევან ცქიტიშვილით** გაძლიერებული ფუტზალის ნაკრები) უპირატესობით მიმდინარეობდა. **ლევან კობაიძემ** ანგარიში რთული მდგომარეობიდან დარტყმითა და ულამაზესი გოლით გახსნა.

მართალია, დინამოელებმა ფინალამდე რამდენიმე შეხვედრა გამართეს, მაგრამ დიდი ფეხბურთიდან მინიზე მხოლოდ ტაიმის მიწურულს გადაერთვნენ და უპირატესობასაც დაეუფლნენ. ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი ჰქონდათ **დონალდ ჯუსსა** და **გიორგი მამუჩიშვილს**, სახიფათოდ ურტყამდა **გურამ კაშიაც**, მაგრამ ტაიმი „უნივერსიტეტის" გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი ტურნირის ნამდვილი მშვენება გახდა. „დინამომ" უპირატესობა უფრო გაზარდა და მწვავედ შეუტია. ერთ მომენტში მეკარემ ჯუსს კი აჯობა, მაგრამ იქვე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **გიგა წენგუაშვილმა** კარში ზუსტად გაგზავნა - 1:1.

გოლმა ფინალის ხარისხზე დადებითად იმოქმედა, თამაში გაიხსნა... მალე **გიორგი გეთიაშვილი** მოწინააღმდეგეს გასცდა და მამუჩიშვილმა რთული პოზიციიდან თავისიანები დააწინაურა - 2:1. როგორც იტყვიან, „დინამომ" აიწყვიტა და სწრაფი კონტრშეტევა ამჯერად მეკარესთან პირისპირ გასულმა ჯუსმა დააგვირგვინა - 3:1.

„უნივერსიტეტი" გამოფხიზლდა და აგრესიულად შეუტია: ცქიტიშვილმა ორი მცველი ჩამოიტოვა და ახლო მანძილიდან დაარტყა - ბურთი მიზანს სანტიმეტრებში ასცდა. შემდეგი შეტევა კი შედეგიანი გამოდგა - უნივერსიტეტელმა **რატი ხოსრუაშვილმა** დარტყმისას კარი „ჩაკეტა" და ახლო მანძილიდან ანგარიში შეამცირა - 3:2.

„უნივერსიტეტმა" დაწოლა უფრო გააძლიერა: მიყოლებით ვიხილეთ **ავთო ასათიანისა** და ცქიტიშვილის სახიფათო დარტყმები, „დინამო" კი სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდა. კარგად თამაშობდა წენგუაშვილი, რომელმაც მოწინააღმდეგეს უამრავი პრობლემა შეუქმნა. ჯერ მისი დარტყმა მოიგერია მეკარემ, შემდეგ კი მისივე გადაცემით მეკარესთან პირისპირ ჯუსი გავიდა, მაგრამ რეალური მომენტით ვერ ისარგებლა.

ბოლო კი უკვე იცით... ერთი სიტყვით, „ბენდელა" „დინამომ" მოიგო. მესამე ადგილზე „სამედიცინო უნივერსიტეტი" გავიდა, რომელმაც „ოზურგეთი" 7:4 დაამარცხა. ბავშვთა ტურნირის გამარჯვებული კი გახდა „ოლიმპი", რომელმაც „მერანს" 2:1 მოუგო.

ტურნირის გვირგვინი იყო დაჯილდოება - ორგანიზატორებმა საუკეთესო მოთამაშეებისთვის განკუთვნილი პრიზები გაანაწილეს. საინტერესოა, რომ საუკეთესო თავდამსხმელი თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** გახდა, რომელმაც ფინალი საპატიო მიზეზით გამოტოვა, მანამდე კი ძალიან კარგად ითამაშა და აღიარებაც დაიმსახურა. ბოლოს კი ტურნირის ნომინანტებსაც გაგაცნობთ.

მეკარე - **გიორგი ნადირაძე** (თბილისის დინამო)
მცველი - **გურამ კაშია** (თბილისის დინამო)
გამთამაშებელი - **კახა ახალაძე** (თსუ)
თავდამსხმელი - **კახა კაჭარავა** (თბილისის დინამო).
გოლი - **ლევან კობაიძე** (თსუ).
ბომბარდირი - **დონალდ ჯუსი** და **გიგა წენგუაშვილი** (5-5 გოლი)
საუკეთესო ფეხბურთელი - **ლევან ცქიტიშვილი**

**მერაბ მამულაშვილი**



ფინალური მატჩის მომენტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ამბები

## კვირკველია: ამქარი, როსტოვი, ანჟი... თუ ისევ რუბინი?

რუსული პრემიერლიგის 2009 წლის სეზონში დავით კვირკველიას ყაზანის „რუბინის" შემადგენლობაში სტაბილურად არ უწევდა თამაში. დასანანია ისიც, რომ კვირკველია ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისთვის „რუბინის" მიერ წარდგენილ განაცხადშიც არ ყოფილა შეყვანილი. რუსეთში ჩემპიონატის დასრულებიდან რამდენიმე კვირა გავიდა და უკვე არაერთ სავარაუდო თუ მოსალოდნელი ტრანსფერზე დაიწერა. რუსული წყაროების ინფორმაციით, არც ისაა გამორიცხული, რომ ყაზანელებმა კვირკველია გაანათხოვრონ. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზეა. თუ მოთამაშეს არ უნდა კლუბის შეცვლა, მას ამას ვერავინ დააძალებს.

ერთი სიტყვით, თუ დათო კვირკველიას განათხოვრების საკითხი რეალურად დადგა დღის წესრიგში, მაშინ დათოს მართლაც რომ ასარჩევად ექნება საქმე. როგორც გავიგეთ კვირკველიას დამატებით რუსული პრემიერლიგის სამი კლუბია დაინტერესებული. ჩვენი ინფორმაციით, ქართველით პერმის „ამკარი", „როსტოვი" და მთავარ ლიგაში ალზევებული მახაჩყალის „ანჟია" დაინტერესებული. თუმცა თავად ფეხბურთელს ყაზანიდან წასვლის შესახებ არაფერი უთქვამს.

დავით ცაბაძე

## ლივორნოს პრეზიდენტი: მჭედლიძე? 6 იანვრის შემდეგ...



„პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ „ლივორნოს" მეპატრონე ალდო სპინელის, ორ ფეხბურთელთან ერთად, ლევან მჭედლიძის იჯარაც რომ შესთავაზა, იტალიურმა ვებგვერდებმა ეს ერთი კვირის წინ დაწერეს. გუშინ „ლივორნოს" შეფმა mediterraneonline.it-ს ასეთი კომენტარი მისცა:

„მჭედლიძე? ვნახოთ... იცით, 6 იანვრამდე შვებულებაში ვარ და მანამდე არაფერი გადაწყდება. 6 იანვრის შემდეგ კი... მოდი, დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება", - მოკლედ მოჭრა სპინელიმ.

იტალიის ჩემპიონატიც სწორედ 6 იანვარს განახლდება. ამ დღეს „ლივორნო", რომელიც მე-15 ადგილზეა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, ცხრილში მეზობლად მყოფ „ლაციოს" სტუმრობს. აპენინელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ლივორნო" სწორედ 6 იანვრამდე განახორციელებს ტრანსფერებს და აქ სპინელის შვებულებაში ყოფნა არაფერ შუაშია. როგორც ხედავთ, „ლივორნოს" პირველკაცი საქართველოს ნაკრების ფორვარდისადმი ინტერესს არ უარყოფს. თუმცა მთავარი ისაა, რა აზრის არის თავად მჭედლიძე, რომელიც „ემპოლიდან" „პალერმოში" მიმდინარე სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული.

დავით ცაბაძე

## თარგამაძეს კარლსრუე ეპატიჟება

როგორც „ლელოს" მკითხველმა იცის, დავით თარგამაძეს, რომელსაც „ფრაიბურგში" სათამაშო პრაქტიკა აკლია, განათხოვრებით სხვა გუნდში სურს თამაში. სავარაუდოდ, იგი სეზონს მეორე ბუნდესლიგაში ჩაამთავრებს. როგორც შევიტყვეთ, ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველის მსურველთა შორის ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუეცაა". თარგამაძემ ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა, მაგრამ გვითხრა, რომ საბოლოოდ მაინც არ გადაწყვეტილა, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. მან დანამდვილებით მხოლოდ ის იცის, რომ „ფრაიბურგთან" კონტრაქტს არ გაწყვეტს და მომავალი ზაფხულიდან კიდევ ერთხელ შეეცდება იქ დამკვიდრებას.

მიმდინარე ბუნდესლიგაში თარგამაძემ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა და ორივეჯერ შეცვლაზე ითამაშა. „ფრაიბურგის" მთავარი გუნდის შემადგენლობაში მას სულ 8 შეხვედრა აქვს გამართული.

ლევან ჯანეზაშვილი

## აკობია ისრაელიდან ელის...

როგორც ლევან აკობიამ გვითხრა, მისით ერთ-ერთი ებრაული კლუბია დაინტერესებული. „როგორც მეუბნებიან, ისრაელში გადასვლა სავსებით რეალურია. ყველაფერი ორ-სამ დღეში უნდა გაირკვეს. იმედია, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, თუ არადა, 5 იანვარს „ულისეს" შეკრება ეწყება და ერევანში ჩავალ", - გვითხრა ქართველმა მცველმა.

შეგახსენებთ, გასული სეზონი მან ერევნის „ულისეს" შემადგენლობაში გაატარა, მაგრამ იქ დარჩენა აღარ სურს და უფრო ძლიერ ლიგაში აქვს კარიერის გაგრძელება გადაწყვეტილი.

ლევან ჯანეზაშვილი

## რატომ ჩავიდა ახალკაცი ზესტაფონში?

როგორც გავიგეთ, ამასწინათ ზესტაფონში ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გამოჩენილა. ბუნებრივია, დავინტერესდით ამით და „ზესტაფონის" მესვეურ ილია კოკაიას მივმართეთ.

„ჩვენ სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტს ვახორციელებთ. ბუნებრივია, გვინდა, რომ ჩვენი არენა ფიფასა და უეფას მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. გარდა ამისა, სტადიონის მარკეტინგიც გამორჩეული უნდა იყოს. სწორედ ამ საკითხებზე მუშაობს ინგლისური კომპანია FMMI, რომლის წარმომადგენლები ზესტაფონში სწორედ ნოდარ ახალკაცთან ერთად ჩამოვიდნენ. ახალკაცი კვლავაც ფეხბურთში რჩება. ის ხშირადაა უეფას დელეგატი ჩემპიონთა თუ ევროპის ლიგის მატჩებზე, მუშაობს ფიფაში და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც გახლავთ. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო საკითხებში ისიც კარგად არის ჩახედული და ამიტომაც გვსტუმრობდა ინგლისური კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად. ეს იყო და ეს", - გვითხრა კოკაიამ და იქვე სატრანსფერო თემაზეც რომ ვკითხეთ, ესეც დასძინა:

„თუ სადმე კარგ ფეხბურთელს ვნახავთ, აუცილებლად გავძლიერდებით. თუმცა ჩვენი ლიდერების დათმობას არ ვაპირებთ. იანვარში გუნდი ანთალიაში წავა მოსამზადებელ შეკრებაზე. სხვათა შორის, ჩვენი პარტნიორები უცხოელ ფეხბურთელებს გვთავაზობენ და მათაც დავაკვირდებით".

დავით ცაბაძე

პრეზენტაცია



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# გუშინ იყო... გუშინ

## ანუ, სიზმარი რეალობაში: ხელისუფლება და ოპოზიცია რიგში ერთად იდგნენ

გინახავთ ავტოგრაფის მისაღებად ერთ რიგში ჩამდგარი ხელისუფლება და ოპოზიცია? გუშინ ასეთ იშვიათ სცენას „შერატონ მეტეხი პალასში", შოთა არველაძის წიგნის („გუშინ") პრეზენტაციაზე ხდებოდა - გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, გოკა გაბაშვილი, გია ცაგარეიშვილი თავიანთ რიგსა და შოთას ავტოგრაფს მოთმინებით ელოდნენ...

ვის არ ნახავდით პრეზენტაციაზე - მსახიობებს, ძველი და ახალი ფედერაციების წარმომადგენლებსა და პრეზიდენტებს, მსახიობებს, ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებზე უკვე მოგახსენეთ...

წიგნის ავტორი ყოფილი ჟურნალისტი და ამჟამად „ვიტ ჯორჯიას" სპორტული დირექტორი დავით თავართქილაძე გახლავთ: „იდეა ჩემი იყო. დილმის ბაზაზე შოთას ინტერვიუზე შევხვდი და ეს იდეაც სწორედ იმ დღეს დაიბადა. დაფიქრდა და მოეწონა. წიგნის დაწერა რთული იყო - მე თბილისში ვიყავი, ის გლაზგოში, შემდეგ ჰოლანდიაში... თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა. იმედია, შოთას სხვა ცნობილი ფეხბურთელებიც მიბაძავენ, რადგან ეს არის გულშემატკივრებთან ურთიერთობის ფორმა", - ამბობს თავართქილაძე.

პრეზენტაციაზევე უამრავი წიგნი გაიყიდა. იქვე საღამოს გმირს ვესაუბრებით...

**- შოთა, იმდენი წიგნი გაიყიდა, შესაძლოა, წლის ბესტსელერიც გახდეს...**

- სხვათა შორის, არ გამკვირვებია, რადგან უამრავი მეგობარი, ახლობელი და ფეხბურთის გულშემატკივარი მოვიდა. ალბათ, მათთვის საინტერესოა, რა ხდებოდა ჩემი დროის ფეხბურთში. თანაც, წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებისთვის დაიხარჯება. ეს კი ქართველის სისხლშია და ხალხმა წიგნი მასიურად შეისყიდა.

**- კონკრეტულად, რა მიზნით დაიხარჯება?**

- „არველაძეების ფონდი" აქამდეც ქართული ფეხბურთის სამსახურში იდგა და ახლაც, თანხას მთლიანად ფონდის საქმიანობას მოვახმართ.

**- რთული ყოფილა წიგნის დაწერა?**

- სირთულე ის იყო, რომ დათო თავართქილაძე თბილისში გახლდათ, მე კი - უცხოეთში... მაგრამ ტელეფონი და მისი ჯანი. სხვათა შორის, კმაყოფილი დავრჩი.

შოთა არველაძის დედა, ქალბატონი თამარ დოლიძე იხსენებს: „შოთი ძალიან პატარა იყო, მაგრამ ვიტალი დარასელიას დიუსელდორფის გოლს ლექსი მიუძღვნა და ეს წიგნშიც შეიტანა. ბავშვობიდან კარგადაც ხატავდა. თავიდანვე რომანტიკული იყო და დღემდე ასეთია. იცით, ეს წიგნი რატომ მომეწონა? შოთა როგორიც არის, როგორც მეტყველებს და ფიქრობს, ზუსტად ისეთივეა წიგნშიც. არანაირი სიყალბე, სულ მისი სიტყვებია. თითქოს, გვერდით მიზის და თავის ისტორიას მიყვება. სხვათა შორის, ჩემთვის უცნობი ბევრი ამბავიც გავიგე. ეტყობა, დედას ყველაფერს არ უყვებოდა. მე ვერ ვიქნები ობიექტური - რამდენჯერაც კითხვა დავიწყე, იმდენჯერ თვალზე ცრემლი მომადგა".

გიორგი ნემსაძე: „შოთა მოედანზე მომთხოვნი იყო, მაგრამ თავად ისე თამაშობდა, პრეტენზიის გამოთქმის საფუძველს არ გვაძლევდა. ბუნებით ლიდერი იყო, ძალიან შრომისმოყვარე და პროფესიონალი. საერთოდ, შოთას ალნაგობით ფეხბურთს ხშირ შემთხვევაში ვერ თამაშობენ, მაგრამ მან ეს მოახერხა. ეს იმიტომ, რომ მუდამ გამოარჩევდა სპორტული ჟინი. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის წაკითხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებს კარიერის გაკვალვაში დაეხმარება".

ლევან კობიაშვილი: „შოთას გვერდით მრავალი წელი მითამაშია და ალბათ, მისი ისტორიების ნაწილსაც ვიცნობ. თუმცა ბევრი უცნობი ამბავიც იქნება და სიამოვნებით წავიკითხავ. კარიერის მიწურულს მეც დავფიქრდები, თუკი მომავალ თაობა ჩემი ისტორიით დაინტერესდება, არ არის გამორიცხული, წიგნი მეც დავწერო".

მერაბ ჟორდანია: „შოთას დიდი ფეხბურთელის ნიჭი ბავშვობიდანვე ეტყობოდა. მეამაყება, რომ წლების განმავლობაში ვიყავი მის გვერდით. ძალიან ცოტა ქართველ ფეხბურთელზე შეიძლება ითქვას, რომ მისი წასვლით რაღაც ეპოქა დამთავრდა. შოთა ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია. სამწუხაროა, რომ მისი ეპოქა დასრულდა".

მერაბ მამულაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



იუბილარი

ვახტანგ ქორიძე 60

# ნაღდი იუბილარი

70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ცნობილ ფეხბურთელს ვახტანგ ქორიძეს ამ ცოტა ხნის წინ ლამაზი იუბილე ჰქონდა - 60 წელი შეუსრულდა! ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ: იმდროინდელ „დინამოში“ არნახული კონკურენცია იყო და გუნდში ჩარიცხვაც კი უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა. ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, ესა თუ ის ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი რომ იქნებოდა. სწორედ ასეთ მოთამაშეთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა ვახტანგ ქორიძე - „დინამოს“ მაშინდელ ვარსკვლავთკრებულში საკუთარი და ღირსეული ადგილი რომ ეკავა;

საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ვერცხლის პრიზიორობა, ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორობა, ორჯერ მოპოვებული საბჭოთა კავშირის თასი - ოთხი სეზონის განმავლობაში „დინამოს“ ყველა ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი ვახტანგ ქორიძეც გახლდათ; შეუპოვარი და ფიზიკურად ღონიერი ნახევარმცველისათვის არასდროს არსებობდა „უხერხული მეტოქის“ ცნება - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩი იქნებოდა თუ ევროტურნირებზე აღიარებულ გრანდებთან („ლივერპული“, „ინტერი“, „ჰამბურგი“, „ნაპოლი“) პაექრობა, ყველა შეხვედრაში ერთნაირად მოტივირებული და, რაც მთავარია, „ჟიგრით“ თამაშობდა. ამიტომაც უყვარდა და აფასებდა ქართველი ქომაგიც - ყველამ იცოდა, რომ ქორიძე არც „ფეხებს გაუფრთხილდებოდა“ და თუ „საჭირო“ იქნებოდა, ზუსტი დარტყმით გამარჯვების გოლსაც გაიტანდა. ნახევარმცველის კვალობაზე, შესაძლოა, ძალიან ბევრი გოლი არ გაჰქონდა, მაგრამ იმ ექვსი სეზონის განმავლობაში, რაც გაუტანია, თითქმის ყველა ის ოცამდე გოლი გადამწყვეტი ან საჭიროზე მეტიც იყო. გოლების უმრავლესობა საშუალო თუ შორი მანძილიდან აქვს გატანილი, სტანდარტულებიდანაც და უშუალოდ, თამაშიდანაც. არადა, ყველაზე უცნაური ის იყო, რომ პატარაობაში... მარჯვენა გარემარბად თამაშობდა, ბათუმის „დინამოში“ - ცენტრალურ მცველად, ხოლო თბილისის „დინამოში“ - მარცხენა ნახევარმცველად! აბა, ამაზე მეტი უნივერსალიზმი რაღა უნდა იყოს?

...იუბილემდე ცოტა ხნით ადრე ვახტანგ ქორიძის საფეხბურთო ბიოგრაფიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელად აირჩიეს! თუმცა, ეს ფაქტი მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: აჭარის ფეხბურთისთვის უკეთესი თავკაცი ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა ამ კუთხეში დაბადებული და გაზრდილი კაცი, წლების განმავლობაში ბათუმის „დინამოს“ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად რომ ითვლებოდა.

**...ახალი სამსახურიდან გამომდინარე, ამჟამად მუდმივად ბათუმშია; როცა ინტერვიუსთვის შევეხმიანეთ, გვითხრა, 28 დეკემბერს ალმასკომის სხდომაა, თბილისში ჩამოვალ და მერე ვისაუბროთო; და აი, დათქმულ დროსა და ადგილზე შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ იუბილარ რესპონდენტს, სამწუხაროდ, ჩვენთან სასაუბროდ არც ისე დიდი დრო ჰქონდა (მიზეზი - საპატიო იყო); თუმცა, გარკვეულწილად, პროფესიული ცნობისწადილი დავიკმაყოფილეთ...**

**- ბატონო ვახტანგ, ვიდრე ინტერვიუს დავიწყებდეთ, ერთი რამის დაზუსტება გვინდა: ზოგიერთ ცნობარში თქვენი დაბადების თარიღად 24 დეკემბერია მითითებული, ზოგან - 22 დეკემბერი, არადა, ოფიციალურად, თურმე, 16 დეკემბერს ყოფილხართ დაბადებული.**

- ზუსტი თარიღი 1949 წლის 16 დეკემბერია. რაც შეეხება 24-ს, მეც ვიცი, ცნობარებში ასე რომ წერია; თუმცა, ეს უფრო ტექნიკური შეცდომაა. რაც მთავარია არც თვეები მაქვს „ჩამოკლებული“ და არც - წლები...

**- ისე, ადრე ბევრ ფეხბურთელს რომ ჰქონდა ასაკი გადაკეთებული, ამაში დამეთანხმებით?**

- ყოველ შემთხვევაში, საწინააღმდეგოს მტკიცებასაც ვერ დავიწყებ...

**- 60 წლის იუბილე მშობლიურ ბათუმში გადაიხადეთ და როგორც შევიტყვეთ, დიდი სტუმრიანობაც გქონიათ.**

> **არ დაგიმალავთ და, თბილისში გადმოსვლაზე ვყოყმანობდი, მაგრამ... იაკუშინი არ მომეშვა, შენნაირი ფეხბურთელი მჭირდებაო...**

- ბათუმის და თბილისის „დინამოს“ ვეტერანების მატჩზე უკეთესი ღონისძიება რა უნდა ყოფილიყო? ორივე გუნდის კარში თითო-თითო გოლიც გავიტანე; საბოლოო შედეგი კი, როგორც ასეთი მატჩებისთვის არის „აუცილებელი პირობა“, საყაიმო იყო - 3:3.

**- ეს მეგობრული მატჩი „მხოლოდ“ ორტაიმიანი იყო?**

- უფრო საინტერესო, რაღა თქმა უნდა, „მესამე ტაიმი“ იყო, რომელსაც, სხვათა შორის, აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. ძალიან გამიხარდა, თბილისიდან თითქმის ყველა ყოფილი თანაგუნდელი რომ ჩამოვიდა; სამწუხაროდ, მურთაზ ხურცილავამ, თენგიზ სულაქველიძემ და რამაზ შენგელიამ ვერ შეძლეს ჩამოსვლა.

**- თუ არ ვცდებით, ოთხი წლის წინათ გვითხარით: 1998 წლიდან უმუშევარი ვარო; ახლა კი ამას ნამდვილად ვერ იტყვით.**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, აჭარის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელობა. ფაქტობრივად, ორი თვეც არ გასულა ამ პოსტზე რომ დავინიშნე და სალაპარაკოც, აქედან გამომდინარე, ბევრი ვერ მექნება. თუმცა, როგორ შეიძლება კაცს არ გახარებდეს, თუ რა არის სამომავლოდ დაგეგმილი. რაც მთავარია, მომავალი წლის მარტიდან დაიწყება ბათუმის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა (თან, ამ სტადიონს დამხმარე მოედნებიც ექნება); ამას გარდა გადაწყვეტილია, რომ ბათუმში იფუნქციონირებს სკოლა-ინტერნატი, პერსპექტიული სპორტსმენების ზრდას რომ ხელს შეუწყობს.

**- არადა, არა მარტო მაგ კუთხისათვის, საერთოდ, ქართული ფეხბურთის სირცხვილია, რომ დღესდღეობით ბათუმის „დინამო“ უმაღლეს ლიგაში არ ასპარეზობს.**

- მხოლოდ ბათუმის „დინამო“? გადახედეთ, სად არიან: ქუთაისის, ფოთის, ლანჩხუთის გუნდები... კარგია, რომ საქმე დაიძრა და იმის დიდი შანსიც არის, რომ ბათუმის „დინამომ“ უმაღლესი ლიგის საგზური ამ სეზონშივე მოიპოვოს. გავიხსენოთ, თუ საიდან იღებდა შევსებას თბილისის „დინამო“; ჯერ მხოლოდ ბათუმიდან წასული ფეხბურთელები რომ ჩამოვთვალო, საუბარი მართლაც შორს წაგვიყვანს. ნიჭიერი ბიჭები ახლაც არიან - ბოლოს და ბოლოს, ჯანო ანანიძის მაგალითიც ამას მოწმობს; სულ ახლახან ორი 12 წლის ბიჭი ბარსელონაში იმყოფებოდა და ასე შემდეგ.

**- ბატონო ვახტანგ, თქვენი აზრით, მაინც რა უნდა იყოს ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მთავარი მიზეზი?**

- ძნელია, ასე უცებ ზუსტი პასუხი გაგცეთ; იმაში კი ნამდვილად გეთანხმებით, რომ ამხელა ჩავარდნა არასდროს გვქონია. ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ რეგიონებიდან შევსება აღარ მოდიოდა, პირობებიც შესაბამისი აღარ არის. არადა, ჩვენს დროს, მუდამ სავსე ტრიბუნების წინ გვიწევდა თამაში. მაშინდელი ხელფასები ხომ, მართლაც, სასაცილო იყო - ფეხბურთელების დღევანდელ ანაზღაურებასთან შედარებაც არ შეიძლება. მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო, რომ ხალხს ვუყვარდით და ამას ყველგან ვგრძნობდით.

**- თქვენს კარიერაზეც ვისაუბროთ, ბათუმის „დინამოში“ რომ დაიწყო.**

- რვა წლის განმავლობაში ვთამაშობდი ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდში და საკავშირო მეორე ლიგაში ვასპარეზობდი. ერთ მშვენიერ დღეს კი თბილისის „დინამო“ გვესტუმრა და ამხანაგური მატჩი გვეთამაშა. შეხვედრის დასრულების შემდეგ სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა - „დინამოს“ იმდროინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გივი ჩოხელმა ჩვენს უპირველეს გუნდში მიმიწვია.

**- თბილისის „დინამოში“ დამკვიდრების პირველი ცდა წარუმატებელი რატომ გამოდგა?**

- 19 წლის ბიჭი ვიყავი და ვერაფრით ვეგუებოდი იმ ფაქტს, ძირითადში რომ არ მათამაშებდნენ. ნახევარი სეზონი გავჩერდი თბილისში - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი შეხვედრა ვითამაშე და ისევ უკან, ბათუმში დავბრუნდი.

**- გულახდილად გვითხარით: ელოდით, რომ კიდევ მოგიწვევდნენ?**

- ალბათ, უფრო - არა; მით უმეტეს, ახალგაზრდული ასაკიდანაც უკვე გამოსული ვიყავი, მაგრამ ისე მოხდა, რომ 25 წლის ასაკში თბილისის „დინამოში“ დამკვიდრების შანსი მომეცა. ბათუმის „დინამოს“ გორში ჰქონდა მატჩი ადგილობრივ „დილასთან“ და ამ შეხვედრას თბილისის „დინამოს“ მაშინდელი მთავარი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი და კახი ასათიანი ესწრებოდნენ. მათი ჩამოსვლის მიზანი მასპინძელთა თავდამსხმელ თენგიზ ბურჯანაძეზე დაკვირვება იყო, თუმცა, მატჩი დასრულდა თუ არა, იაკუშინმა თბილისში მიმიწვია.

**- ახლა არ თქვათ, ვყოყმანობდიო...**

- არ დაგიმალავთ, და მართლაც ასე იყო; თუმცა, იაკუშინი არ მომეშვა - შენნაირი ფეხბურთელი მჭირდებაო.

**- მეორესა და უმაღლეს ლიგას შორის დიდი სხვაობა იყო?**

- პატარა ბიჭი ნამდვილად არ მეთქმოდა, მაგრამ თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა; განსაკუთრებით - წინასასეზონო შეკრებებზე, ფაქტობრივად, სამი თვე რომ გრძელდებოდა. ჯერ, ლესელიძეში ვემზადებოდით თვე-თვენახევრის განმავლობაში; თან, ხანდახან ის „გვენატრებოდა“, დღეში მხოლოდ ... ორჯერადი ვარჯიშები ყოფილიყო - კვირაში სამჯერ ხომ სამჯერადი ვარჯიშები გვქონდა.

**- სამაგიეროდ, იქაური მომზადება უკვე სეზონის მსვლელობის დროს დაგეხმარებოდათ.**

- რა თქმა უნდა, - ფიზიკურად ისე ვიყავით მომძლავრებულნი, ყველანაირ დატვირთვებს ვუძლებდით.

**- ერთიც გვინდა გკითხოთ: ძალის აღსადგენ საშუალებებს თუ იღებდით; თანამედროვე ფეხბურთში ვიტამინებიო, კიდევ ათასი საშუალებები არსებობს.**

- რა, დოპინგი არ არსებობს? აბა, გადახედეთ სტატისტიკას - ამ ბოლო დროს რამდენი ფეხბურთელი გარდაიცვალა უშუალოდ თამაშის მსვლელობის დროს; იმიტომ, რომ ათასნაირ სტიმულატორებს იყენებენ. ჩვენს დროს კი, რა იყო: შოკოლადს მოგცემდნენ, ენერგიას მატებსო და კიდევ, წითელ ხიზილალას „გვაძალებდნენ“; დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, უცნაურად ჩანს, მაგრამ, ჩემს დროს, ფეხბურთელებს... წყლის დალევასაც გვიკრძალავდნენ...

**- ბევრის აზრით, სწორედ იაკუშინის დამსახურებაც იყო, 1976 წლიდან „დინამოს“ ზღაპრული წინსვლა რომ დაიწყო.**

- მართლებიც არიან: ძალიან ძლიერი სპეციალისტი იყო, არც ფეხბურთელებთან ურთიერთობა ემლებოდა და თავისი საქმეც ჩინებულად იცოდა. განსაკუთრებით კი, სელექციის ნიჭი ჰქონდა - ბოლოს და ბოლოს, ვიტალი დარასელიას მაგალითიც ამას მოწმობს, ერთი შეხედა იმ დროისათვის 16 წლის ბიჭს და მაშინვე „დინამოს“ ძირითადში დააყენა.

**- იაკუშინის ხელმძღვანელობით სადებიუტო სეზონში თითქმის ყველა მატჩი შეუცვლელად ითამაშეთ, ოღონდ - ცენტრალური მცველის პოზიციაზე. აი, 1976 წლიდან კი უკვე ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე დაიკავეთ ადგილი.**

- ეს უკვე ნოდარ ახალკაცის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. ვიდრე მთავარი მწვრთნელი გახდებოდა, ნოდარ ახალკაცი გუნდის უფროსად მუშაობდა. თუმცა მუდამ ჩართული იყო სამწვრთნელო პროცესში. იაკუშინის წასვლის მერე გუნდი ჩაიბარა და თანამედროვე ვარჯიშების დანერგვაც დაიწყო. 1976 წლის სეზონის დაწყების წინ კი ახალკაცმა ამპლუა შემიცვალა - ჯანიც ხელს გიწყობს, მოედნის კარგი ხედვა გაქვს, ჰოდა, ამიერიდან ნახევარდაცვაში ითამაშებო...

**- ამისთანა, რა ტრავმა იყო?**

- საზარდულის კუნთი გამიწყდა. არადა, ნეტავ დამეჯერებინა ახალკაცისთვის - საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვიყავი გამოძახებული და მირჩია, არ წახვიდეო. სწორედ ნაკრებში ყოფნის დროს საზარდულის კუნთი დამეჭიმა; შემდეგ, ზედმეტი დატვირთვების გამო გამიწყდა კიდეც და ისე მოხდა, რომ, ფაქტობრივად, 29 წლის ასაკში აქტიური კარიერის დასრულება მომიხდა. ბედი გინდა კაცს ყველაფერში...

**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს განსაკუთრებით რომელ ქალაქში გიჭირდათ თამაში?**

- ასეთს ვერ ვიხსენებ - პრობლემა არსად მქონია. ვერც კონკრეტულ მეურვეებზე ვიტყვი, უხერხული მეტოქეები იყვნენ მეთქი.

**- იმ დროს, ქართველი ქომაგი წარმატებებით მართლაც განებივრებული იყო; თუმცა ისიც ხშირად ყოფილა, „დინამოს“ ფეხბურთელისთვის ობსტრუქცია რომ მოუწყვიათ. აი, ის მატჩი გვინდა გაგახსენოთ, თბილისში, ოდესის „ჩერნომორეცთან“... ავტოგოლი რომ გაიტანეთ...**

- ქართველმა გულშემატკივარმა ფეხბურთის „ფასი“ იცოდა; გეთანხმებით - მომთხოვნი ქომაგი გვყავდა, მაგრამ, ამასთან, სამართლიანიც; ყველამ იცოდა, რომ ნებისმიერ შეხვედრაში იმას ვთამაშობდი, რაც შემეძლო. იმ „ავტოგოლს“ რაც შეეხება, არც იმ მომენტში და არც მერე... ერთი არასასიამოვნო შეძახილიც არ გამიგია.



**- მერე, არ გაგიჭირდათ?**

- მცველი როცა ვიყავი, შეტევებში ხშირად ვერთვებოდი ხოლმე, ამასთან, ჩემი ფიზიკური კონდიციებიდან გამომდინარე, ნახევარდაცვაში თამაში არ უნდა გამჭირვებოდა და ასეც მოხდა - ოთხი წელიწადი ისე ვითამაშე, ფაქტობრივად, მატჩი არ გამომიტოვებია. სამწუხაროდ, კარიერის განმავლობაში პირველი ტრავმა საბედისწერო გამოდგა - ამის გამო ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდმა გამარჯვებამ (1981 წლის დიუსელდორფის ტრიუმფმა) უჩემოდ ჩაიარა.

**- დაბოლოს, საქართველოს ნაკრებზეც გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, ქართველი მწვრთნელის დანიშვნა გამართლებული ნაბიჯი იყო?**

- დღესდღეობით საქართველოს ნაკრებს სწორედაც რომ ქართველმა უნდა უხელმძღვანელოს. ბევრი ნიუანსია - ქართველი კაცის ბუნება, მენტალიტეტი, ხასიათი; ბოლოს და ბოლოს, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სწორედ ქართველი მწვრთნელის, ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით გვქონდა ყველაზე უკეთესი შედეგი...

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტბოლი



# ავთანდილ ასათიანი
# აზერბაიჯანში ახლებს გავსინჯეთ

საქართველოს ფუტბოლის ეროვნულმა ნაკრებმა 2009 წელი წარმატებით დაიწყო - მალტაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაძლია და ელიტრაუნში გავიდა. ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ საქართველოს ნაკრებისთვის ეს მართლაც სერიოზული წარმატება იყო და გუნდის მიმართ იმედიც გაჩნდა...

თუმცა ამასწინათ, ავთანდილ ასათიანის გუნდმა აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირზე ფიასკო განიცადა და გადავწყვიტეთ, მთავარ მწვრთნელთან წარუმატებლობის გამომწვევ მიზეზებზე გვესაუბრა...

**- აზერბაიჯანში დიდი ანგარიშით ნაგებული მატჩები უსიამოვნო სიურპრიზად გვექცა. რა მოუვიდა გუნდს?**

- აზერბაიჯანში მოუმზადებლები წავედით. საერთოდ, ამ ტურნირზე უკვე ხუთი წელია გვიწვევენ, მაგრამ ამაზე ყოველთვის დიდი ხნით ადრე გვაფრთხილებდნენ, წელს კი ასე არ მოხდა - გვითხრეს, ტურნირი ათ დღეში იწყებაო და რაკი საერთაშორისო ტურნირებით განებივრებულები არ ვიყავით, მოუმზადებლობის მიუხედავად, მაინც დავთანხმდით.

**- მანამდე რატომ არ გაცნობეს?**

- ტურნირი თებერვალ-მარტში ტარდებოდა, მაგრამ აზერბაიჯანი ევროპის ჩემპიონატის ძირითად ბადეში მოხვდა და ადრე ჩაატარეს. ისინი ამ ტურნირს მოსამზადებელი ეტაპის რანგში განიხილავდნენ. უარი იმიტომ ვერ ვთქვით, რომ ძალიან კარგი შეჯიბრებაა და მშვენიერ პირობებს გვთავაზობენ. ფაქტობრივად, მხოლოდ მგზავრობის ხარჯები გვიწევდა, სასტუმროსა და კვების თანხას კი თავად მასპინძლები ანაზღაურებენ. აზერბაიჯანელებმა ისე კარგად მიგვიღეს, ჩვენგან ათასი მადლობა ეკუთვნით. უარი რომ გვეთქვა, იფიქრებდნენ, შემდეგშიც აღარ გვესტუმრებიანო და აღარ მიგვიწვევდნენ.

**- მართალია, თითქოს სამგზავრო თანხაც არ გქონდათ?**

- ფედერაციის ბიუჯეტი წინასწარაა გაწერილი და როცა ასე მოულოდნელად მიემგზავრები, ბუნებრივია, თანხის გამოყოფა შეუძლებელი ხდება. იყო ფორმების პრობლემაც, მაგრამ ეს არ არის მთავარი - ამ ეტაპზე ჩვენთვის საჭირო იყო პრაქტიკა და საბედნიეროდ, ამის საშუალება მოგვეცა.

**- მარტო ამით აიხსნება წარუმატებლობა?**

- ნაკრებში ექვსი ახალი ფეხბურთელი გვყავდა. არიან ვეტერანები, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, კარიერას დაასრულებენ და ისინი ვილაცით ხომ უნდა ჩაგვენაცვლებინა? გამოუცდელების სანახავად კი, ამაზე უკეთესი შანსი შეიძლება არც მოგვცემოდა. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანში ეს ექვსი ახალწვეული წავიყვანეთ.

**- შედეგებიდან ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ ახალწვეულებმა ვერ გაამართლეს?**

- ასე ხელაღებით ნუ ვიტყვით. ზოგიერთმა ვერ გაამართლა, ზოგსაც ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ორი ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ გამოცდილება აშკარად აკლიათ. ტურნირის შემდეგ თავად მითხრეს, არ გვეგონა, ფუტბოლი ასეთ დონეზე თუ იქნებოდაო. ანუ, გაიგეს, თუ რა მოთხოვნებია და იმედია ამის შემდეგ მეტს ივარჯიშებენ. იქ გაცილებით მეტი გამძლეობა, სისწრაფე და აზროვნება დასჭირდათ, ვიდრე ჩვენს ჩემპიონატშია. ორმაგად მეტი ვარჯიში იქნება საჭირო, ფუტბოლისთვის თავი უნდა გადადონ, ისე წარმატებას ვერ მივაღწევთ. მათი საზომი ახლა უკვე ეს დონე გახდება. ყველაზე სამარცხვინოდ დავმარცხდით მასპინძლებთან, რომელთა შემადგენლობაშიც 80 პროცენტი ბრაზილიელები, ძალიან მაღალი კლასის მოთამაშეები არიან და ყოველთვე ტურნირებში მონაწილეობენ. ვიმეორებ - ტურნირი სელექციისთვის გამოვიყენეთ, ძიების პროცესი მიმდინარეობდა, თორემ მეეჭვება, სრული შემადგენლობით ასე ცუდად გამოვსულიყავით. ექსპერიმენტებს ოფიციალურ შეხვედრებში ხომ ვერ ჩავატარებდით. თუმცა, რა თქმა უნდა, 0:7 და 2:6 ძალიან განვიცადე, რადგან ქვეყნის სახელით გამოვდიოდით. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები 2011 წელს გვეწყება და სელექცია მანამდე უნდა მოვასწროთ. წელიწადში მხოლოდ ორ-სამჯერ შეგვიძლია სადმე თამაში, ამ კუთხით განებივრებულები არ ვართ, ძლივს რაღაც ტურნირი გამოჩნდა და, აბა, ფეხბურთელი სად უნდა გამოსცადო?! მომდევნო ამხანაგურ მატჩებს და ტურნირებსაც 2011 წლის ციკლისთვის გამოვიყენებთ. შემდეგ ექსპერიმენტები შეუძლებელი გახდება.

**- გადაცემა „საფეხბურთო ღამეში" ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას გამოსვლიდან უნდა დავასკვნათ, რომ ფუტბოლის ფედერაციაში ცვლილებებია მოსალოდნელი. თქვენ როდემდე გაქვთ ნაკრებთან კონტრაქტი?**

- როცა ეროვნული ნაკრები ჩავიბარე, კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ იყო. ჩვენ ყველას გვსურდა გუნდის გაძლიერება და ამისთვის ყველას საკუთარი წვლილი შეგვქონდა. იმედია, არსებული პრობლემების მოგვარებაში ფუტბოლის ნაკრებს ფედერაციის ხელმძღვანელობა დაეხმარება. იმას ვერავინ დამაბრალებს, რომ საქმეს უგულოდ ვაკეთებ, აგდებულად ვეკიდები... მერიდება ამის თქმა, მაგრამ ზოგჯერ თანხა სახლიდან მიმაქვს, ჩვენს ფუტბოლს რომ გამოადგეს. თუკი საჭირო პირობები შეიქმნება, დარწმუნებული ვარ, ნაკრები წლის დასაწყისში მიღწეულ შედეგებს შემდგომშიც გაიმეორებს.

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერები

# ანჟიში ქართველები ქართველმა შეცვალა
## იაშვილმა დაღესტანი დატოვა

მახაჩყალის „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** განაცხადა, რომ გუნდს რამდენიმე ქართველი დატოვებდა და ასეც ხდება - მაგალითად, **ედიკ საჯაია** კარიერას ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გააგრძელებს.

გუშინ კიდევ ერთი ცვლილების თაობაზე შევიტყვეთ: „ანჟიდან" თავდამსხმელი **სანდრო იაშვილიც** წამოვიდა. ეს ინფორმაცია „ანჟის" სპორტულმა დირექტორმა **მამუკა ჟულელმა** დაგვიდასტურა. სამაგიეროდ, მახაჩყალაში დაბრუნდა თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე**, რომელიც 5 იანვარს ანთალიურ შეკრებაზე „ანჟის" კიდევ ერთ ახალწვეულ **ნუკრი რევიშვილთან** ერთად გაემგზავრება.

მერაბ მამულაშვილი



სანდრო იაშვილი

# საით წავა ნერგაძე?

**რაინერ ცობელის** ფორმაციის „დინამოში" **გიორგი ნერგაძე** ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო... მერე სიტუაცია შეიცვალა - ის სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, ბოლოს კი დუბლებშიც გადაინაცვლა. „დინამოსთან" კონტრაქტის ვადა მას უკვე ამოეწურა და გადაწყვიტა, ლეგიონერი გახდეს. ნერგაძით, არც მეტი, არც ნაკლები, სამხრეთაფრიკული კლუბი, „მოროკა სვალოუსია" დაინტერესებული. ამ გუნდს „დინამოს" ყოფილი თავკაცი **რაინერ ცობელი** წვრთნის. სამხრეთაფრიკულ პრემიერლიგაში „მოროკა სვალოუსს" 24 ტურის შემდეგ 30 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა. ცობელის დაინტერესება „ლელოსთან" საუბარში თავად ნერგაძემაც დაადასტურა. ისიც არ დაუმალავს, რომ მას სხვა ვარიანტებიც აქვს. ერთ-ერთი კი ჰაიფას „მაქაბია", რომლის თავკაც **ელიშა ლევის** ასისტენტი **გიორგი დარასელიაა** და ზაფხულიდან მოყოლებული, ამ გუნდში ფორვარდი **ლადო დვალიშვილი** ასპარეზობს.

*„დიახ, ასეა, ცობელს ჩემი წაყვანა სურს. არაერთხელ ვისაუბრეთ ტელეფონით. სამხრეთ აფრიკაში ახლა საშობაო არდადეგებია. ჩემპიონატი თებერვლის დასაწყისში განახლდება და როგორც ჩანს, ჩემი საკითხი იანვარში გადაწყდება... სხვა ვარიანტებზეცაა ლაპარაკი და ვნახოთ... ჰაიფას „მაქაბიზეც" მითხრეს. ყველაფერი იანვარში გადაწყდება"*, - აღნიშნა გიორგი ნერგაძემ.

დავით ცაბაძე

ტრანსფერის შემდეგ

# როდის ჩამოხვალთ ბერლინში?
## ჰერტას მეორე ბუნდესლიგა არ შეეფერებაო...

ბერლინის „ჰერტაში" ლევან კობიაშვილს დიდი იმედებით ხვდებიან. გუნდი პირველი წრის შემდეგ ბუნდესლიგის გამოკვეთილი აუტსაიდერია, მაგრამ მის გულშემატკივრებს სასწაულის მაინც სჯერათ და ახალწვეულებისგან ბევრს ელიან. „ჰერტას" ოფიციალურმა ვებგვერდმა კობიაშვილს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.



**- აქ „ჰერტასთვის" უმძიმეს მომენტში მოდიხართ. რამ გადაგადგმევინათ ასეთი ნაბიჯი?**

- ურთულესი სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად, „ჰერტას" პოტენციალში ეჭვი არ მეპარება. ამ გუნდს ბევრი შეუძლია. დარწმუნებული ვარ, კრიზისსაც დავძლევთ და მაღალ მიზნებსაც შევეჭიდებით. ჩემს ოჯახთან ერთად არაერთი წელია, გერმანიაში ვცხოვრობ და სხვა ქვეყანაში წასვლა არ მსურდა. ვესაუბრე „ჰერტას" მენეჯერ მიხაელ პრეეტცსა და მთავარ მწვრთნელ ფრიდჰელმ ფუნკელს, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ბერლინში ჩამოსვლით სწორ ნაბიჯს გადავდგამდი.

**- რას ეყრდნობა თქვენი ოპტიმიზმი „ჰერტას" მომავალთან დაკავშირებით?**

- ახალი მოთამაშეების დახმარებით, გუნდი ნელ-ნელა გამოვა ამ საშინელი მდგომარეობიდან. „ჰერტა" ქვედა ლიგაში ყოფნის ღირსი არაა და მჯერა, პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას შევძლებთ.

**- „შალკე" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის და იქიდან ბოლოადგილოსანში წამოსვლა მაინც არ იქნებოდა თქვენთვის იოლი...**

- ბუნებრივია, „ჰერტაში" „შალკესგან" კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა, მაგრამ მეორე მხრივ, არც ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაა ჩემთვის უცხო. ამას „ფრაიბურგში" თამაშისას მივეჩვიე. საკმაო მოტივაციაა, როცა კონკრეტული მიზნისთვის იბრძვი და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თითოეულ თამაშში ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი.

**- როდის ჩამოხვალთ ბერლინში?**

- შვებულებას საქართველოში ვატარებ, ბერლინში კი 2 იანვარს ჩამოვალ. 3 იანვარს მეორე წრისთვის მზადებას ვიწყებთ.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ვიტ ჯორჯია

# ჯერ შემოწმება, მერე ვარჯიში
## ვეტერინარებს უცხოური შეკრება არ ექნებათ

გუშინ დაიწყო და დღეს გაგრძელდება ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმება, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას კი „ვიტ ჯორჯია" 3 იანვარს შეუდგება. ამჯერად ვეტერინარები ტრადიციას არღვევენ და უცხოურ შეკრებაზე აღარ მიემგზავრებიან. უკვე გადაწყვეტილია, რომ „ვიტ ჯორჯია" ამხანაგურად შეხვდება ცხინვალის „სპარტაკსა" და თბილისში შეკრებაზე ჩამოსულ ზაქათალის „სიმურგს". ბუნებრივია, სპარინგპარტნიორების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

ჯერჯერობით, გუნდიდან არავინ წასულა და არც ახალწვეულებზეა საუბარი. თუმცა მაინც არაა გამორიცხული, სეზონის განახლებამდე „ვიტ ჯორჯია" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. მაგალითად, **ლუკა რაზმაძემ**, რომლითაც ბაქოს „ნეფთჩია" დაინტერესებული.

როგორც სათაურში წაიკითხეთ, „ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს ამიერიდან რუსთავის „ფოლადის" ხელოვნურსაფრიან სტადიონზე ჩაატარებს. შეგახსენებთ, აქამდე ვეტერინარები მეტოქეებს გორში მასპინძლობდნენ. **გელა გომელაურის** გუნდი რუსთავში, ალბათ, მანამდე ითამაშებს, სანამ „ვიტ ჯორჯიას" მცხეთის სტადიონზე ასევე ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება არ დასრულდება.

ლევან ჯანეზაშვილი

ბაია

# გამოცდილების ხარჯზე

სეზონის პირველი ნახევრის მიმდინარეობისას „ბაიას" მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** გამოცდილი ფეხბურთელების დამატების აუცილებლობაზე საუბრობდა. მართალია, დღეს ზუგდიდურ გუნდს შეროზია აღარ წვრთნის, მაგრამ მისი მემკვიდრეებიც კარგად აცნობიერებენ, რომ მხოლოდ ჭაბუკებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან რთული იქნება. მართალია, „ბაიაში" ისედაც იყო რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე, მაგრამ მათი რაოდენობის გაზრდა მაინც საჭირო იყო.

როგორც შევიტყვეთ, „ბაიაში" გააგრძელებს კარიერას მეკარე **გიორგი სომხიშვილი**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში გაატარა. მას იქ მიზერული სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა. სომხიშვილისთვის ზუგდიდში თამაში უცხო არაა. მან წინა სეზონის მეორე ნახევარი „მგლების" შემადგენლობაში გაატარა.

ჩვენი ინფორმაციით, „ბაიას" ახალი მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** და კონსულტანტი **სოსო ჭედია** სხვა ფეხბურთელებითაც არიან დაინტერესებულნი. შესაძლოა, ზუგდიდურ კლუბში ვიხილოთ მცველი **გიორგი კვესიეშვილი**, რომელმაც სეზონის პირველი ნაწილი „სამტრედიაში" გაატარა, „სპარტაკის" მცველი **პავლე დათუნაიშვილი** და თავდამსხმელი **ზაზა სახოკია**, რომელიც ბოლოს სომხეთში ასპარეზობდა.

სავარაუდოდ, „სამტრედიაში" გააგრძელებს კარიერას „ბაიას" ვეტერანი ნახევარმცველი **ვალტერ გუჩუა**.

ლევან ჯანეზაშვილი

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ეტაპის სტატისტიკა

### საერთო სტატისტიკა

| | |
|---|---|
| თამაში | 90 |
| გოლები | 228 |
| მოთამაშეთა რაოდენობა | 260 |
| გოლები (მასპინძლები) | 138 (60,53%) |
| გოლები (სტუმრები) | 90 (39,47%) |
| მასპინძელთა მოგება | 44 (48,89%) |
| ფრე | 25 (27,78%) |
| სტუმართა მოგება | 21 (23,33%) |
| საშუალოდ მატჩში გატანილი გოლები | 2,53 |
| დიდი ანგარიში (3:0 და მეტი) | 24 (26,67%) |
| უგოლო მატჩები | 11 (12,22%) |
| პენალტი | 25 |
| გატანილი პენალტი | 21 (84%) |
| ავტოგოლი | 2 |
| გაფრთხილება (საშ) | 301 (3,34) |
| გაძევება (საშ) | 21 (0,23) |
| ყვითელი/წითელი | 16 |
| წითელი | 5 |

### ანგარიშები

| | |
|---|---|
| 1:0 | 16 (17,78%) |
| 2:1 | 13 (14,44%) |
| 2:0 | 12 (13,33%) |
| 0:0 | 11 (12,22%) |
| 1:1 | 9 (10%) |
| 3:0 | 5 (5,56%) |
| 4:1 | 4 (4,44%) |
| 2:2 | 4 (4,44%) |
| 3:1 | 4 (4,44%) |
| 4:0 | 3 (3,33%) |
| 5:0 | 3 (3,33%) |
| 6:0 | 2 (2,22%) |
| 4:3 | 1 (1,11%) |
| 4:2 | 1 (1,11%) |
| 5:1 | 1 (1,11%) |
| 3:3 | 1 (1,11%) |

### გოლები წუთების მიხედვით

| | |
|---|---|
| 01-05 | 14 გოლი |
| 05-10 | 7 |
| 10-15 | 8 |
| 15-20 | 7 |
| 20-25 | 10 |
| 25-30 | 18 |
| 30-35 | 13 |
| 35-40 | 12 |
| 40-45 | 13 |
| 46-50 | 10 |
| 50-55 | 12 |
| 55-60 | 16 |
| 60-65 | 12 |
| 65-70 | 17 |
| 70-75 | 12 |
| 75-80 | 9 |
| 80-85 | 14 |
| 85-90 | 24 |

### პოკერი 1

| | |
|---|---|
| გაბედავა (გაგრა) | 1 |

### ჰეთ თრიკი 1

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 1 |

### დუბლი 30

| | |
|---|---|
| **ოლიმპი (7)** | |
| აკინო | 4 |
| ჟონატასი | 1 |
| ჭედია | 1 |
| იმედაშვილი | 1 |
| **ზესტაფონი (6)** | |
| ნ. გელაშვილი | 4 |
| დვალი | 2 |
| **ვიტ ჯორჯია (5)** | |
| ვ. კვარაცხელია | 5 |
| **დინამო (5)** | |
| მერებაშვილი | 2 |
| კოშკაძე | 2 |
| ვაწაძე | 1 |
| **ბაია (3)** | |
| ძალამიძე | 1 |
| დ. ქირია | 1 |
| რ. ჯიქია (ბაია) | 1 |
| **სამტრედია (2)** | |
| ზ. ხაჭიპერაძე | 1 |
| კაკალაძე | 1 |
| **სპარტაკი (2)** | |
| რ. გოცირიძე | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 18 (8 პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 (1) |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 (1) |
| გაბედავა (გაგრა) | 9 (1) |
| მერებაშვილი (დინამო) | 7 (1) |
| კოშკაძე (დინამო) | 6 |
| ჭედია (ოლიმპი) | 6 |
| დვალი (ზესტაფონი) | 6 |
| ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) | 6 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 4 (1) |
| ლ. რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 (2) |
| გ. კაშია (დინამო) | 4 |
| ვაწაძე (დინამო) | 4 |
| რ. გოცირიძე (სპარტაკი) | 4 |
| რ. ჯიქია (ბაია) | 4 |

### გოლი+პასი

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 27 (18 გ+9 პ) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 14 (13+1) |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 12 (11+1) |
| მერებაშვილი (დინამო) | 12 (7+5) |
| აფციაური (ზესტაფონი) | 10 (2+8) |
| გაბედავა (გაგრა) | 9 (9+0) |
| კოშკაძე (დინამო) | 8 (6+2) |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 (6+2) |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 8 (3+5) |
| ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) | 7 (6+1) |
| ჭედია (ოლიმპი) | 6 (6+0) |
| ცხადაძე (სპარტაკი) | 6 (3+3) |
| პავლიაშვილი (გაგრა) | 6 (3+3) |
| ჟონატასი (ოლიმპი) | 6 (3+3) |
| ბაკარანძე (სამტრედია) | 6 (3+3) |
| ჩირიკაშვილი (სპარტაკი) | 6 (1+5) |
| რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 (4+1) |
| კაკალაძე (სამტრედია) | 5 (4+1) |
| გოგობერიშვილი (სიონი) | 5 (3+2) |
| კორღალიძე (ზესტაფონი) | 5 (3+2) |
| ტყემალაძე (სამტრედია) | 5 (3+2) |
| ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 5 (3+2) |
| ფირცხალავა (სამტრედია) | 5 (1+4) |
| გრიგალაშვილი (ზესტაფონი) | 5 (1+4) |
| შ. კაშია (დინამო) | 5 (1+4) |

### ტაიმების მიხედვით

| I ტაიმი | | II ტაიმი |
|---|---|---|
| 102 (44,74) | გოლი | 126 (55,26) |
| 63 (61,76) | მასპინძელთა გოლი | 75 (59,52) |
| 39 (38,24) | სტუმართა გოლი | 51 (40,48) |
| 1,13 | გოლი საშუალოდ | 1,4 |
| 31 (34,44) | მოიგო მასპინძელმა | 36 (40%) |
| 42 (46,67) | ფრე | 37 (41,11) |
| 17 (18,89) | მოიგო სტუმარმა | 17 (18,89) |
| 31 (34,44) | უგოლო ტაიმი | 29 (32,22) |
| 13 (52%) | პენალტი | 12 (48%) |
| 11 (52,83) | რეალიზებული პენალტი | 10 (47,62) |
| 84,62% | პენ. რეალიზაციის % | 83,33% |

### პენალტები

| | + | - |
|---|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 8 | 0 |
| გოგობერიშვილი (სიონი) | 2 | 0 |
| რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 | 0 |
| ცხადაძე (სპარტაკი) | 1 | 0 |
| გაბედავა (გაგრა) | 1 | 0 |
| მერებაშვილი (დინამო) | 1 | 0 |
| ჟონატასი (ოლიმპი) | 1 | 0 |
| ლ. ქებაძე (ლოკომოტივი) | 1 | 0 |
| ლ. ვაშაკიძე (სამტრედია) | 1 | 0 |
| კაკალაძე (სამტრედია) | 1 | 0 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 1 | 0 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 1 | 1 |
| ჩიმაკაძე (სიონი) | 0 | 1 |
| ჩივაძე (სპარტაკი) | 0 | 1 |
| ხმალაძე (დინამო) | 0 | 1 |

### მეკარეები

| მეკარე | თ | წთ | გ. | მ.პ. | გ.პ. |
|---|---|---|---|---|---|
| ქვილითაია (ლოკომოტივი) | 17 | 1530 | 24 | 0 | 0 |
| ლორია (დინამო) | 17 | 1530 | 11 | 0 | 0 |
| გოგლიაშვილი (სიონი) | 17 | 1530 | 23 | 0 | 0 |
| ჭანტურია (ოლიმპი) | 17 | 1498 | 11 | 0 | 2 |
| მამალაძე (ზესტაფონი) | 15 | 1350 | 11 | 0 | 0 |
| მაქაცარია (ბაია) | 14 | 1260 | 17 | 0 | 0 |
| თევდორაძე (გაგრა) | 14 | 1231 | 22 | 1 | 1 |
| ბედიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 12 | 1019 | 12 | 0 | 0 |
| შენგელია (სამტრედია) | 9 | 773 | 16 | 0 | 0 |
| გათიაშვილი (სპარტაკი) | 9 | 765 | 14 | 0 | 0 |
| შეყრილაძე (სპარტაკი) | 8 | 720 | 13 | 0 | 0 |
| ხარძეიშვილი (სპარტაკი) | 8 | 720 | 16 | 0 | 0 |
| მიქაბერიძე (ვიტ ჯორჯია) | 7 | 601 | 6 | 0 | 0 |
| ნადირაშვილი (გაგრა) | 5 | 389 | 8 | 1 | 1 |
| ზარქუა (ბაია) | 4 | 360 | 10 | 0 | 0 |
| ზარქუა (ბაია) | 4 | 360 | 10 | 0 | 0 |
| ზარქუა (ბაია) | 4 | 360 | 10 | 0 | 0 |
| გვენცაძე (სპარტაკი) | 2 | 135 | 3 | 0 | 0 |
| ჯინჭარაძე (სამტრედია) | 2 | 127 | 3 | 0 | 0 |
| ალავიძე (ოლიმპი) | 2 | 122 | 1 | 0 | 0 |
| სომხიშვილი (დინამო) | 1 | 90 | 0 | 0 | 0 |
| დგებუაძე (ლოკომოტივი) | 1 | 90 | 1 | 0 | 0 |
| სტურუა (სიონი) | 1 | 90 | 2 | 0 | 0 |

*შენიშვნა: თ-თამაში; წთ-წუთი; გ- გაშვებული გოლი; მპ-მოგერიებული პენალტი; გპ - გაშვებული პენალტი*

### მსაჯები

| | თ | ყვ. | წთ | პ |
|---|---|---|---|---|
| ლ. სილაგავა | 14 | 42 | 4 | 5 |
| ლ. კვარაცხელია | 12 | 48 | 5 | 8 |
| გ. ვადაჭკორია | 10 | 42 | 5 | 3 |
| დ. ხარიტონაშვილი | 9 | 27 | 1 | 1 |
| მ. ბუქლიშვილი | 7 | 22 | 0 | 1 |
| გ. კიკაჩეიშვილი | 6 | 20 | 0 | 2 |
| ლ. ფანიაშვილი | 6 | 19 | 1 | 1 |
| ა. კრიჭაშვილი | 5 | 15 | 0 | 0 |
| გ. დოგრაშვილი | 5 | 24 | 0 | 2 |
| ვ. გუმბერიძე | 5 | 8 | 1 | 0 |
| ო. ხეცაძე | 4 | 12 | 0 | 0 |
| მ. ურუშაძე | 3 | 8 | 2 | 0 |
| პ. დოგრაშვილი | 2 | 9 | 0 | 0 |
| ა. ნონიკაშვილი | 1 | 3 | 2 | 1 |
| ვ. ელისაბედაშვილი | 1 | 2 | 0 | 1 |

### ყვითელ-წითელი ბარათები

| ფეხბურთელი/კლუბი | წთ | ყვ |
|---|---|---|
| პაატა დათუნაიშვილი (სპარტაკი) | 2 | 5 |
| გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 | 1 |
| ჯორჯ აკირემი (დინამო) | 2 | 1 |
| ლევან ჩაგელიშვილი (ლოკომოტივი) | 1 | 5 |
| ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 | 5 |
| როინ ონიანი (ბაია) | 1 | 4 |
| თორნიკე შალიკაშვილი (გაგრა) | 1 | 4 |
| უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი) | 1 | 4 |
| ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 | 2 |
| გიორგი რეხვიაშვილი (ოლიმპი) | 1 | 2 |
| სევასტი თოდუა (ოლიმპი) | 1 | 2 |
| ვაკო ტყემალაძე (სამტრედია) | 1 | 2 |
| ირაკლი ვაშაკიძე (სიონი) | 1 | 1 |
| თორნიკე ოქრიაშვილი (გაგრა) | 1 | 1 |
| ზაურ ხაჭიპერიძე (სამტრედია) | 1 | 1 |
| გიორგი კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 | 0 |
| მიხეილ კაკალაძე (სამტრედია) | 1 | 0 |
| შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი) | 1 | 0 |

### მწვრთნელები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ო. კორღალიძე (ოლიმპი) | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| თ. მახარაძე (ოლიმპი) | 10 | 9 | 1 | 0 | 27-4 | 28 |
| თ. მახარაძე (სიონი) | 8 | 2 | 3 | 3 | 6-9 | 9 |
| გ. ყიფშიძე (სიონი) | 10 | 1 | 5 | 4 | 6-16 | 8 |
| გ. გეგუჩაძე (ზესტაფონი) | 18 | 11 | 5 | 2 | 31-15 | 38 |
| კ. კაჭარავა (დინამო) | 18 | 9 | 5 | 4 | 29-11 | 32 |
| ვ. ხაჩიძე (სპარტაკი) | 18 | 6 | 5 | 7 | 25-30 | 23 |
| გ. შეროზია (ბაია) | 18 | 3 | 3 | 12 | 15-27 | 12 |
| გ. სანაია (ლოკომოტივი) | 18 | 1 | 6 | 11 | 6-25 | 9 |
| რ. მუმლაძე (ვიტ ჯორჯია) | 3 | 2 | 0 | 1 | 4-6 | 6 |
| მ. კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 15 | 7 | 6 | 2 | 22-12 | 27 |
| ვ. კაშჩეი (გაგრა) | 15 | 3 | 3 | 9 | 15-26 | 12 |
| კ. კარანაძე (გაგრა) | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ვ. ჩხარტიშვილი (სამტრედია) | 8 | 3 | 0 | 5 | 9-17 | 9 |
| მ. მესიაჩენკო/ლ. ანჯაფარიძე (სამტრედია) | 10 | 3 | 4 | 3 | 15-18 | 13 |

## გუნდები ციფრებში

### ოლიმპი

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 42 |
| გოლი შინ | 19 (45,24%) |
| გოლი სტუმრად | 21 (50%) |
| გაშვებული გოლი | 12 |
| გაშვებული შინ | 2 (16,67%) |
| გაშვებული სტუმრად | 10 (83,33%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 2,33 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 0,67 |
| დაგროვილი ქულები შინ | 20/24 (83,33%)* |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 22/27 (81,48%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 6:0 (სიონი) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:4 (დინამო) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 10 (55,56%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 2 (11,11%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 3 |
| *(ბაია 2:1, სპარტაკი 2:1, ლოკომოტივი 2:1)* | |
| აგებდნენ და ფრე | 1 |
| *(სპარტაკი 1:1)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/1 |
| გაფრთხილება (საშ) | 30 (1,67) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 23 (6) |

** ოლიმპმა ერთი მატჩი (ბაია) ჩაატარა ნეიტრალურ მოედანზე*

### ზესტაფონი

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 31 |
| გოლი შინ | 22 (70,97%) |
| გოლი სტუმრად | 9 (29,03%) |
| გაშვებული გოლი | 15 |
| გაშვებული შინ | 8 (53,33%) |
| გაშვებული სტუმრად | 7 (46,67%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1,72 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 0,83 |
| დაგროვილი ქულები შინ | 23/27 (85,19%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 15/27 (55,56%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 4:1 (დინამო, სპარტაკი) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:2 (დინამო) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 8 (44,44%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 4 (22,22%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 |
| აგებდნენ და ფრე | 2 |
| *(ვიტ ჯორჯია 1:1, ოლიმპი 2:2)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 25 (1,39) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 20 (0) |

### ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 26 |
| გოლი შინ | 16 (61,54%) |
| გოლი სტუმრად | 10 (38,46%) |
| გაშვებული გოლი | 18 |
| გაშვებული შინ | 8 (44,44%) |
| გაშვებული სტუმრად | 10 (55,56%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1,44 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1 |
| დაგროვილი ქულები შინ | 18/27 (66,67%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 15/27 (55,56%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 5:1 (გაგრა) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:4 (გაგრა) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 6 (33,33%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 4 (22,22%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 2 |
| *(ბაია 2:1, სპარტაკი 2:1)* | |
| აგებდნენ და ფრე | 2 |
| *(სამტრედია 2:2, ლოკომოტივი 1:1)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 26 (1,44) |
| გაძევება (საშ) | 4 (0,22) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 22 (0) |

### დინამო

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 29 |
| გოლი შინ | 17 (58,62%) |
| გოლი სტუმრად | 12 (41,38%) |
| გაშვებული გოლი | 11 |
| გაშვებული შინ | 2 (18,18%) |
| გაშვებული სტუმრად | 9 (81,82%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1,16 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 0,61 |
| დაგროვილი ქულები შინ | 22/27 (81,48%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 10/27 (37,01%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 6:0 (ბაია) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 1:4 (ზესტაფონი) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 13 (72,11%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 6 (33,22%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 |
| აგებდნენ და ფრე | 0 |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 25 (1,39) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 26 (3) |

### სპარტაკი

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 25 |
| გოლი შინ | 15 (60%) |
| გოლი სტუმრად | 10 (40%) |
| გაშვებული გოლი | 30 |
| გაშვებული შინ | 10 (33,33%) |
| გაშვებული სტუმრად | 20 (66,67%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1,39 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,67 |
| დაგროვილი ქულები შინ | 15/27 (55,56%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 8/27 (29,63%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 4:1 (სიონი) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:5 (დინამო) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 4 (22,22%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 3 (16,67%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 2 |
| *(სიონი 4:1, გაგრა 3:1)* | |
| აგებდნენ და ფრე | 3 |
| *(სიონი 1:1, დინამო 1:1, ზესტაფონი 3:3)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 31 (1,72) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 27 (2) |

### სამტრედია

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 24 |
| გოლი შინ | 15 (62,5%) |
| გოლი სტუმრად | 9 (37,5%) |
| გაშვებული გოლი | 35 |
| გაშვებული შინ | 14 (40%) |
| გაშვებული სტუმრად | 21 (60%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1,33 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,94 |
| დაგროვილი ქულები შინ | 17/27 (62,96%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 5/27 (18,52%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 3:0 (ლოკომოტივი) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:5 (ოლიმპი) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 3 (16,67%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 6 (33,33%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 1 |
| *(გაგრა 4:3)* | |
| აგებდნენ და ფრე | 2 |
| *(სიონი 1:1, ბაია 2:2)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 1/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 27 (1,5) |
| გაძევება (საშ) | 3 (0,17) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 26 (3) |

### სიონი

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 12 |
| გოლი შინ | 6 (50%) |
| გოლი სტუმრად | 6 (50%) |
| გაშვებული გოლი | 25 |
| გაშვებული შინ | 12 (48%) |
| გაშვებული სტუმრად | 13 (52%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 0,67 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,39 |
| დაგროვილი ქულები შინ | 10/27 (37,04%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 7/27 (25,93%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 3:0 (სამტრედია) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:6 (ოლიმპი) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 7 (38,89%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 9 (50%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 |
| აგებდნენ და ფრე | 1 |
| *(გაგრა 1:1)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 38 (2,11) |
| გაძევება (საშ) | 1 (0,06) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 29 (3) |

### გაგრა

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 18 |
| გოლი შინ | 10 (55,56%) |
| გოლი სტუმრად | 8 (44,44%) |
| გაშვებული გოლი | 30 |
| გაშვებული შინ | 6 (20%) |
| გაშვებული სტუმრად | 24 (80%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 1 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,67 |
| დაგროვილი ქულები შინ | 12/27 (44,44%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 2/27 (7,41%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 4:0 (ვიტ ჯორჯია) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:5 (ოლიმპი) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 4 (22,22%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 7 (38,89%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 |
| აგებდნენ და ფრე | 2 |
| *(სამტრედია 1:1, სიონი 1:1)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/1 |
| გაფრთხილება (საშ) | 30 (1,67) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 29 (3) |

### ბაია

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 15 |
| გოლი შინ | 13 (86,67%) |
| გოლი სტუმრად | 2 (13,33%) |
| გაშვებული გოლი | 27 |
| გაშვებული შინ | 16 (59,26%) |
| გაშვებული სტუმრად | 9 (33,33%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 0,83 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,5 |
| დაგროვილი ქულები შინ | 11/27 (40,74%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 1/24 (4,17%)* |
| დიდი ანგარიშით მოგება | 4:1 (სპარტაკი) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:6 (დინამო) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 2 (11,11%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 10 (55,56%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 2 |
| *(სპარტაკი 4:1, ლოკომოტივი 2:1)* | |
| აგებდნენ და ფრე | 1 |
| *(გაგრა 2:2)* | |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 0/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 31 (1,72) |
| გაძევება (საშ) | 1 (0,06) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 27 (1) |

** ბაიამ ოლიმპთან გასვლითი მატჩი ნეიტრალურზე ჩაატარა*

### ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| თამაში | 18 |
| გატანილი გოლი | 6 |
| გოლი შინ | 3 (50%) |
| გოლი სტუმრად | 3 (50%) |
| გაშვებული გოლი | 25 |
| გაშვებული შინ | 12 (48%) |
| გაშვებული სტუმრად | 13 (52%) |
| მატჩში გატანილი (საშ) | 0,33 |
| მატჩში გაშვებული (საშ) | 1,39 |
| დაგროვილი ქულები შინ | 6/27 (22,22%) |
| დაგროვილი ქულები სტუმრად | 3/27 (11,11%) |
| დიდი ანგარიშით მოგება | 1:0 (გაგრა) |
| დიდი ანგარიშით წაგება | 0:3 (სამტრედია, დინამო) |
| მატჩი გაშვებული გოლის გარეშე | 6 (33,33%) |
| მატჩი გატანილი გოლის გარეშე | 12 (66,67%) |
| აგებდნენ და მოიგეს | 0 |
| აგებდნენ და ფრე | 0 |
| ავტოგოლი (გაიტანეს/გაუშვეს) | 1/0 |
| გაფრთხილება (საშ) | 38 (2,11) |
| გაძევება (საშ) | 2 (0,11) |
| მოთამაშეთა რაოდენობა (ლეგიონერი) | 32 (0) |

# ინგლისში ლურჯი ახალი წელია


ჩელსი-ფულჰემი. სმოლინგის ავტოგოლი

ესეც, კიდევ ერთი ლონდონური დერბი: „ტოტენჰემის“ ხორვატი გამთამაშებელი **ლუკა მოდრიჩი** ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა თუ არა სასტარტო შემადგენლობას, გოლი შეაგდო და თავის გუნდს მოაგებინა. ეს ამბავი „სფურზის“ მშობლიურ „უაით ჰართ ლეინზე“ „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში მოხდა. შეგახსენებთ, რომ მოდრიჩი აგვისტოში დაშავდა და მას მერე სულ ორჯერ შეაბიჯა მოედანზე - ორივეჯერ შემცვლელად - მაგრამ, საკმარისი იყო სასტარტოში გამოჩენილიყო, რომ გოლი შეაგდო. საამისოდ, სულ 11 წუთი ეყო. ხორვატმა **აარონ ლენონის** პასი შეირგო და ბურთი სტუმართა კარში გაიტანა, რასაც „ვესტ ჰემისთვის“ კიდევ ერთი უილბლობა მოჰყვა - ნახევარმცველი **სკოტ პარკერი** გახდა შესაცვლელი.

იღბალმა ასე იცის, თუ ვინმე აითვალწუნა, ტყავს გააძრობს: პარკერის შეცვლიდან შვიდ წუთში **ჯანფრანკო ძოლას** კიდევ ერთი ფეხბურთელი, ზაირელი მცველი **ჰერიტა ნკონგოლი ილუნგაც** გაუხდა შესაცვლელი. ხოლო თამაშის დასრულებადე ათიოდე წუთით ადრე, ბედმა მორიგი ირონიული ხრიკი მოუწყო - „ვესტ ჰემის“ კარში მეორე გოლი მაინცდამაინც ამ გუნდის ყოფილ ფეხბურთელს **ჯერმაინ დეფოს** გაატანინა.

თუმცა, ასე ბედი, გუშინ, მხოლოდ „ვესტ ჰემს“ როდი ეხუმრა. „ბლექბერნისა“ და „სანდერლენდის“ შეხვედრაში სტუმრები 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ არ დასცალდათ - მათი გუნდის ყოფილმა მოთამაშემ **ელ ჰაჯი დიუფმა** „ბლექბერნს“ ქულა გადაურჩინა. როგორც მოგახსენეთ, **სტივ ბრუსის** ბიჭები დიუფის გოლამდე 2:1-ს იგებდნენ. ასეთ უპირატესობას მათ **დარენ ბენტის** დუბლის, ანუ ერთ თამაშში გატანილი ორი გოლის წყალობით მიაღწიეს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, „შავი კატები“ იშვიათ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ასე არ მოხდა. ბენტის პირველ გოლს **მორტენ პედერსენმა** დაუყოვნებლივ უპასუხა, დიუფმა კი თამაშის დამთავრებამდე (დამატებულ წუთებს თუ არ ვიანგარიშებთ) 13 წუთით ადრე შეაგდო მეორე გამათანაბრებელი.

ერთი სიტყვით, „ბლექბერნმა“ წაგებისგან დაიხსნა თავი, მაგრამ თუ ამ გუნდის მდგომარეობას მეორე მხრიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ მას ზედიზედ 8 თამაშია არ მოუგია. და ტრავმირებული ფეხბურთელებით გადავსებულ „სანდერლენდს“ როგორლა აქვს საქმე? სახარბიელო არაფერია: 11 თამაშიდან ერთადერთი გამარჯვება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მატჩი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ერთადერთი, რისი აღნიშვნაც ღირს, სტუმართა ფეხბურთელის **დევიდ მეილერის** ხეირიანი დებიუტია.

„ჩელსი“ კი აგებდა, აგებდა, მაგრამ მოიგო - საახალწლოდ პირველი ადგილი დაიბევა. „ფულჰემი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და ის, რომ დასავლეთლონდონელებს გაუჭირდათ, გასაკვირი არ არის. გასაკვირი სხვა რამ გახლავთ: ყველა ჯურის საინფორმაციო საშუალება ყოველდღე აცხადებდა, რომ ამ შეხვედრაში **კარლო ანჩელოტის** განკარგულებაში არ იქნებოდნენ აფრიკელი ფეხბურთელები, კერძოდ **დიდიე დროგბა** და **სალომონ კალუ,** მაგრამ როგორც ხედავთ სპილოს ძვლის ნაპირზე აღზრდილი ფორვარდები დარჩნენ და დროგბამ იხსნა კიდეც თავისი გუნდის „ლურჯი ღირსება“.

ანგარიში სტუმარმა **ზოლტან გერამ** თამაშის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთში გახსნა და, კაცმა რომ თქვას, მთელი ერთი საათის განმავლობაში „ფულჰემი“ ყიჩაღაც იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გატყდა - „ჩელსიმ“ ორ წუთში ორი გოლი გაიტანა. პირველი, როგორც მოგახსენეთ, დროგბამ გაიტანა, ხოლო მეორე, საბრალო 20 წლის **კრის სმოლინგს** საკუთარ კარში შეაგდებინეს. სმოლინგს საბრალოს იმიტომ ვუწოდებთ, რომ თავიდან ბოლომდე პირველად ითამაშა, და ამ ერთ უილბლო ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, კარგადაც იბრძოდა...

„ევერტონს“ კი პრემიერლიგაში ზედიზედ შვიდი თამაში ჰქონდა ჩატარებული ისე, რომ მათგან ერთიც არ მოეგო. ჰოდა, როგორც ჩანს, მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** გადაწყვიტა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო და შეგირდები ისე „დაქოქა“, რომ „ბარნლის“ ორი გოლი გაუტანეს.

ცნობისთვის, შეხვედრის ბოლო 28 წუთი სტუმრებმა ათი კაცით ჩაატარეს. მიზეზი: **სტივენ ჯორდანმა სტივენ პიენაარის** ხელის კვრისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. სწორედ ეს მომენტი გამოდგა მასპინძლებისთვის გარდამტეხი. თუკი მანამდე ლივერპულელები „ბარნლის“ ვერაფერს აკლებდნენ, ჯორდანის გაძევების შემდეგ სურათი შეიცვალა. და კიდევ ერთი: „ბოქსინგ დღეების“ პირველ შეხვედრასთან შედარებით მოიესმა სასტარტო შემადგენლობა მხოლოდ ერთი კაცით შეცვალა. **ლუი საას** მაგივრად ამჯერად **აიეგბენი იაკუბუმ** ითამაშა.

„ბირმინგემს“ კი სულ სხვა სტატისტიკა აქვს: „სტოკ სიტის“ სტუმრად 1:0 მოუგო და წაუგებელ შეხვედრათა სერია თერთმეტამდე გაზარდა. როგორც გაირკვა, დაარსების დღიდან, ანუ 1908 წლიდან, 101 წლის განმავლობაში, ასეთი შედეგი „ბირმინგემს“ მხოლოდ ერთხელ ჰქონია, ასე რომ, ახლა რეკორდი განმეორდა - მეთერთმეტე წარმატებული თამაშის ბედი **კემერონ ჯერომის** მიერ 50-ე წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა განსაზღვრა. ზემოთ ბედის ირონიაზე მოგახსენებდით. მართლაცდა, სხვა რა ჰქვია იმას, რომ პირველად, როდესაც ბირმინგემმა ხსენებული რეკორდი დაამყარა, ის ლიგიდან გავარდა! თუმცა, ახლა, გუნდს, რომელმაც ეს თერთმეტი წაუგებელი თამაში 7 მოგებად და 4 ფრედ დაყო, მაშინდელის გამეორება ნამდვილად არ ემუქრება.

**ილია ბაბუნაშვილი**

**ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 2:0**

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, დოუსონი, კინგი, ასუ-ეკოტო (88. ბეილი), ლენონი (90. ჯენასი), ჰადლსტოუნი, პალასიოსი, მოდრიჩი (83. კრანჩარი), დეფო, კრაუჩი.

**ვესტჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, ილუნგა (19. სპექტორი), კოლისონი (79. სტანისლასი), ბეჰრამი, კოვაჩი, დიამანტიმ პარკერი (12. ხიმენესი), ფრანკო.

**გოლები:** 1:0 მოდრიჩი (11), 2:0 დეფო (81)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 24-5 (4-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 35 994

**ბლექბერნი-სანდერლენდი 2:2**

**ბლექბერნი:** რობინსონი, შიმბონდა, სამბა, ნილსენი, ჟივე, ჰოილეტი (74. დიუფი), ენდრიუსი, ნზონზი, პედერსენი, რობერტსი (73. კალინიჩი), მაკარტი (73. დი სანტო).

**სანდერლენდი:** ფულოპი, ბერდსლი, ნოსუორთი, და სილვა, მაკარტნი, მერფი, კანა, ჰენდერსონი, მეილერი, კემპბელი, ბენტი.

**გოლები:** 0:1 ბენტი (52), 1:1 პედერსენი (53), 1:2 ბენტი (65), 2:2 დიუფი (77)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 7-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 22-14 (5-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 25 656

**ჩელსი-ფულჰემი 2:1**

**ჩელსი:** ჩეხი, ფერეირა (65. ივანოვიჩი), კარვალიუ, ტერი, ჟირკოვი (82. ე. კოული), ბალაკი, მიკელი (70. სტარიჯი), ლემპარდი, ჯ. კოული, კალუ, დროგბა.

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი (67. ეტუჰუ), ჰიუზი, სმოლინგი, კონჩესკი, დაფი (85. რიისე), მერფი, ბეირდი, დემპსი, გერა (71. ჯონსონი), ზამორა.

**გოლები:** 0:1 გერა (4), 1:1 დროგბა (73), 2:1 სმოლინგი (75-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 22-5 (7-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

მაყურებელი: 41 805

**ევერტონი-ბარნლი 2:0**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ნილი, ჰეიტინგა, ბაინესი, ბელიალეტდინოვი (82. ვუგანი), ოსმანი, ფელანი, პიენაარი, კეჰილი (61. ფ. ნევილი), იაკუბუ

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, დაფი, ბიკეი, ჯორდანი, იგლზი, ალექსანდერი, მაკდონალდი, ელიოტი (85. ბლეიკი), ნაჯენტი (64. კალვენესი), ფლეტჩერი (82. ტომპსონი)

**გოლები:** 1:0 ვუგანი (83), 2:0 პიენაარი (90)

**გაძევება:** ჯორდანი (62. ბარნლი)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 8-21; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 26-14 (9-7); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

მაყურებელი: 39 419

**სტოკი-ბირმინგემი 0:1**

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუთი, შოუკროსი, ფაიე, ჰიგინბოტომი, ლოურენსი (82. სიდიბე), დილაპი, უაიტჰედი, ეზერინგტონი, ბიტი (71. ფულერი), თუნჯაი.

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი (77. ფეჰეი), ფერგიუსონი, ბოიერი, მაკფადენი, ბენიტესი, ჯერომი.

**გოლი:** 0:1 ჯერომი (50)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-14 (2-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 27 211

**ვულვზი-მანჩესტერ სიტი 0:3**

**ვულვზი:** ჰანემანი, ზუბარი, კრედოკი, ბერა (სტრიმენი 46), ელოკობი, ფოული (80. ჯერვისი), მანსიენი, ჰენრი, სურმენი, დოილი (73. ებანკს-ბლეიკი), იუელმო.

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი, ტურე, კომპანი, ზაბალეტა, დე იონგი, პეტროვი (86. რობინიო), ბელამი, ბერი, აირლენდი (56. გარიდო), ტევესი (90. სილვინიო).

**გოლები:** 0:1 ტევესი (33), 0:2 გარიდო (69), 0:3 ტევესი (86)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 14-16 (3-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 28 957

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 20 | 14 | 3 | 3 | 45-16 | 45 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 19 | 13 | 1 | 5 | 40-18 | 40 |
| 3. არსენალი | 18 | 12 | 2 | 4 | 47-20 | 38 |
| 4. ტოტენჰემი | 20 | 11 | 4 | 5 | 42-22 | 37 |
| 5. ასტონ ვილა | 19 | 10 | 5 | 4 | 29-17 | 35 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 19 | 9 | 8 | 2 | 38-27 | 35 |
| 7. ბირმინგემი | 20 | 9 | 5 | 6 | 20-18 | 32 |
| 8. ლივერპული | 19 | 9 | 3 | 7 | 36-25 | 30 |
| 9. ფულჰემი | 19 | 7 | 6 | 6 | 24-19 | 27 |
| 10. სანდერლენდი | 20 | 6 | 5 | 9 | 28-231 | 23 |
| 11. ევერტონი | 19 | 5 | 7 | 7 | 26-32 | 22 |
| 12. სტოკი | 19 | 5 | 6 | 8 | 15-23 | 21 |
| 13. ბლექბერნი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-35 | 21 |
| 14. ბარნლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22-40 | 20 |
| 15. უიგანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-39 | 19 |
| 16. ვულვზი | 20 | 5 | 4 | 11 | 17-36 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 20 | 4 | 6 | 10 | 28-37 | 18 |
| 18. ბოლტონი | 17 | 4 | 5 | 8 | 24-34 | 17 |
| 19. ჰალი | 19 | 4 | 5 | 10 | 18-40 | 17 |
| 20. პორტსმუთი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-28 | 14 |

**ბომბარდირები:** 14 - დეფო (ტოტენჰემი), დროგბა (ჩელსი); 13 - რუნი (მანჩესტერ იუნ), ბენტი (სანდერლენდი); 11 - ტორესი (ლივერპული); 10 - საა (ევერტონი); 9 - ფაბრეგასი (არსენალი), 8 - აგბონლაორი (ასტონ ვილა), ტევესი (მანჩესტერ სიტი); 7 -კოული (ვესტ ჰემი), ვან პერსი (არსენალი); 6 - ზამორა (ფულჰემი), კინი (ტოტენჰემი), ლემპარდი (ჩელსი), ბელამი (მანჩესტერ სიტი), ადებაიორი (მანჩესტერ სიტი), არშავინი (არსენალი), ჯონსი (სანდერლენდი), როდალეგა (უიგანი).

**დღეს**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ლივერპული | 23:45 |
| ბოლტონი-ჰალი | 00:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| პორტსმუთი-არსენალი | 23:45 |
| მანჩესტერ იუნ-უიგანი | 00:00 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# აბრამოვიჩმა დაახეთქა: 50 000 000 ევრო!

## ჩელსის რიბერი ეჩქარება, გადნება ბაიერნი?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლუკა ტონი მიუნხენს დატოვებს და „რომაში“ გადაბარგდება. „ლელოს“ მკითხველმა ეს დიდი ხანია, იცის. სიახლე ისაა, რომ იტალიელი თავდამსხმელი უარს ამბობს მაღალ ხელფასზე და 3.6 მილიონი ევროთი ნაკლებ ჯამაგირს თანხმდება. უკანასკნელი ინფორმაციით, ტრანსფერის გასაჩარხად მხოლოდ ფორმალური მხარეღაა მოსაგვარებელი. ტონის წასვლა „ბაიერნის“ ინტერესებშიც შედის. სამაგიეროდ, მიუნხენური გრანდის ინტერესებში ნამდვილად არ შედის ის, რომ გუნდი **ფრანკ რიბერიმაც** დატოვოს. არადა, ლონდონის „ჩელსი“ უკვე ძალიან გააქტიურდა! „არისტოკრატებს“ მიუნხენელთა ფრანგი გარემარბის შეძენა ახლავე და ძალიან უნდათ, რისთვისაც მზად არიან, 50 მილიონი ევრო გადაიხადონ. ამასთან, **რომან აბრამოვიჩის** გუნდს ნამდვილად აქვს იმის მიზეზი, რომ იჩქაროს.

ტონის რომში მიუხარია, „ჩელსის“ კი რიბერი უნდა და თანაც, ახლავე - მოკლედ, „ბაიერნში“ სატრანსფერო კარუსელი დატრიალდა. ლონდონელებმა ფრანგი დრიბლიორისთვის გამოცხადებულ ომში ფრონტის ახალი ხაზი გახსნეს. ლონდონელები მზად არიან, 26 წლის ფრანგში 45 მილიონი ფუნტი, ანუ, 50 მილიონი ევრო გადაიხადონ და რიბერი პრემიერლიგაში გადაიბირონ. ინგლისური გამოცემა People იტყობინება, რომ რიბერის გადაბირებისთვის ლონდონელთა მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** მედგრად იბრძვის და რომ ფრანგი ნახევარმცველი იტალიელი სპეციალისტის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა. ანჩელოტიმ იმდენს მიაღწია, რომ აბრამოვიჩი 50 მილიონის გადახდაზე დაითანხმა. ლონდონელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რიბერიმ „ჩელსის“ ფორმა იანვარში მოირგოს, რადგან ზაფხულისთვის „ჩელსის“ სავარაუდოდ ტრანსფერების განხორციელება აეკრძალება.

რიბერის გადაბირება მადრიდის „რეალსაც“ უნდა. ფრანკს კი, რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. ბავარიელებს რიბერის შენარჩუნება და მისთვის კონტრაქტის გაგრძელება სურთ. თუმცა პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ამას წინათ თქვა, თუ რიბერი ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე არ დაგვთანხმდება, ზაფხულში 50-60 მილიონად „გავაჩუქებთო“.

**გოტფრიდ ლენცი**


ფრანკ რიბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი



ჟოზე მოურინიო და სერ ალექს ფერგიუსონი. მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცმა მემკვიდრედ შეიძლება პორტუგალიელი სპეციალისტი დაასახელოს

# მანჩესტერიც არის და მანჩესტერიც

ამ სიტყვებს რომ კითხულობთ, უკვე იცით, როგორ დამთავრდა გუშინ, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისა“ და „ფულჰემის“ თამაში და შესაბამისად, **კარლო ანჩელოტის** ქვემოთ მოყვანილი სიტყვების შეფასებაც უკეთ შეგიძლიათ. ეს სიტყვები კი „ლურჯების“ იტალიელმა თავკაცმა ბირმინგემში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ თქვა, როცა მისმა ფეხბურთელებმა ბოლო 34 შეხვედრაში პირველად ვერ მოახერხეს გოლის გატანა.

*„ვფიქრობ, ჩემმა ფეხბურთელებმა ცოტათი დაკარგეს საკუთარი თავის რწმენა. როდესაც გუნდი ველარ იგებს, ასეთი რამ ბუნებრივია, მაგრამ ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ. სეზონის განმავლობაში არის შედარებით წარუმატებელი პერიოდები, რომელთაც უნდა გაუმკლავდე. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ერთადერთი გუნდი, რომელსაც ამ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონობა შეუძლია, ჩვენ ვართ. ტიტულისთვის სხვა გუნდებიც იბრძვიან, თუმცა რომელი მათგანია ჩვენი ყველაზე რეალური კონკურენტი, ჯერ ძნელი სათქმელია, რადგან შეჯიბრების დასრულებამდე დიდი დრო დარჩა. სეზონის დაწყებიდან „არსენალთან“ მატჩამდე ჩვენ ძალიან კარგად მივდიოდით, შემდეგ კი ცოტა ნავფორხილდით. თუმცა, მიზანი არ შეცვლილა: „ჩელსი“ ჩემპიონი უნდა გახდეს“,* - ბრძანა ანჩელოტიმ.

და რაკილა „ჩელსიზე“ ვლაპარაკობთ, მოგახსენებთ, რომ გუშინ, „სტემფორდ ბრიჯზე“, ლონდონის ორი მეზობელი უბნის გუნდების, „ჩელსისა“ და „ფულჰემის“ დაპირისპირებას დაესწრო კაცი, რომელიც 2007 წლის სექტემბრის შემდეგ ამ სტადიონზე არ ყოფილა - „ლურჯების“ ყოფილ თავკაც **ჟოზე მოურინიოზე** მოგახსენებთ. როგორც იცით, „ჩელსის“ ქომაგთა საყვარელი მწვრთნელი ამჟამად „ინტერში“ მუშაობს, ხოლო „ინტერი“ და „ჩელსი“ ბედმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შეახვედრა ერთმანეთს. ასე რომ, „განსაკუთრებულის“ მიზანი გასაგებია - სურს, თავისი ყოფილი გუნდი საქმეში ცოცხლად ნახოს. შეგახსენებთ, რომ მისი ხელმძღვანელობით დასავლეთლონდონელებმა სამ წელიწადში ორჯერ პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული, ერთხელ ფეხბურთის ასოციაციისა და ერთხელაც „ქარლინგის“ თასი მოიგეს.

მოურინიოს შესახებ კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ, როგორც ცნობილი გახდა, „მანჩესტერ სიტიმ“, გარკვეული ხნის წინ, მას მაინც შესთავაზა **მარკ ჰიუზის** შეცვლა, მაგრამ პორტუგალიელისგან უარი მიიღო. მიზეზი: ამბობენ, რომ „განსაკუთრებულს“ სინამდვილეში სულ სხვა გეგმა აქვს და ამ გეგმით ისეა შეპყრობილი, რომ მასთან შედარებით „სიტის“ შეიხთა მილიონები არად ულირს. ხსენებულ გეგმას „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაძღოლა ეწოდება.

*„ამწუთას მე „ინტერის“ თავკაცი ვარ და ასეთად 2012 წლამდე დავრჩები“*, - თქვა ჟოზემ ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში, თუმცა მწვრთნელთან დაახლოებული პორტუგალიური წყაროები იტყობინებიან, რომ სინამდვილეში ის თვით სერ **ალექს ფერგიუსონის** ხელდასხმით „იუნაიტედის“ მწვრთნელობისთვის შესაფერის მომენტს ელოდება. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სერ ალექსი, რომელიც ხუთშაბათს, 31 დეკემბერს, 68 წლისა ხდება, „იუნაიტედის“ თავკაცის პოსტზე თავის შემცვლელს თვითონვე დაასახელებს. ხოლო, შანსი იმისა, რომ სერ ალექსის მემკვიდრე სწორედ ჟოზე მოურინიო იყოს, ძალიან დიდია - ფერგი პორტუგალიელი სპეციალისტისადმი საოცარი პატივისცემით გახლავთ განმსჭვალული.

**ილია ბაბუნაშვილი**

შალკე

# ჰალილ და ჯერალდ, ნადით!

## კიდევ სამი უცნობი შალკეში: ბოგდან მიულერი, ედუ და რეგინიუსენი

„შალკეს“ მთავარ მწვრთნელ და მენეჯერ **ფელიქს მაგათს** ტრანსფერებისთვის ფული არ აქვს, რის გამოც გამოცდილი სპეციალისტი გუნდს ან უფასო, ანაც ძალიან იაფი ფეხბურთელებით აძლიერებს. რაც ყველაზე მთავარია, „დესპოტი ფელიქსი“ ახერხებს იმას, რომ ასეთი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი უმაღლეს დონეზე ათამაშოს. გელზენკირხენელებმა პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულეს და შემოდგომის ჩემპიონ „ლევერკუზენს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ. მაგათი კი იაფი ან უფასო ფეხბურთელების ძებნას განაგრძობს.

გადაწყვეტილია, რომ იანვრიდან „შალკე“ ორი ახალი თავდამსხმელით გაძლიერდება. პირველი 21 წლის **ბოგდან მიულერი** გახლავთ, რომლის შესახებაც ნამდვილად არაფერი გეცოდინებათ, რადგან ეს უკანასკნელი აქამდე „ნეკარელცის“ ფეხბურთელი იყო. ეს გუნდი კი, ღმერთმა იცის, რომელ ლიგაში თამაშობს. ბოგდან მიულერთან ერთად, მაგათს „შალკეში“ ბრაზილიელი ფორვარდი **ედუც** მიჰყავს. ეს უკანასკნელი შედარებით ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელია: ედუ 28 წლის გახლავთ და ბუნდესლიგაშიც უთამაშია („ბოხუმი“, „მაინცი“), ბოლოს კი სამხრეთ კორეის ჩემპიონატში გამოდიოდა.

იმის გამო, რომ მიულერიცა და ედუც ფორვარდები არიან, გამოდის, რომ მაგათს გუნდში 7 თავდამსხმელი ეყოლება, რაც უკვე ნამეტანია. ფელიქსს ძალიან უხარია და უყვარს, როცა გუნდში თითოეულ პოზიციაზე დიდი კონკურენციაა, სამაგიეროდ, ეს არ ახარებთ ისეთ თავდამსხმელებს, როგორებიც არიან **ჰალილ ალთინთოფი** და **ჯერალდ ასამოა**, რომლებიც მთელი პირველი წრის განმავლობაში სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ. ჰალილმა პირველ წრეში მოედანზე მხოლოდ 291 წუთი გაატარა და 6 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ჯერალდ ასამოამ კი 5 შეხვედრაში ითამაშა (201 წუთი). ძირითად შემადგენლობაში კი მაგათი მუდმივად **კევინ კურანისა** და **ჯეფერსონ ფარფანს** ამწესებს ხოლმე.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ბრაზილიელ ედუს ბუნდესლიგაში 44 მატჩში მხოლოდ 5 გოლი აქვს გატანილი და მიუხედავად ამისა, მაგათს ის მაინც მოსწონს. მოკლედ, მიულერისა და ედუს გადაბირებით, მაგათმა ალთინთოფსა და ასამოას უთხრა, შეგიძლიათ, წახვიდეთო. ჰალილისა და ჯერალდის გაყიდვა „დესპოტ ფელიქსს“ ხელს აძლევს, რადგან ერთი მხრივ, ფული შემოუვა, მეორე მხრივ კი, სახელფასო ფონდი შეუმცირდება, რადგან ალთინთოფი და ასამოა მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები არიან.

*„ფაქტია, რომ იანვარში რამდენიმე ფეხბურთელი დაგვტოვებს. სამაგიეროდ, ჩვენ რამდენიმე გამოცდილ თუ ახალგაზრდა მოთამაშეს დავიმატებთ,“* - ეს სიტყვები მაგათმა მე-17 ტურის შემდეგ თქვა. „ბილდის“ ცნობით, ედუსთან და მიულერთან ერთად, „შალკეში“ ითამაშებს 23 წლის **ტორე რეგინიუსენიც**. ეს სამეული გელზენკირხენული პუბლიკის წინაშე ხვალ წარდგება. მაგათი ნიურნბერგელი **პეერ კლუგეს** (29 წლის ნახევარმცველი) ყიდვასაც აპირებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ჰალილ ალთინთოფსა და ჯერალდ ასამოას შალკეში ალარ დაედგომებათ

გამოხმაურება

# შიში

კვირა საღამოს ამბავი მოგეხსენებათ: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰალში 3:1 გაიმარჯვა და ოთხივე გოლში მონაწილეობა **უეინ რუნიმ** მიიღო. კერძოდ, პირველი გოლი რომ გაიტანა, რუნიმ მოწინააღმდეგეს ანგარიშის გათანაბრებაში შეუწყო ხელი - საკუთარ მეკარეს, **ტომაშ კუშჩაკს** სრულიად დაუფიქრებლად დაუბრუნა ბურთი, რომელიც ხელთ მასპინძლებმა იგდეს და ინგლისის ჩემპიონთა კარში პენალტი მოინადირეს. ამის შემდეგ, დანაშაულის გრძნობით შეპყრობილმა თავდამსხმელმა თავი ხელში აიყვანა, ორმაგად მოინდომა და ჯერ ჰალელ **ენდი დოუსონს** საკუთარ კარში ჩააჭრევინა ბურთი, შემდეგ კი თანაგუნდელ **დიმიტარ ბერბატოვს** გაუწია ასისტენტობა. ერთი სიტყვით, საბოლოოდ რუნი მატჩის გმირად იქცა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და გმირობა მწვრთნელის, სერ **ალექს ფერგიუსონის** შიშმა ჩაადენინა. თავად აღიარა:

*„ახლა თავს მშვიდად ვგრძნობ. დავწყნარდი, თორემ, ისე გამოდიოდა, რომ მოწინააღმდეგეს ჩვენს კარში გოლი მე გავატანინე და შეხვედრა ფრედ რომ დასრულებულიყო, ჩემი ბრალი იქნებოდა. ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად შემემთხვა. გულწრფელად გეტყვით, ძალიან ცუდი გრძნობა ყოფილა, თუმცა, ყველაზე მეტად მწვრთნელთან შეხვედრაზე ვნერვიულობდი. საბედნიეროდ, ფერგიუსონმა თქვა, რომ გამარჯვებით კმაყოფილია და შეგვაქო - გმადლობთ, ცუდი არ იყოო. რასაკვირველია, შევცდი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გამარჯვება გვჭირდებოდა და გავიმარჯვეთ კიდეც. ღია თამაში გამოვიდა. „ჰალმა“ შეტევა ამჯობინა და ამით ზურგი მოიშიშვლა, რამაც კონტრშეტევის საშუალება მოგვცა“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

სურვილი

# ამოროზო: დამემშვიდობეთ დორტმუნდში!



მარსიო ამოროზო

ერთ დროს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი **მარსიო ამოროზო** დღეს 35 წლისაა და ცოტა ხნის წინ აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა. ახლა კი დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელებს გამოსათხოვარი მატჩის ჩატარებას სთხოვს.

*„ვოცნებობ, რომ ჩემი გამოსათხოვარი მატჩი დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ შედგეს და კიდევ ერთხელ ვითამაშო გუნდში, რომელიც 2002 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა. ამაზე იმიტომ ვოცნებობ, რომ დორტმუნდში გატარებული პერიოდი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო და ის წლები არასდროს დამავიწყდება. „ბორუსიას“ გულშემატკივრები დღემდე სიგიჟემდე მიყვარს და ზოგადად ეს გუნდი არასდროს დამავიწყდება,“* - განუცხადა ამოროზომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

მარსიო ამოროზო „დორტმუნდმა“ 2001 წელს 25 მილიონ ევროდ შეიძინა (პარმადან) და ბრაზილიელი „ბორუსიას“ ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი გახდა. 2002 წელს მან ბუნდესლიგაში 18 გოლი გაიტანა და გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რითაც დორტმუნდელთა ჩემპიონობაში ლომის წვლილი დაიდო. დორტმუნდელი ქომაგებისთვის დაუვიწყარია ჰეთ-თრიკი, რომელიც ამოროზომ 2004 წლის პირველ აპრილს უეფას თასის ნახევარფინალში, „მილანთან“ მატჩში შეასრულა (ის თამაში დორტმუნდელებმა 4:0 მოიგეს).

*„ცუდი იდეა არ არის, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი მატჩის ორგანიზება შევძლოთ,* - ასეთია „დორტმუნდის“ ბოსის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** პასუხი, - *ისე კი, ამოროზო ჩვენთვის ყოველთვის საპატიო სტუმარია“.*

დაბოლოს, თანმიმდევრობით ჩამოგითვლით იმ კლუბებს, სადაც მარსიო ამოროზომ თავისი კარიერის განმავლობაში ითამაშა: „ტოკიო“, „ფლამენგო“, „უდინეზე“, „პარმა“, „ბორუსია“, „მალაგა“, „მილანი“, „სან პაულუ“, „პორტუ ალეგრე“, პაოკ, „გუარანი“.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ბარსელონა




# გვარდიოლა ლაპორტას წასვლას ელოდება

### პიკე და ბარსელონა გრძელდება

მსოფლიოს წლის საუკეთესო კლუბში ერთი სიახლეა - „ბარსელონას" 22 წლის ცენტრალურმა მცველმა **ჟერარდ პიკემ** გადაწყვიტა, კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გააგრძელოს. ამის შესახებ ბარსელონური გაზეთი „სპორტი" იუწყება. პიკე უახლოეს დღეებში ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერს, ყველაფერი უკვე შეთანხმებულია. „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ბარსელონაში" გადასვლის (2008) შემდეგ პიკემ იოლად დაიმკვიდრა ადგილი კატალონიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში. **ჟოან ლაპორტამ** ამას წინათ განაცხადა, რომ პიკეს დიდი ხნით შენარჩუნება მისთვის უპირველესი პრიორიტეტია. მცველის მრჩეველმა **არტურო კანალიესმა** და „ბარსას" სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** ბევრი საკითხი უკვე შეათანხმეს. *„პიკე შემდეგია, ვინც კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ჟერარდმა ეს დაიმსახურა, ის დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია"*, - აცხადებს ლაპორტა. ახალი კონტრაქტით, ჟერარდ პიკე წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ ევროს მიიღებს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, პიკეს ყიდვის მსურველს 150 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

სხვათა შორის, ჟერარდ პიკეს ოჯახური ტრადიცია აკავშირებს „ბარსელონასთან", მისი პაპა (დედის მამა) **ამადორ ბერნაბეუ** „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტი იყო.

იანვარში კატალონიურ კლუბს ახალი პრობლემა გამოუჩნდება - აფრიკის ერთა თასი. „ბარსელონა" მთელი თვის განმავლობაში მოისაკლისებს **იაია ტურეს**, რომელიც კოტ დივუარის ნაკრებში მიდის. ახლა „ბარსა" შეეცდება **სეიდუ კეიტა** მაინც შეინარჩუნოს და არ დაუთმოს ნახევარმცველი მალის ნაკრებს. კეიტა ჯერაც ტრავმირებულია, ის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, აბუ-დაბიში დაშავდა. კეიტა აფრიკის ერთა თასის ჯგუფურ ეტაპზე ისედაც ვერ ითამაშებს, „ბარსელონას" კი არც ამის შემდეგ სურს მისი გაშვება.

იანვარში „ბლაუგრანას" მართლაც სერიოზული საკადრო პრობლემები ელის - 2 იანვარს „ვილიარეალთან" მატჩში მას ალბათ არ ეყოლება ამერიკელი ლეგიონერები, რომელთაც ზუსტად 2 იანვრამდე აქვთ შვებულება და თამაშის დღეს უნდა ჩამოვიდნენ ბარსელონაში. ლაპარაკია **ლეო მესიზე, დანი ალვეშზე, რაფა მარკესზე, მაქსველზე** და **გაბი მილიტოზე**. დავუმატოთ ამას **ანდრეს ინიესტას** ტრავმა, რომლის თამაშიც „ვილიარეალთან" ძალზე საეჭვოა. ვარაუდობენ, რომ **პეპ გვარდიოლა** ახალგაზრდული გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელს დააწინაურებს, მათ შორის კი 19 წლის მექსიკელი ნახევარმცველი **ხონათან დოს სანტოსი** იქნება, რომელიც „ბარსელონა ატლეტიკში" თამაშობს.

სხვათა შორის, როგორც ჩანს, ხმები ხოსეპ გვარდიოლას შესაძლო გადაბარგებაზე „ნისლიან ალბიონზე" არცთუ უსაფუძვლოა - as-ის ცნობით, გვარდიოლა „ბარსელონასთან" ახალ კონტრაქტს არაფრის დიდებით არ გააფორმებს, სანამ გუნდს წარმავალი კაცი, ჟოან ლაპორტა პრეზიდენტობს. ის დაელოდება პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს. ამბობენ, რომ გვარდიოლამ შეიძლება მის მარჯვენა ხელს **ტიტო ვილანოვას** გაუკაფოს გზა „ბარსას" მთავარ მწვრთნელობამდე, თავად კი ან სპორტულ დირექტორად გადავიდეს (ჩიკი ბეგირისტაინი ლაპორტას წასვლის შემდეგ გუნდში არ დარჩება) ან „მანჩესტერში" **ალექს ფერგიუსონის** შემცვლელად წავიდეს.

ეკიპის გუნდი

## იდეალური 11

ფრანგულმა „ეკიპმა" 2009 წლის იდეალური გუნდის შემადგენლობა გამოაქვეყნა, 11-ეულში ყველაზე მეტი წარმომადგენელი 6 ტიტულის მომპოვებელ „ბარსელონას" ჰყავს - 5. გუნდში კიდევ ერთი წარმომადგენელია პრიმერა დივიზიონიდან. „ეკიპის" იდეალური გუნდი ასე გამოიყურება: **იკერ კასილიასი** (რეალი), **დანი ალვეში** (ბარსელონა), **ჯონ ტერი** (ჩელსი), **ნემანია ვიდიჩი** (მანჩესტერი), **პატრის ევრა** (მანჩესტერი), **მაიკლ ესიენი** (ჩელსი), **იაია ტურე** (ბარსელონა), **ჩავი** (ბარსელონა), **ინიესტა** (ბარსელონა), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **დიდიე დროგბა** (ჩელსი). როგორც ხედავთ, იდეალურ გუნდში მხოლოდ ესპანური პრიმერასა და ინგლისური პრემიერლიგის წარმომადგენლები არიან.

რეალი

# პელეგრინიმ გუნდი ვერ შეაგროვა

### რეალს მცველების ჯარი არტყია

გუშინ, **მანუელ პელეგრინიმ** მადრიდის „რეალი" სავარჯიშოდ გაიყვანა. ჩილელი მწვრთნელის განკარგულებაში სულ 11 ფეხბურთელი იყო. მათ შორის კი არ იყო **კაკა**. თითქოს, ბრაზილიელმა უკვე მოირჩინა საზარდულის ტრავმა, თუმცა „რეალის" ბაზაზე ის არ გამოჩენილა. სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშით შემოიფარგლნენ **რუუდ ვან ნისტელროი, რაულ ალბიოლი** და **გუტი**. პელეგრინიმ რამდენიმე ფეხბურთელი ზედმეტი დასვენების დღით დააჯილდოვა. **მამადუ დიარა** „რეალს" მთელი იანვარი დააკლდება, ის მალის ნაკრების შემადგენლობაში აფრიკის ერთა თასზე ითამაშებს.

**პეპეს** ტრავმის შემდეგ ესპანურ და არა მარტო ესპანურ მედიაში ბევრს წერენ პორტუგალიელის შესაძლო შემცვლელზე. რამდენიმე დღის განმავლობაში მედიამ „რეალს" უკვე 14 მცველი დაუკავშირა! ესენია: **ტრემულინასი** (ბორდო), **კიაერი** (პალერმო), **ევანსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ბრუნო ალვეში** (პორტუ), **კუელიარი** (ასტონ ვილა), **კოლოჩინი** (ნიუკასლი), **ივანოვიჩი** (ჩელსი), **ოტამენდი** (ველესი), **ვერტონგენი** (აიაქსი), **ჟონატანი** (კრუზეირო), **რაზვან რაცი** (შახტარი), **რაფინია** (შალკე), **მაიკონი** (ინტერი), **ვარგასი** (ფიორენტინა).

„რეალის" ვეტერანი ნახევარმცველის, **გუტის** შეძენა კი რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, თუმცა შეიძლება „რეალმა" ის იჯარით თურქულ „ბეშიქთაშში" გაუშვას.



რეალი ვერ შეივსო

კომპეტენტური აზრი

# ფაბიო კაპელო: რეალი უდრის ბარსას


კაპელო ესპანურ გრანდებს აფასებს

ინგლისის ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ სეზონში „რეალი" და „ბარსელონა" უკვე თანაბარი ძალის გუნდები არიან, რომ „სამეფო კლუბმა" საკმაოდ მალე აღმოფხვრა ჩამორჩენა.

*„არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იოლად ვიტყოდით, „რეალს" ბევრი უკლია „ბარსელონამდე", მაგრამ ახლა უკვე ამის თქმა უხერხულია. „რეალი" ძალიან ძლიერია. ბევრი ორჭოფობდა, რამდენად ეყოფოდა მანუელ პელეგრინის კვალიფიკაცია მადრიდული გუნდის გასაწვრთნელად, მაგრამ ჩილელმა თავისი შრომით დაამტკიცა, რომ ძლიერი სპეციალისტია. მან კარგად იცის, რა სჭირდება „რეალს". ხომ გინახავთ, როგორ თამაშობს ახალი „რეალი"? აღფრთოვანებული ვარ „ბარსელონას" თავკაცის, ხოსეპ გვარდიოლას მუშაობით. მას ფეხბურთში ახალი იდეები, ენერგია და ხარისხი მოაქვს. „ბარსელონა" უტევს ყველაფრით და თავს იცავს ასევე"*, - განაცხადა კაპელომ.

შეგახსენებთ, რომ კაპელო ორჯერ მუშაობდა „სამეფო კლუბში", პირველად 1996-97 წლების სეზონში, მეორედ 2006-07 წლების სეზონში.

მზერა მუნდიალისკენ

# ხუთი ნაკრები ამჯობინეს...

დღეს სტატისტიკურ-ანალიტიკურ „მენიუში" მსოფლიოს ჩემპიონატის D ჯგუფი გვაქვს. ამ ჯგუფსაც ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტი - გერმანიის ნაკრები. სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი. გერმანიასთან ერთად D ჯგუფის კვარტეტს ავსტრალია, სერბეთი და განა ქმნიან. მაშ ასე, რას გვეტყვის „კასტროლ პრედიქტორი"?

დაძლევს კი გერმანიის ნაკრები ჯგუფური ეტაპის ბარიერს? ამ კითხვაზე „კასტროლი" ისეთივე დამაჯერებელი ვერ არის, როგორც ინგლისელთა შემთხვევაში, თუმცა პასუხი დადებითია - 74,4%-ით დაძლევს (I ადგილი - 48,3%, II ადგილი - 26,1%). პლეიოფში პირველი ადგილით გასვლის შემთხვევაში გერმანიის ნაკრების ყველაზე სავარაუდო მეტოქე ამერიკის ნაკრებია, თუკი გერმანელები მეორე ადგილზე გავლენ, მაშინ - ინგლისი.

ეს კი, მაგრამ გერმანიის ნაკრების გულშემატკივრებს არასდროს დააკმაყოფილებთ მხოლოდ ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვება. უფრო შორეული პროგნოზი კი ასეთია: მეოთხედფინალი - 43,9%, ნახევარფინალი - 25,4%, ფინალი - 12,1%. მსოფლიოს ჩემპიონობა კი 5,8% პროცენტითაა შეფასებული. ამ მაჩვენებლით „კასტროლ ფუტბოლი" გერმანიაზე წინ ხუთ ნაკრებს (ბრაზილია, ესპანეთი, ინგლისი, ჰოლანდია და არგენტინა) აყენებს.

„კასტროლი" D ჯგუფში მეორე ადგილისთვის სერიოზულ ბრძოლას ელის, ავსტრალიის ნაკრებს კი ამ ბრძოლაში 28,1% შანსს აძლევს. ჯგუფური ეტაპის დაძლევა „სოკერუს" 48,2%-ით შეუფასდა. ავსტრალიას მეოთხედფინალში გასვლის შანსსაც კარგად უფასებენ - 21,6%. ნახევარფინალში გასვლა - 10 პროცენტი, ფინალი - 3,7%, ჩემპიონობა - 1,3%.

სერბეთის ნაკრების ჯგუფიდან გასვლაც ანალოგიურად ფასდება - 47,9% (I ადგილი - 20,8%, II ადგილი - 27%). სერბების შემდგომი წინსვლის შანსები კი ავსტრალიისაზე ოდნავ




დაბალია: მეოთხედფინალი - 20,9%, ნახევარფინალი - 9,4%, ფინალი - 3,3%, ჩემპიონობა - 1,1%.

განის ნაკრები გერმანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო, ახლა ეს ნაკრები 4 წლით „დალვინდა", თუმცა „კასტროლ ფუტბოლი" აფრიკელებს მაინც ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევს. განელებს ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსს 29,5%-ით (I ადგილი - 10,8%, II ადგილი - 18,7%) უფასებენ. ყველაზე სავარაუდო კი ისაა, რომ აფრიკული გუნდი ბოლო ადგილს დაიკავებს (42,8%). სულ რაღაც 10,1%-ია იმის შანსი, რომ განა მეოთხედფინალში გააღწევს, ნახევარფინალში გასვლა 3,5%-ით ფასდება, ფინალში - 0,9%. განა მსოფლიოს ჩემპიონად? რატომაც არა, თუმცა ამის შანსი სტატისტიკური ანალიზის მიხედვით ერთობ მცირეა - 0,2%.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია



2005 წელს თასი ლივერპულს დარჩა



კორეელი იუნ ხვან ანი, რომელიც იტალიიდან გააძევეს



კალჩოპოლის სახე ლუჩანო მოჯი

# კალჩოს სირცხვილის კედელი

**წლის** ბოლოა და იტალიური პრესის ფურცლები ძირითადად ანალიტიკური სტატიებით არის გადაჭედილი. ქვეყნდება შემაჯამებელი სტატიები, ავლენენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს და ასე შემდეგ. ჩვენი ყურადღება ერთმა საინტერესო მასალამ მიიქცია: აპენინელებმა დაასახელეს ის ათი მოვლენა, რომლებმაც 2000 წლიდან მოყოლებული, ყველაზე დიდი ზიანი მიაყენეს იტალიური ფეხბურთის იმიჯს. მაშ ასე, ერთად გადავხედოთ იტალიური ფეხბურთის სირცხვილის კედელს.

## 10. ფიასკო რიასორზე

2004 წელს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე „მილანი“ „დეპორტივოს“ გადაეყარა, გუნდს, რომელმაც მერვედფინალში ტურინის „იუვენტუსი“ დაიფრინა. იტალიაში რევანშს ელოდნენ, თუმცა... პირველ შეხვედრაში აპენინელთა იმედები გამართლდა, რადგან „მილანმა“ ესპანურ გუნდს გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო, 4:1. განმეორებით პაექრობაში, სანახევროდ ცარიელ „რიასორზე“, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: პრიმერას წარმომადგენელმა მრისხანე მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და ნახევარფინალში გაალწია. ეს იყო შოკი, რომელიც მილანში დღესაც კარგად ახსოვთ.

## 9. ინგლისი-იტალია 3:0

2008/09 წლების ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე ერთდროულად სამი ინგლისურ-იტალიური დაპირისპირება ვიხილეთ: „ჩელსი“-“იუვენტუსი“, „არსენალი“-“რომა“ და „ინტერი“-“მანჩესტერი“. პრემიერლიგამ სერია A აშკარად დაჩაგრა, რადგან სამივე დუელი ბრიტანელების გამარჯვებით დასრულდა. ყველაზე მეტად „რომას“ არ გაუმართლა - დედაქალაქელთა ჯახის ბედი თერთმეტმეტრიანთა სერიამ გადაწყვიტა. იბრძოლა „იუვენტუსმაც“, რომელიც იმ დროს მხოლოდ ძალების მოკრების სტადიაში გახლდათ, „ინტერი“ კი „მანჩესტერთან“ უსახელოდ დამარცხდა.

## 8. ინტერი ევროარენაზე

იტალიელებს მიაჩნიათ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში „ინტერმა“ გვარიანად შელახა სერია A-ს და მთლიანად იტალიური ფეხბურთის იმიჯი. გუნდი არაერთხელ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თანაც შიდა ასპარეზზე მუდამ უმაღლეს დონეზე, დიდი თავდაჯერებულობით ირჯება. თუმცა საკმარისია „ნერაძურის“ ევროპული ფეხბურთის გრანდი გადაეყაროს, რომ მილანელები თითქოს თავის თავს კარგავენ. ძნელი სათქმელია, თუ რისი ბრალია ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „ინტერმა“ კალჩო ვერაფრით ასახელა.

## 7. ლუჩანო გაუჩი

ალბათ გეცნობათ ეს გვარ-სახელი, მაგრამ საიდან, ვერ იხსენებთ, არა? ახლავე შეგახსენებთ: **ლუჩანო გაუჩი** „პერუჯას“ პრეზიდენტი გახლავთ, გუნდის, რომელიც წლების განმავლობაში სერია A-ში ასპარეზობდა. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალურ ეტაპზე, სამხრეთ კორეის ეროვნულმა ნაკრებმა იტალიური ბარიერი გადალახა, გადამწყვეტი გოლი კი „სკუადრა აძურას“ კარში „პერუჯას“ თავდამსხმელმა **იუნ ხვან ანმა** გაიტანა. ის, რაც შემდეგ მოხდა, კარგად გემახსოვრებათ - გაუჩიმ ანი გუნდიდან გააგდო, გადაწყვეტილება კი ასე ახსნა: იმ ქვეყნის ნაკრებს გაუტანა გოლი, სადაც ფეხბურთის თამაში ისწავლა და ჯობია, თვალით აღარ დამენახოსო. კორეელმა მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოახერხა ევროპულ ფეხბურთში დაბრუნება, თუმცა განსაკუთრებული წარმატების გარეშე.

## 6. მოგებული თამაშის წაგება

ამბობენ, იტალიური გუნდი თუ ორი ბურთით დაწინაურდა, მოგებას ხელიდან აღარ გაუშვებსო. 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალურმა მატჩმა გვიჩვენა, რომ შესაძლებელია იტალიურმა გუნდმა სულაც სამბურთიანი უპირატესობა გაანიავოს. ვის არ ახსოვს „მილანი“ - „ლივერპულის“ საოცარი თამაში, რომლის ბედიც თერთმეტმეტრიანების სერიამ გადაწყვიტა. იქამდე კი იყო ორი განსხვავებული ტაიმი და ფინალისთვის იშვიათი ანგარიში, 3:3. **პაოლო მალდინის** გოლს, **ერნან კრესპო** დუბლით აჰყვა და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ფეხბურთი ბოლო წუთამდე უმაღლესი კონცენტრაციით უნდა ითამაშო: **ჯერარდი, შმიცერი, ალონსო** და ეგეც თქვენი გაუვალი იტალიური დაცვა. ბუნებრივია, „კატენაჩოს“ სამშობლოში ასეთი მარცხი მძიმედ გადაიტანეს.

## 5. ტოტი, როგორც აქლემი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატი იტალიელთათვის ყოველმხრივ წარუმატებელი გამოდგა. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდი ჯგუფში ჩარჩა და უსახელოდ დაემშვიდობა პორტუგალიას. გულშემატკივრები განსაკუთრებით **ფრანჩესკო ტოტის** თამაშით დარჩნენ უკმაყოფილონი, რომელზეც ჩემპიონატის წინ უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. „პუპონემ“ მხოლოდ ერთ ეპიზოდში დაგვამახსოვრა თავი, როდესაც **კრისტიან პოულსენს** სახეში შეაფურთხა. მატჩის არბიტრს ეს ეპიზოდი გამოეპარა, სამაგიეროდ, კამერებმა შენიშნეს და „სკუადრა აძურას“ მთავარ იმედს დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ფეხბურთელი, რომელსაც იტალიის ეროვნული ნაკრების მაისურა აცვია, არ უნდა იფურთხებოდეს - აპენინურ პრესაში ასეთი პათოსის არაერთი სტატია დაიბეჭდა.

## 4. არეულობა რომში

2003/04 წლების სეზონის მეორე ნახევარში, რომაული დერბი სკანდალური გამოდგა. „რომასა“ და „ლაციოს“ გულშემატკივრებმა თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ქალაქის ქუჩებში დიდი ჩხუბი გააჩაღეს, რომლის შედეგადაც უამრავი ადამიანი დაშავდა. ტიფოზებმა ეს არ იკმარეს და კარაბინერებსაც შეუტიეს. თამაშის მსვლელობისას გავრცელდა ხმა, რომ გუნდის ერთ-ერთი გულშემატკივარი სწორედ კარაბინერებმა იმსხვერპლეს, რასაც სტადიონზე არეულობების ახალი ტალღა მოჰყვა. გულშემატკივართა ნაწილი მოედანზე ჩავიდა და თამაშის შეწყვეტა მოითხოვა. მატჩის არბიტრმა **რობერტო როზეტიმ** ქომაგთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რისთვისაც ერთი-ორი მასაც მოხვდა. ბოლოს საქმეში **ფრანჩესკო ტოტი** ჩაერია და ასე თუ ისე, განმუხტა დაძაბულობა.

## 3. კორეული კოშმარი

ზემოთ უკვე გავიხსენეთ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და იტალიის ნაკრების მარცხი სამხრეთ კორეასთან. აპენინელებს მიაჩნიათ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მარცხი იტალიური ფეხბურთის ისტორიაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ „აძურას“ ფიასკოში უდიდესი წვლილი შეხვედრის არბიტრმა შეიტანა. ვის არ ახსოვს **ბაირონ მორენო**, ეკვადორელი არბიტრი, რომელმაც ჯერ **დამიანო ტომაზის** არ ჩაუთვალა წესების სრული დაცვით გატანილი გოლი, შემდეგ კი ფრანჩესკო ტოტი გააძევა უსამართლოდ. გარდა ამისა, არაერთხელ დახუჭა თვალი კორეელთა უხეშობაზე და ყველა სადავო სიტუაციაში მასპინძელთა სასარგებლოდ ჩასტვინა. თუმცა, გავა დრო და ეს ამბები არავის ემახსოვრება, ისტორია კი მხოლოდ შედეგს შემოინახავს.

## 2. ფილიპო რაჩიტი და გაბრიელე სანდრი

2006/07 წლები იტალიური ფეხბურთისთვის მეტად სისხლიანი გამოდგა. გემახსოვრებათ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბევრი ჩემპიონატის შეჩერებაზე ალაპარაკდა. რად გვინდა ფეხბურთი თუ მან ადამიანების სიცოცხლე შეიწირება? - წერდა მაშინ „გაძეტა დელო სპორტი“. განსაკუთრებულად ხმაურიანი სიცილიელი გულშემატკივრების დაპირისპირება გამოდგა, რომელსაც ერთი კარაბინერის სიცოცხლე შეეწირა. „კატანიასა“ და „პალერმოს“ გულშემატკივართა გაშველებისას, ყველაზე მეტი სწორედ სამართალდამცავებს მოხვდათ, **ფილიპო რაჩიტი** კი სულაც სიცოცხლეს გამოესალმა. დიდი რეზონანსი მოჰყვა „ლაციოს“ გულშემატკივრის, **გაბრიელე სანდრის** გარდაცვალებასაც. „ბიანკოჩელესტეს“ თავგადაკლული ტიფოზი ავტომაგისტრალის სადგურზე ჩაცხრილეს - ეს ამბავი დღემდე გამოუძიებელია, ამბობენ, რომ სანდრი ტურინის „იუვენტუსის“ ქომაგმა გაიმეტა.

## 1. კალჩოპოლი

ყველაზე მეტად იტალიური ფეხბურთის იმიჯი რაღა თქმა უნდა კალჩოპოლმა შეარყია. ეს იყო ყველაზე დიდი სიბინძურე, რომელიც ბოლო ათწლეულში აპენინურ ფეხბურთში გვახსოვს. ჩაწყობილი თამაშები, გარიგებები კლუბებს შორის, მსაჯების მოქრთამვა და ა.შ. კალჩოპოლი არაერთ კლუბს გადასწვდა, თუმცა ყველაზე მეტად ტურინის „იუვენტუსი“ დაზარალდა. პიემონტური გრანდი სერია B-ში დააქვეითეს, **ლუჩანო მოჯი** და მისი გუნდის წევრები კი ფეხბურთს რამდენიმე წლით ჩამოაშორეს.

**ლაშა ნიკლაური**



ევრო 2004-იდან ტოტიმ მხოლოდ ფურთხით დაგვამახსოვრა თავი



იტალიელებისთვის ავადსახსენებელი
ბაირონ მორენო სკანდალური მატჩის დროს



2007 წლის 2 თებერვალი, სისხლიანი შეტაკება კატანიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სააპარლამენტო კომიტეტში



# ანგარიში სპორტულ საზოგადოებას

2009 წლის 28 დეკემბერი კიდევ ერთი საქმიანი ტრადიციის დამკვიდრების დღედ შევა ქართული სპორტის ისტორიაში. შიახლის მოთავეა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**). პირველად საპარლამენტო კომიტეტმა ანგარიში ჩააბარა ქართულ სპორტულ საზოგადოებრიობას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ანგარიშის მოსასმენად შეიკრიბნენ სპორტული ფედერაციების, სხვა სპორტული ორგანიზაციების და უწყებების წარმომადგენლები. ძირითადად ლაპარაკი იყო 2009 წელს საპარლამენტო კომიტეტისა და მასთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც ვრცლად, ამომწურავად და შთამბეჭდავად წარმოადგინა ხსენებული საბჭოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძემ**.

„ლელო" დროდადრო ოპერატიულად აშუქებდა კომიტეტისა და საბჭოს საქმიანობას, ამიტომ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მომხსენებელმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება განხილულ, გადაწყვეტილ და გადასაწყვეტ საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე. ვიტყვით მთავარს: პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ბავშვთა ფიზიკური აღზრდასა და სპორტში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სპორტის კონცეფციის შესამუშავებლად, მომზადდა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის" ახალი რედაქცია სადღეისო რეალობების და პერსპექტივის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების მოსამზადებელ კომისიას გადაეცა ჩანაწერი სპორტის შესახებ, საქართველო ევროპაში იქნება მეათე ქვეყანა, რომელსაც ქვეყნის ძირითად კანონში ასეთი ჩანაწერი ექნება, შეიქმნება სპორტული არბიტრაჟი, დამკვიდრდება სპორტული ფედერაციების რეესტრის სისტემა, დამტკიცდება სპორტში ეროვნული წოდებები და ა.შ.

გიორგი ასანიძემ ილაპარაკა გლობალურ საკითხებზე, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის განვითარებას. სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ კადრების მომზადება არ შეფერხდება, გადაწყვეტილება მიღებულია, ხოლო თუ რა ფორმით და როგორ, მალე გაირკვევა.

შეხვედრაზე წამოიჭრა რამდენიმე საკითხი, რომელსაც, როგორც გ. ასანიძემ თქვა, უთუოდ გაითვალისწინებს კომიტეტი და თვალყურს მიადევნებს მის რეალიზაციას.

**თენგიზ თომაშვილი**

## გალინა შარაბიძე-მინაიჩევა 80



სპორტულ ტანვარჯიშში 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს გუნდურ ჩათვლაში, მეორე და მესამე პრიზიორს საგნით ჯგუფურ ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში, მსოფლიოს ჩემპიონს გუნდურ შეჯიბრებაში და მეორე პრიზიორს საგნით ჯგუფურ ვარჯიშში (1954), სსრ კავშირის ჩემპიონს დვირზე ვარჯიშში (1953), საერთაშორისო ტურნირში მრავალგზის გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს გალინა შარაბიძე-მინაიჩევას დღეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

### მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და ორგზის პრიზიორს, სახელოვან ვეტერან ტანმოვარჯიშეს გალინა შარაბიძე-მინაიჩევას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავს სპორტული ტანვარჯიშის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების ორდენოსან გალინა შარაბიძე-მინაიჩევას.

### გალინა შარაბიძეს!

ქალბატონო გალინა,

გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს და დამდეგ 2010 წელს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

*ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს" კოლექტივი.*

### დაჯილდოება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დაბადებიდან 80 წლისა და ტანვარჯიშის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის დეპარტამენტის საპატიო სიგელით დააჯილდოვა გალინა შარაბიძე-მინაიჩევა.

მშვილდოსნობა

თბილისის პირველობა

# თბილისში ხალხი მომრავლებულა

კვირას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა მშვილდოსნობაში. ტურნირი დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული და მასში მხოლოდ თბილისელი მოისრეები გამოდიოდნენ. შეჯიბრება ქალთა და ვაჟთა შორის სამივე ასაკში ჩატარდა და მთლიანობაში 45-მდე მონაწილეს მოუყარა თავი. ეს ციფრი გასაკვირიც კია მშვილდოსნობის ბოლოდროინდელი გეოგრაფიისა და განვითარების ფონზე. სასიამოვნოა, მხოლოდ თბილისში თუ ამდენი სპორტსმენი ვარჯიშობს. გამოდის, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით გეოგრაფია გაზრდილა. მშვილდოსნობის ცენტრად, ტრადიციულად, აჭარა რჩება, თუმცა ბოლო წლებში ჯგუფები გამოჩნდა ქუთაისში და კიდევ ერთ-ორ რეგიონში.

ამ ტურნირზე კიდევ ერთი ტენდენციაც დადასტურდა, რაც მშვილდოსნობასა და ტყვიის სროლაში სასიამოვნო პროცესად იქცა - ძველი სპორტსმენების დაბრუნება. ცხადია, მათ სანაკრებო შანსებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ისინი არც ისე ცუდ შედეგებს აჩვენებენ და მთლად ლიდერებს თუ არა, მეორე-მესამე ნომრებს ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან, ზოგჯერ კი ჯობნიან კიდეც. ბუნებრივია, ეს ნაკრებებში კონკურენციას გააძლიერებს და შედეგებიც მოიმატებს. მშვილდოსნებისთვის ასეთი შენამატი **რუსუდან შავერდაშვილი** გახდა, რომელმაც ვერცხლი მოიპოვა. სხვა მონაწილეთაგან ნიბლიაშვილების ოჯახს გამოვარჩევთ, რომლის ყველა წევრი ამჯერადაც ტურნირის მედალოსანი გახდა. ოღონდ, წინა შეჯიბრებისგან განსხვავებით, როცა სამივე ბრინჯაოს დაეუფლა, ამჯერად მამამ - **შალვა ნიბლიაშვილმა** და შვილმა - **ანანო ნიბლიაშვილმა** ოქრო ირგუნეს, **გიორგი ნიბლიაშვილი** კი მეორეზე გავიდა.

ტურნირზე რამდენიმე ახალი სახელი კი გამოჩნდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, შეჯიბრებამ სენსაციების გარეშე ჩაიარა და ლიდერებმა - შალვა ნიბლიაშვილმა და **ქრისტინე ესებუამ** დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს. ქალთა ტურნირიდან მედალოსნებში **ნინო უბირიას** გამოჩენასაც გამოვყოფთ, რომელიც აფხაზეთიდან დევნილია და თბილისში ცხოვრობს. ახალგაზრდულ ნაკრებში მას ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად მიიჩნევდნენ, თუმცა მერე ცოტათი „ჩაიკარგა".

დავძენთ, რომ ეს სეზონის ბოლო შეჯიბრება იყო, თუმცა იგი საგაისო ბატალიებისთვის მზადების საწყისი ეტაპიცაა.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები უფროსები:** 1. შალვა ნიბლიაშვილი; 2. დავით ჭელიძე; 3. ლაშა მაჩაიძე.

**ახალგაზრდები:** 1. გრიგოლ მაყაშვილი; 2. ზურაბ შურღაია; 3. ალექსანდრე ტალახაძე.

**ჭაბუკები:** 1. ზურაბ ქურხაშვილი; 2. გიორგი ნიბლიაშვილი; 3. გოგა კაპანაძე.

**ქალები. უფროსები.** 1. ქრისტინე ესებუა; 2. რუსუდან შავერდაშვილი; 3. ნინო უბირია.

**ახალგაზრდები:** 1. ანანო ნიბლიაშვილი; 2. ლალი ოდოშაშვილი; 3. მილანდა ნამიჭეიშვილი.

**ჭაბუკები:** 1. ინოლა ბერაძე; 2. ნინო მეკოკიშვილი; 3. ქეთევან მაკარაშვილი.

**ირაკლი თავაძე**

კრივი

ინტერვიუ ბექა ლობჟანიძესთან

# დირექტორი საქართველოს თასის მფლობელია



**ამას წინათ ახალქალაქში გამართულ კრივში საქართველოს თასის გათამაშებაში შიდა ქართლი გორის და ვარიანის გუნდებით იყო წარმოდგენილი. ქართლელებმა საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინეს და შინ სამი ჩემპიონით და ორი ბრინჯაოს პრიზიორით დაბრუნდნენ. სამივე ჩემპიონი მძიმე წონის წარმომადგენელია - რევაზ ქარელიშვილი (81კგ) და დავით გოგიაშვილი (91) ვარიანელები არიან, ბექა ლობჟანიძე (მძიმე წონა) გორელია, იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. ბოლო წელიწად-ნახევარია, ტრავმის გამო რინგზე აღარ გამოსულა. ამჟამად გორის კრივის სკოლის დირექტორია. ახალქალაქში გამარჯვებულ გორის კრივის სკოლის დირექტორს "ლელოსთვის" ინტერვიუ ვთხოვეთ.**

**- გორის კრივის სკოლის დირექტორად დანიშვნის შემდეგ თქვენი რინგზე დაბრუნება ბევრისთვის მოულოდნელი იყო.**

- აქტიური სპორტისთვის პრაქტიკულად თავი არ დამინებებია. ბოლო ორთაბრძოლა შარშან, თებერვალში იტალიაში პროფესიულ რინგზე გავმართე და მოვიგე კიდეც. შემდეგ ტრავმის გამო ველარ ვემზადებოდი. ბოლო სამი თვეა, ვარჯიში განვაახლე და საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა დავგეგმე. ხელს მიწყობს ასაკიც, 29 წლის ვარ. რამაზ ფალიანმა რომ გაიგო, კარიერას ვაგრძელებდი, ძალიან გაუხარდა. შენი იმედიც მაქვს და თანაც კარგია, რომ ახალბედებსაც გაუზიარებ გამოცდილებასო - მითხრა.

**- ბოლო წლებში ქვეყნის ჩემპიონობა არ გიჭირდათ. თითქმის ორწლიანი პაუზის შემდეგ ძნელი იყო წარმატების მიღწევა?**

- ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გამიჭირდა. ნახევარფინალში ვარიანის სახელით მოასპარეზე თორნიკე ნებიერიძეს მოვუგე, ფინალში კი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, ქუთაისელი ბახტიძე დავამარცხე. ვფიქრობ, რომ ჩემი გამარჯვებები დამაჯერებელი იყო. სულ მალე უფრო მაღალი დონის შეჯიბრებებზე წარმატებების მოპოვებისთვისაც ვიქნები მზად.

**- თქვენი თანაგუნდელების გამოსვლას როგორ შეაფასებდით?**

- ბრინჯაოს მედლები ნიკა სეხნიაშვილმა (69) და გიორგი ყულუმბეგაშვილმა (51) მოიპოვეს, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ ეტაპზე მათგან მეტს არც ველოდი. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ამ სპორტსმენთა ზრდის ტემპი საკმაოდ ნორმალურია. მომავალში მათგან მეტი წარმატების იმედი გვექნება.

**- ზოგადად შეჯიბრებაზე რას იტყვით?**

- საქართველოს თასის ახალქალაქში ჩატარება სერიოზული სტიმულია რეგიონებისთვის. ახალქალაქელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციული თვალსაზრით ყველაფერი რიგზე იყო. ოთხი დღის განმავლობაში დარბაზიც მუდამ სავსე იყო ქომაგით. კმაყოფილება მინდა გამოვთქვა საქართველოს კრივის ფედერაციის და ჩვენი ქვეყნის სპორტის მესვეურთა მიმართ, მათი დამსახურებაა, რომ ჩვენთან საკრივო ტურნირების დონე ყოველწლიურად მაღლდება.

**- ბოლოს თქვენი და გორის კრივის სკოლის სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...**

- მე გავაგრძელებ ვარჯიშს და ალბათ ჩვენს ნაკრებთან ერთად შეკრებებსა და შეჯიბრებებშიც მივიღებ მონაწილეობას. გაისად, ზაფხულში მოსკოვში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. ვნახოთ, იქნებ იმ დროისთვის ნაკრების ღირსების დაცვამაც მომიწიოს. გორის კრივის სკოლასაც არ მოვაკლებ ყურადღებას. გაისად გორში ორი წარმომადგენლობითი შეჯიბრებაა დაგეგმილი, ორივე ტრადიციულია - წლის პირველ ნახევარში შიდა ქართლის ღია პირველობა და შემოდგომით გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირი, რომლისთვისაც საერთაშორისო სტატუსის მიცემას წელსვე ვაპირებთ. აზერბაიჯანელებსა და სომხებთან ერთად, სავარაუდოდ, თურქეთის გუნდიც გვეწვევა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

სუმო

# ტოჩინოშინი: 2010 წელს კომუსუბი გავხდები



ტოჩინოშინი და ასაშორიუ სპარინგისას

იაპონიაში დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ როგორ ემზადება ბაშოსთვის იოკოძუნა, ანუ დიდი ჩემპიონი. მოგეხსენებათ, დღეისთვის სუმოში ორი იოკოძუნაა, ორივე მონღოლი - **ასაშორიუ და ჰაკუჰო**. თანამედროვეობის ყველაზე ტიტულოვან სუმოისტ ასაშორიუს ბოლო დროს ერთი ახირება სჭირს - სპარინგპარტნიორად ყოველთვის ქართველ **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)** ირჩევს. ასე იყო ამჯერადაც, ასაშორიუ მშობლიურ მონღოლეთში ახალი წლის შესახვედრად გაფრინდა, მანამდე კი მთელი დღე სავარჯიშო დოჰიოზე ტოჩინოშინთან ერთად გაატარა. ქართველმა და მონღოლმა 17 სპარინგი გამართეს, ჩვენებურმა სულ ორჯერ შეძლო ასაშორიუს დამარცხება, 15 ორთაბრძოლა იოკოძუნამ მოიგო.

სპარინგების შემდეგ ტოჩინოშინმა იაპონელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკვე მზად არის სენიაკუს რანგში (კომუსუბი და სეკივაკე) ასაზევებლად და ამას 2010 წლის განმავლობაში მიაღწევს. შეგახსენებთ, რომ ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტი დასავლეთის პირველი მაეგაშირაა და მას იანვრის ბაშოზე დადებითი ბალანსი კომუსუბის ტიტულს მოუპოვებს. წლის პირველი ბაშო 10 იანვარს ტოკიოში დაიწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

საქართველოს XIX ჩემპიონატი. IX ტური

# სენსაცია: დინამო!

## სიგუას, გაფრინდაშვილისა და იმნაძის რეკორდები

**28 დეკემბერი**

თბილისი, სპორტის სასახლე

**ჭიათურა–ავიამშენი 63:125**

17:28, 14:37, 15:33, 17:27

ჭიათურა: ფ. გურული (10ქ, 6მ, 3პ, 4ჩ), გ. გურული (9ქ), ენუქიძე (2ქ, 6მ), სვანიძე (16ქ, 7მ), გაბუნია (9ქ), მჭედლიშვილი (4ქ, 3პ), ხაჩიური (8ქ, 5მ, 3პ), მეზვრიშვილი (5ქ, 8მ)

ავიამშენი: ბადრიძე (4ქ, 6მ, 10პ), ბოისა (21ქ, 13მ, 5პ), ბერაია (17ქ), ვახანია (6ქ, 8მ), მაჩალაძე (2ქ, 5მ, 3ჩ), ათუაშვილი (32ქ, 13მ, 3დ), ნინიაშვილი (30ქ, 10მ, 5პ, 2დ), მინაშვილი (13ქ, 6მ)

მსაჯები: დ. არეშიძე, გ. სადგომელაშვილი, კომისარი: რ. ხომერიკი

**სოხუმი–ბათუმი 74:97**

20:20, 15:27, 27:24, 12:26

სოხუმი: ტეტელაშვილი (2ქ, 3ჩ), სორდია (9ქ, 4პ), კვეტენაძე (12ქ, 6მ, 3პ, 3ჩ, 2დ), ბ. ბერიშვილი (9ქ, 5პ, 4ჩ), კვიმსაძე (18ქ), კობიძე (10ქ, 5მ), თვარაძე (4ქ, 3ჩ), სულაბერიძე (4ქ), ნიკლაური (2ქ), კობერიძე (4ქ), გაბელია, არეშიძე

ბათუმი: მიქელაძე, ბ. ლეჟავა (29ქ, 4პ, 2დ), თავართქილაძე (9ქ, 5მ, 4პ), კეშელავა (11ქ, 3პ), იმნაძე (25ქ, 20მ, 4პ, 3დ), როდუმტა (4ქ, 7მ, 3პ, 2დ), ნინუა (12ქ, 3პ, 4ჩ), მ. ბოლქვაძე (7ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

**შსს–დინამო 72:73**

21:14, 21:13, 16:14, 14:32

შსს: ლაფანაშვილი (7ქ, 10მ, 4პ), ფაიქრიძე, ი. ბერიშვილი (18ქ, 3პ), პატარაია (2ქ), აბულაძე (2ქ, 6მ, 5ფ), კორკოტაძე, ს. შერმადინი (13ქ, 8მ), ყველაშვილი (3ქ, 12მ), სუხიშვილი (5ქ. 8მ), ნიკოლაძე (22ქ, 4პ)

დინამო: ნოზაძე (15ქ, 7პ, 3ჩ), ეძგვერაძე (12ქ), სიგუა (12ქ, 7მ, 7ჩ, 7პ), გემაზაშვილი (7ქ, 6მ), ჯანგველაძე (12ქ), დეკანოიძე (6მ), კოპალიანი (5მ, 5პ), ლონდარიძე (15ქ, 13მ, 2დ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: მ. ქურიძე

**სამედ/აკადემია–თსუ 64:93**

15:14, 19:25, 18:21, 12:33

სამედ/აკადემია: ი. ლეჟავა (10ქ, 5მ), ლომოური, ბოქოლიშვილი (19ქ), ბექაური (15ქ, 9მ, 5დ), მუმლაძე (6ქ, 11მ), თენიეშვილი (3ქ, 4პ), გაბისონია (2ქ), ჯავახიშვილი (2ქ, 5მ), ელიაძე (7ქ)

თსუ: ფანჩულიძე (21ქ, 7მ, 5პ), გაფრინდაშვილი (2ქ, 11პ, 7მ, 4ჩ), კოხრეიძე (4ქ, 6მ, 3ჩ), კეიდია (19ქ, 5მ, 3პ, 2დ), ლოსაბერიძე (18ქ, 5პ), ივანეიშვილი (2ქ), დ. ბარბაქაძე (27ქ, 17მ), კუჭავა

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: რ. გელოვანი

| | თ | მ | წ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 9 | 8 | 1 | 867-682 | 17 |
| 2. ენერჯი | 8 | 8 | 0 | 765-498 | 16 |
| 3. აგრარული | 8 | 7 | 1 | 671-549 | 15 |
| 4. ბათუმი | 9 | 6 | 3 | 796-676 | 15 |
| 5. შსს | 9 | 4 | 5 | 785-722 | 13 |
| 6. ავიამშენი | 9 | 4 | 5 | 770-729 | 13 |
| 7. სოხუმი | 9 | 3 | 6 | 647-732 | 12 |
| 8. დინამო | 9 | 3 | 6 | 632-781 | 12 |
| 9. სამედ\აკად. | 9 | 1 | 8 | 585-720 | 10 |
| 10. ჭიათურა | 9 | 0 | 9 | 531-960 | 9 |



დინამო-შსს

საქართველოს ჩემპიონატში გუნდები არათანაბრად არიან დაკომპლექტებულნი. ერთში თავმოყრილია გამოცდილი, საჩემპიონო შემადგენლობა, მეორეში – ახალგაზრდები, რომლებიც სუპერლიგაში პირველ სეზონს ატარებენ. რა შეიძლება დავარქვათ პირველი კატეგორიის გუნდების (საჩემპიონოების) მეორეებთან (ახალგაზრდულებთან) წაგებას? პასუხი მარტივია – სენსაცია.

სენსაციის ლოდინმა პირველი წრის ბოლო ტურამდე მოგვიწია: "დინამომ" შსს-ს 73:72 მოუგო. მატჩამდე ეს წარმოუდგენელი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ წინა ტურში "ენერჯისთან", "დინამომ" უსუსურად ითამაშა, პირველი ტაიმი 12:47 წააგო...

თავიდან შსს-მაც კარგად დაიწყო, მეორე პერიოდის დასაწყისში 29:14 დაწინაურდა. ძალოვნებმა სოლიდური უპირატესობა მეოთხე რაუნდის დასაწყისამდე შეინარჩუნეს – 30 წუთის შემდეგ 58:41-ს იგებდნენ.

სწორედ ასეთმა სხვაობამ მოატყუა შსს-ელები. ისინი ვერ ხედავდნენ გზას, რომლითაც "დინამოს" თამაშის შემოტრიალება შეეძლო. თუმცა, ბოლო მეოთხედში ერთი-ორად შემართული "დინამო" ვიხილეთ. **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა სირენამდე 5 წუთით ადრე სხვაობა 10 ქულამდე შეამცირეს, დარჩენილ დროში მათმა სიზუსტემ იმატა და... მატჩის დასრულებას 4 წამი უკლდა, როცა **ილია ლონდარიძემ** თანაგუნდელები 73:72 დააწინაურა... ეს უკვე სენსაცია იყო.

"დინამოს" გამარჯვება, პირველ რიგში, გუნდური თამაშის შედეგი რომ იყო, სტატისტიკაც მოწმობს: ხუთმა კალათბურთელმა 15-12 ქულას შორის იტრიალა. ლონდარიძემ და **ნოზაძემ** 15-15 ჩააგდეს, ხოლო **ეძგვერაძემ, სიგუამ** და **ჯანგველაძემ** – 12-12. ნოდარ სიგუამ 7 ჩაჭრა, 7 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. გგონიათ ციფრების დამთხვევას უნდა გავუსვათ ხაზი? არა, ბატონო, ლაპარაკია რეკორდზე: 7 ჩაჭრა მიმდინარე პირველობის რეკორდული მაჩვენებელია.

■ ■ ■

გუშინ "ავიამშენმა" წრის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა – 125 ქულა ჩააგდო. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან "მფრინავები" ცხრილის ფსკერზე მყოფ ჭიათურელებს დაუპირისპირდნენ. სამმა თბილისელმა ორმაგი დუბლი შეასრულა: **ანატოლი ბოისამ** 21 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა, **სერგო ათუაშვილმა** 32 ქულა და 13 მოხსნა, ხოლო **თორნიკე ნინიაშვილმა** დაამრგვალა - 30 ქულა და 10 მოხსნა. ლოგიკური იყო მოხსნებში დაფიქსირებული დიდი სხვაობაც: 64:39 - "ავიას" სასარგებლოდ.

■ ■ ■

შედარებით საინტერესო გამოდგა მომდევნო მატჩი, რომელშიც "ბათუმმა" "სოხუმს" 97:74 აჯობა. როცა, ერთმა გუნდმა 23-ქულიანი სხვაობით მოიგო, როგორ შეიძლება ასეთ დაპირისპირებას საინტერესო უწოდო, - იკითხავს მავანი.

პასუხიც მზადაა: საწყისი 30 წუთის განმავლობაში სოხუმელები მეტოქეს თანაბრად ებრძოდნენ. მესამე ათწუთეულის ბოლო წამზე ბათუმელ **მანუჩარ ნინუას** სამქულიანი რომ არ ჩაეგდო, სხვაობა ოდენ 6 ქულა იქნებოდა. რადგან მანუჩარმა ჩააგდო, მეოთხე რაუნდს აჭარლები 9-ქულიანი ფორით შეხვდნენ – 71:62.

მეოთხე პერიოდის მეხუთე წუთზე "სოხუმის" გასწვრივ ისევ 62 ეწერა. **დავით უსტიაშვილის** შეგირდები კი 20:0 სპურტის შემდეგ 88:62 დაწინაურდნენ. საფინალო ანგარიში უკვე მოგახსენეთ.

"ბათუმის" გამარჯვებაში 29-ქულიანი წვლილი შეიტანა **ბესიკ ლეჟავამ, დავით იმნაძე** კი ორმაგ დუბლს გამორჩა – 25 ქულა, 20 მოხსნა.

სხვათა შორის, 20 მოხსნა მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდია. იმნაძემ თანაგუნდელი **როდუმტას** მაჩვენებელი (19) გააუმჯობესა.

■ ■ ■

დღის ბოლო მატჩში "სამედიცინო/აკადემიამ" სერიოზული ბრძოლა გაუწია ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ თსუ-ს. **გელა წულაძის** "აკადემიკოსი" შეგირდები გამარჯვების შანსს მეოთხე პერიოდამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა ბოლო ათწუთეულში თსუ-ს კალათბურთელებმა ყველაფერი თავის ადგილას დააყენეს, 33:12 მოიგეს...

ეფექტური დუბლი შეასრულა თსუ-ს ლიდერმა **დავით ბარბაქაძემ**. მან 27 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა. მართალია, **გიორგი გაფრინდაშვილის** მონაგარი შედარებით მოკრძალებული იყო, მაგრამ სეზონის რეკორდი კი გაიფორმა – 11 შედეგიანი გადაცემა მიმდინარე გათამაშების საუკეთესო შედეგია.

■ ■ ■

სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურის ოთხი შეხვედრა კი გაიმართა, მაგრამ ტურის საუკეთესო კალათბურთელს მაინც ვერ დავასახელებთ. ამას ობიექტური მიზეზი აქვს: დღეს წრის ბოლო მატჩი რუსთავში გაიმართება. ცენტრალური შეხვედრაც ის იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვემო ქართლში მე-18 ჩემპიონატის ფინალისტები, "ენერჯი" და სსაუ ითამაშებენ. პირველი წრე ისე მთავრდება, რომ რუსთაველებს წაგება არ აქვთ, ხოლო "აგრარები" მხოლოდ თსუ-სთან დამარცხდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## მგლების ტირი: ტრირი

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა **ლაშა გამყრელიძემ** ფეხის ტრავმა მოიშუშა და გერმანულ ბუნდესლიგაში "ტრირის" წინააღმდეგ ითამაშა. ლაშას მატჩამდე ვესაუბრეთ და გვითხრა, რომ მე-15 ტურის მატჩი ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა "ტრირთან" მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე "მიტელდოიჩერთან" სრულყოფილად ვარჯიშს შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ გამყრელიძეს ფეხი აღარ აწუხებს, იგი მწვრთნელმა "ტრირთან" მხოლოდ 12 წუთი ათამაშა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იოლად მოგებულ მატჩში მწვრთნელმა ლაშა ზედმეტად არ დატვირთა. "მიტელდოიჩერმა" მეტოქე 78:61 დაამარცხა.

ქართველმა გამთამაშებელმა სამივე ორქულიანი ააცილა, ერთიდან ერთი სამიანი ჩააგდო და მატჩი 3-3 ქულა-პასით ჩაამთავრა, რასაც თითო მოხსნა-ჩაჭრა მიამატა. "მიტელდოიჩერში" **ადე დაგუნდურო** გამოირჩა – 20 ქულა ჩააგდო.

"ტრირთან" გამარჯვების შემდეგ "მგლებმა" ცხრილში მეცხრედან მეექვსე ადგილზე აინაცვლეს მათ 9 მოგება და 6 წაგება აქვთ.

მე-16 ტურში "მიტელდოიჩერი" "ვალტერს ტაიგერსს" დაუპირისპირდება. მატჩი 2 იანვარს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## სქიტა სნაიპერობას არ თმობს

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი** კვლავ „ფუენლაბრადას" სნაიპერი გახდა: 18 ქულა ჩააგდო. იგი ესპანეთის ჩემპიონატის მე-14 ტურში მადრიდელებს მეტოქის კალათისკენ გაუძღვა, მატჩის ბომბარდირობაც იკისრა, მაგრამ ბოლო წუთებზე გამარჯვება მაინც სტუმარ „გრანადას" დარჩა - 83:76.

ესპანური პირველობის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ვიდეომიმოხილვაში ნიკა ცქიტიშვილის ორი ეფექტური ჩატენვა მოხვდა. საერთოდაც, ცქიტოს ასე თავისუფლად დიდი ხანია, არ უთამაშია - 12 ორქულიანი, 4 სამიანი ისროლა. მათგან მიზანში სამიანი და 7 ორიანი მოარტყა. მწვრთნელი სკიტას ბოლომდე რომ ენდობა, ეს არახალია, ქართველი ამჯერადაც სასტარტო იყო და მოედანზე 29 წუთი გაატარა. 18 ქულის გარდა ნიკამ 5 მოხსნა მიითვალა. 10-ქულიან ზღვარს ქართველი ფორვარდის გარდა ორი ფუენლაბრადელი ასცდა: **ზაზა ფაჩულიას** ყოფილი თანაგუნდელი („ატლანტა ჰოქსში") **ესტებან ბატისტა** (14 ქულა) და **ჯერალდ ფიში** (11).

ესპანელებმა, ქართველების დარად, 2009 წლის ბოლოს ტურები ერთმანეთს „მიაწებეს": პირენეებზე მე-15 ტური 30 დეკემბერს გაიმართება. „ფუენლაბრადა" „ვალიადოლიდს" ესტუმრება, ხოლ **ტაირონ ელისის** „კახასოლი" „ალიკანტეს" მიიღებს.

მე-14 ტურში ელისმა ორი „კახას" დუელში მიიღო მონაწილეობა: „კახა ლაბორალმა" „კახასოლს" უმასპინძლა და 73:66 დაამარცხა.

თანაგუნდელებს სათანადოდ ვერ დაეხმარა ტაირონ ელისი, რომელმაც 6 სამქულიანიდან და 2 ორქულიანიდან მხოლოდ თითო ტყორცნა გამოიყენა. ტაირონმა 23 წუთში 5 ქულას 1 პასი მიამატა.

შაბათს საქართველოს სუპერლიგის მატჩებს დაესწრო „ვალენსიას"' ახალგაზრდა ფორვარდი **თორნიკე შენგელია**. მან განგვიმარტა, რომ საქართველოში საბუთების მოწესრიგების მიზნით ჩამოვიდა. შაბათს საღამოსვე იგი ვალენსიაში დაბრუნდა, წასვლამდე კი გვითხრა, კვირის მატჩისთვის გუნდთან ერთად ვიქნები და მწვრთნელი განაცხადში შემიყვანს თუ არა, არ ვიციო. **ნევენ სპაჰიამ** ბილბაოში ქართველის გარეშე ითამაშა. „ვალენსიამ" სტუმრად 80:79 გაიმარჯვა.

ბოლოს ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს გავეცნოთ. პირველ პოზიციაზეა „ბარსელონა", რომელმაც ბოლო ტურში „რეალს" სძლია. მეოთხეა „ვალენსია" - 10 მოგება, 4 მარცხი. „კახასოლს" 8 გამარჯვება და 6 წაგება უწერია და ცხრილში მეექვსე ადგილზეა. გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია ნიკა ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა": 5 მოგება, 9 წაგება. ასეთი მაჩვენებელი ერთბაშად ხუთ გუნდს აქვს, რომლებიც სატურნირო ცხრილში მეთორმეტე-მეთექვსმეტე ადგილებს ინაწილებენ.

ესპანურ სუპერლიგაში 18 კლუბი თამაშობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ქველმოქმედება

# საგურამოელი ბავშვები რაგბით ცხოვრობენ

საგურამოს ბავშვთა სახლში დიდი ხანია, რაგბის გუნდი ჩამოყალიბდა. ეს ვაჟკაცური სპორტის სახეობა ბავშვებმა უმალ შეიყვარეს და მათი უმრავლესობა თავისი მომავლის დაკავშირებას სწორედ რაგბისთან აპირებს.

საქართველოს რაგბის კავშირმა და მისმა პარტნიორმა, სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" საახალწლო საქველმოქმედო აქცია მოაწყვეს. საგურამოს ბავშვთა სახლის რაგბის გუნდს შპს „ქართული რაგბის" მიერ შეკერილი სპორტული ფორმები გადასცეს საჩუქრად.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა სტუმრებს სახელდახელო კონცერტი გაუმართეს. ლექსებსა და სიმღერებს მათ მიერ შესრულებული თანამედროვე ცეკვები მოჰყვა.

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„ეს ერთჯერადი აქცია არ იქნება. ამ ბავშვთა სახლს, მის რაგბის გუნდს მომავალშიც არაერთხელ დავეხმარებით. აქ რაგბის თურმე გოგონებიც თამაშობენ, რაც ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო."*

**გია გორგასლიძე,** საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:

*„6 თებერვალს ევროპის ერთა თასის პირველი შეხვედრა გვაქვს გერმანიის ნაკრებთან. ამ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა მატჩზე დასწრების ორგანიზებას საქართველოს რაგბის კავშირი უზრუნველყოფს."*

**ნიკა რამიშვილი,** „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" პრეზიდენტი:

*„მიუსაფარ ბავშვთა დახმარება ყველა ჩვენგანის ვალია. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ისინი სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, საზოგადოებაში ინტეგრირება გაუადვილდეთ. საქართველოს რაგბის კავშირთან ერთად არაერთ კეთილ საქმეს ვაკეთებთ, ჩვენი თანამშრომლობა შემდგომაც გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება".*

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის ლაურეატები











# საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმი 2009

**2009 წლის საუკეთესო ათეული:**

1. მანუჩარ ცხადაია
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
326 ქულა

2. ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა
302 ქულა

3. კობა ფხაკაძე
კრივი
231 ქულა

4. ვიქტორ სანიკიძე
კალათბურთი
203 ქულა

5. ალბერტ კუზილოვი
ძალოსნობა
198 ქულა

6. ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო
185 ქულა

7. გიორგი გოგშელიძე
თავისუფალი ჭიდაობა
182 ქულა

8. ზაზა ფაჩულია
კალათბურთი
180 ქულა

9. ნანა ძაგნიძე
ჭადრაკი
161 ქულა

10. უშანგი კუზანაშვილი
სამბო
102 ქულა

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ყველა დროის გამოკითხვის ლაურეატები:**

1964 - სლავა მეტრეველი, 1965 - ომარ ფხაკაძე, 1966 - ალექსანდრე მეტრეველი, 1967 - ზურაბ საკანდელიძე, 1968 - ვიქტორ სანეევი, 1969 - ნონა გაფრინდაშვილი, 1970 - თინათინ ლეკვეიშვილი, 1971 - ლევან თედიაშვილი, 1972 - ვიქტორ სანეევი, 1973 - ლევან თედიაშვილი, 1974 - ლევან თედიაშვილი, 1975 - ნონა გაფრინდაშვილი, 1976 - ვიქტორ სანეევი, 1977 - დავით კვაჭაძე, 1978 - მაია ჩიბურდანიძე, 1979 - თემურ ხუბულური, 1980 - ქეთევან ლოსაბერიძე, 1981 - რამაზ შენგელია, 1982 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1983 - თეიმურაზ აფხაზავა, 1984 - მაია ჩიბურდანიძე, 1985 - დავით გობეჯიშვილი, 1986 - მაია ჩიბურდანიძე, 1987 - ლერი ხაბელოვი, 1988 - ნინო სალუქვაძე, 1989 - არ ჩატარებულა, 1990 - დავით გობეჯიშვილი, 1991 - არ ჩატარებულა, 1992 - კახი კახიაშვილი, 1993 - კახი კახიაშვილი, 1994 - მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1995 - გიორგი ვაზაგაშვილი, 1996 - ელდარ კურტანიძე, 1997 - გიორგი კანდელაკი, 1998 - გიორგი ასანიძე, 1999 - ნინო სალუქვაძე, 2000 - გიორგი ასანიძე, 2001 - გიორგი ასანიძე, 2002 - ელდარ კურტანიძე, 2003 - ელდარ კურტანიძე, 2004 - ზურაბ ზვიადაური, 2005 - რევაზ მინდორაშვილი, 2006 - ზაზა კედელაშვილი, 2007 - რამაზ ნოზაძე, 2008 - ირაკლი ცირეკიძე, 2009 - მანუჩარ ცხადაია.











დიდი სპორტის კარიბჭესთან

# ფორტეპიანო, ხმალი და განგმირული მეტოქეები

ბავშვობისას მუსიკაზე დადიოდა, ცეკვავდა და ფორტეპიანო უყვარდა ერთობ, მუსიკალური შვიდწლედიც დაამთავრა უფროს დასთან ერთად. ოთხი წლის წინათ კი კახიანების ცხოვრებაში გადატრიალება მოხდა — პიანისტობას მუშკეტერობა ამჯობინეს. ოჯახის ახლობლის — **თამაზ კაკულიას** რჩევით შეიცვალეს პროფილი. 2005 წლის ნოემბერში პირველად დადგნენ საფარიკაო ბილიკზე. უმცროს დას მეტი მოქნილობა აღმოაჩნდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, რომ არაფერი ვთქვათ საპრიზო ადგილებზე, საქართველოში გამართული შეჯიბრებებიდან 19 ტურნირზე კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო, მათ შორის ხუთჯერ — საქართველოს ჩემპიონატებში, მით უმეტეს, რომ ორი-ოთხი წლით უფროსებში ასპარეზობს.



თეოდორა და სოფიო კახიანები

**თეოდორა და სოფიო კახიანებს** ბიჭებიც უფრთხიან — ალესილი ხმლებით დადიან და თავები არ წაგვაცალონო... ცხადია, ეს ხუმრობით, თორემ ძალიან მოსიყვარულე, საქმიანი და ენაწყლიანი გოგონები არიან. ამჟამად **ლუდვიგ ლალანიძისა** და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **მერაბ ბაზაძის** ხელმძღვანელობით იმაღლებენ ოსტატობას. თეოდორა ჯაბნის ორი წლით უფროს დას. შარშან საქართველოს ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. სოფიო 13:15 დამარცხდა. თეოდორასთან მსგავსი ანგარიშით წააგო ირანში იასტის ტურნირზეც.

*„ყველაზე მეტად წლეულს გერმანიაში ევროპის თასზე დამარცხებამ დამწყვიტა გული, — ამბობს თეოდორა. — თორმეტიდან 9 შეხვედრა მოვიგე და მერვე ადგილს დავჯერდი. არადა, მედლის მოპოვებაც შემეძლო. ნახევარფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა რუს მეტოქესთან 13:15 დავთმე. ბოლომდე ვერ ვირწმუნე წარმატებისა, თორემ, სადაც 13 დარტყმა მივაყენე მოწინააღმდეგეს, ორიც არ გამიჭირდებოდა. ყოყმანში რუსმა დამასწრო. სხვა დროს უფრო გაბედული ვიქნები“.*

აპრილში აზერბაიჯანის დედაქალაქი კადეტ მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს, სადაც პლანეტის ახალგაზრდა სპორტსმენთა სინგაპურის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. თეოდორა ახლა ბაქოს ბატალიებისთვის ემზადება, რათა ლიცენზია მოიპოვოს.

რომ ვკითხე, ფარიკაობის გარდა, რა გიტაცებს-მეთქი, ფეხბურთი და ჩოგბურთიო, მითხრა. „ლივერპულსა“ და ტორესს გულშემატკივრობს, ჩოგბურთელებიდან ფედერერი და ნადალი მოსწონს.

**ჰობი.** თანამედროვე მუსიკა. შეჯიბრებებისას უფრო კლასიკურ მუსიკას უსმენს. უკრავს ფორტეპიანოზე და გალაკტიონის ლექსებს კითხულობს.

**მიზანი.** უპირველესად, სურს, ბაქოში სინგაპურის საგზური დაიმსახუროს. მერე ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაზეც იფიქრებს.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში თეიმურაზ ლომაიას მემორიალის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. 8-წლიანებში შესანიშნავად ასპარეზობს **დავით ლობჟანიძე**, რომელმაც ექვსივე შეხვედრა მოიგო და ერთპიროვნულად ლიდერობს. თუმცა, იმის თქმა არ შეიძლება, რომ მან პირველობა გაინაღდა, რადგან მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება **კოკა ბუკია**. ბოლო ტურში სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს, სადაც თეთრი ფიგურებით ბუკია ითამაშებს. თითო ქულით ნაკლები მოაგროვეს და მესამე-მეოთხე ადგილებს **ირაკლი კობახიძე** და **ბაქარ გამეზარდაშვილი** ინაწილებენ.

ათწლიანებში 5,5 ქულით **კობა ლიჩელი** მეწინავეობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს და პირველ ადგილზე პრეტენზიას აცხადებენ **ნატა ჯიბუტი, თორნიკე იარაჯული, მიშიკო მუხიგული, მარი შუბითიძე** და **ალექსანდრ მუტაფიანი**.

თექვსმეტწლიანებში გამარჯვება გაინაღდა **ნიკა ვოლკოვმა**, რომელმაც ექვსიდან ყველა შეხვედრა მოიგო და უახლოეს მდევრებს — **შალვა ნადირაშვილს, ანა კუჭავას, ნათია ჯალაგაძეს, ნინო ხომერიკსა** და **ლაშა კაჭარავას** 1,5-1,5 ქულით უსწრებს.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ მეშვიდე ტურში ასაკების მიხედვით ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

8-წლიანები. კოკა ბუკია (5,5)-დათო ლობჟანიძე (6), ბაქარ გამეზარდაშვილი (5)-ირაკლი კობახიძე (5), დემეტრე ჯიბუტი (4,5)-ანასტასია სიდამონიძე (4,5), სალომე სანიკიძე (4,5)-ბექა თათურაშვილი (4,5), მარი ნამალაშვილი (4,5)-სანდრო გორგაძე (4,5), ცოტნე მამულაიშვილი (4,5)-ლუკა დაბრუნდაშვილი (4,5). 10-წლიანები. ლუკა ლიჩელი (5,5)-ნათია ჯიბუტი (5), თორნიკე იარაჯული (5)-მიშიკო მუხიგული (5), ალექსანდრ მუტაფიანი (5)-მარი შუბითიძე (5), ამირან შონია (4,5)-საბა ამირიძე (4). 16-წლიანები. ნიკა ვოლკოვი (6)-შალვა ნადირაშვილი (4,5), ანა კაჭარავა (4,5)-ნათია ჯალაბაძე (4,5), ნინო ხომერიკი (4,5)-ლაშა კაჭარავა (4,5), ვახტანგ კაშია (4)-ალექსანდრე ებრალიძე (4), დეა გოგიშვილი (4)-რევაზ ჭკუასელი (4).

ვაჟა დანელია

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დევისმა ბოსტონი შეაჩერა



როგორც ჩანს, "დეტროიტ პისტონზი" არ აპირებს თავისი მოუგებელი სერიის შეწყვეტას. ამჯერად **ჯონ კუესტერის** ბიჭებმა კანადაში წაიფორხილეს. **რიჩარდ ჰემილტონის**, **ტაიშონ პრინსისა** და **ბენ გორდონის** დაბრუნების შემდეგ "პისტონზისგან" უფრო დამაჯერებელ მოქმედებას ელოდნენ, ვიდრე ეს ბოლო ტურებში ხდებოდა. დეტროიტელი გულშემატკივრების სამწუხაროდ, სტუმრებმა ვერც ამჯერად აჩვენეს კარგი თამაში და ისევ წაგებულები დარჩნენ.

მთელი პირველი ტაიმი სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს **კრის ბოშსა** და მის პარტნიორებს, რის შედეგადაც "რეპტორზი" დიდ შესვენებაზე 19-ქულიანი უპირატესობით გავიდა. თუმცა "დეტროიტმა" ის მაინც მოახერხა, რომ ღირსება შეინარჩუნა. მესამე მეოთხედში დიდი მონდომების წყალობით, "პისტონზი" მაქსიმალურად მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მეტის მისაღწევად სტუმრებს საკმარისი უნარი და კლასი არ აღმოაჩნდათ.

ძველი ნაცნობების შეხვედრა გაიმართა კოლორადოში, სადაც "დენვერს" სტუმრად "დალასი" ეწვია. დროის დიდი ნაწილი გუნდები იმით იყვნენ დაკავებულნი, რის კეთებაც ყველაზე მეტად უყვართ - მხოლოდ შეტევაზე ზრუნავდნენ. თავიდან ეს უკეთ "მავერიქსს" გამოსდიოდა. მას შემდეგ, რაც **დირკ ნოვიცკიმ** განაცხადა, რომ მოჰბეზრდა მთელი გუნდის ტვირთის ზიდვა, "კოვბოების" დამრიგებელმა **რიკ კარლაილმა** მაშინვე შეცვალა გუნდური შეტევა. მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრები კოლექტიურად უტევდნენ, რამაც მათ მცირედი უპირატესობა მოუტანა.

თუმცა "ნაგეტსისთვის" სტუმრების გაქცევა პრობლემა არ ყოფილა. **ჯორჯ კარლის** შეგირდები ცდილობდნენ მატჩის მსვლელობის გაკონტროლებას და ყოველ წუთს უმატებდნენ თამაშს. მაგრამ "დენვერის" შესრულებით საბოლოო სპურტი მაინც ვერ ვიხილეთ. ამის მიზეზი გახდა გუნდის ლიდერის **კარმელო ენტონის** პერსონალური შენიშვნები. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში "მელომ" მეხუთე ჯარიმა მიიღო და იძულებული გახდა კარგა ხნით სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო, ორი წუთით ადრე კი **ჯოშ ჰოვარდზე** ჯარიმის გამო საბოლოოდ მოუწია მოედნის დატოვებამ. ბუნებრივია, ლიგის საუკეთესო ბომბარდირის გარეშე დარჩენილმა მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს. ასე წააგეს კოლორადოელებმა მორიგი მატჩი და "მავერიქსი" მეორე ადგილზე გაუშვეს.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა შეხვედრა ლოს ანჯელესში. ამ ქალაქის მეორე გუნდმა "კლიპერსმა" ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ "ბოსტონს" მოუგო, რომელიც გამარჯვების შემთხვევაში გათამაშების ცხრილში ერთპიროვნულ ლიდერ "ლეიკერსს" უთანაბრდებოდა. კალიფორნიელები მეტისმეტად კარგად განეწყვნენ ამ მატჩისთვის. პირველი მეოთხედში თანაბარი თამაშის შემდეგ, "კლიპერსი" მიხვდა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა ტიტულოვან მეტოქეს და მთლიანად მოიშორა შიში. თუმცა მხოლოდ ენთუზიაზმის წყალობით **დოკ რივერსის** კარგად აწყობილი მანქანის დამარცხება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ სტუმრებს ბოლო წამებამდე არ მიუციათ საკუთარი თავისთვის მოდუნების უფლება.

საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე **რაშუალ ბატლერმა** კუთხიდან სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. ბოლო შეტევა "ბოსტონისა" იყო. მატჩის ბედის განსაზღვრა **რაჟონ რონდომ** ითავა. ახალგაზრდა გამთამაშებელმა ავანტიურული გარღვევა წამოიწყო, რასაც **ბაირონ დევისის** მხრიდან ჯარიმა მოჰყვა. მაგრამ რონდომ თავის გუნდის გამარჯვება ვერ მოუტანა. სტუმრების მეცხრე ნომერი ნერვებს ვერ გაუმკლავდა და ორივე ჯარიმა ააცილა, რითაც ბოლო შეტევისთვის კალიფორნიელებს წამი დაუტოვა.

"კლიპერსმა" თავისი შანსი კარგად გამოიყენა. ბოლო ტყორცნა დევისს მიანდეს, რომელმაც ახალგაზრდა ვიზავისგან განსხვავებით თავისი მისია უნაკლოდ შეასრულა და რონდოს მეურვეობის მიუხედავად, სირენასთან ერთად ურთულესი ბურთი ჩაუშვა კალათში.

| ტორონტო-დეტროიტი | 102:95 |
|---|---|

29:22, 31:19, 14:28, 28:26

ტ: ბოში (25+16 მოხსნა+3 დაფარება), ჯეკი (17+5 პასი), ბარნიანი (16+6 მოხსნა), თურქოგლუ (14+6 პასი).

დ: ჰემილტონი (15), გორდონი (15), სტაკი (14+8 მოხსნა), ძერებკო (14+7 მოხსნა), ულასი (10+9 მოხსნა).

| კლივლენდი-ჰიუსტონი | 108:83 |
|---|---|

24:24, 27:24, 32:15, 25:20

კ: ჯეიმსი (29+5 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (20+6 მოხსნა+5 პასი), ო'ნილი (13+11 მოხსნა).

ჰ: ბრუქსი (23), არიზა (11+5 მოხსნა), ლენდრი (11+6 მოხსნა).

| მაიამი-ინდიანა | 114:80 |
|---|---|

34:21, 32:23, 32:16, 16:20

მ: უეიდი (25+6 პასი), ო'ნილი (19+6 მოხსნა), ბისლი (16+5 მოხსნა).

ი: მერფი (16), ჰენსბრო (10+10 მოხსნა), ფორდი (10).

| ნიუ იორკი-სან ანტონიო | 88:95 |
|---|---|

20:21, 27:29, 21:20, 20:25

ნ-ი: ლი (28+10 მოხსნა), ჰარინგტონი (19), გალინარი (19).

ს-ა: პარკერი (22), ჯინობილი (17), დანკანი (13+7 მოხსნა).

| დენვერი-დალასი | 96:104 |
|---|---|

23:30, 29:25, 20:28, 24:21

დენ: მარტინი (18+1 მოხსნა), ენტონი (16+12 მოხსნა), ლოუსონი (16).

დალ: გუდენი (19+10 მოხსნა), ჰოვარდი (17+9 მოხსნა), ნოვიცკი (13+11 მოხსნა).

| კლიპერსი-ბოსტონი | 92:90 |
|---|---|

22:23, 24:25, 23:25, 23:17

კ: კამანი (27+12 მოხსნა), დევისი (24+13 პასი), გორდონი (15).

ბ: რონდო (20+6 პასი), ალენი (13+5 პასი), გარნეტი (12+8 მოხსნა).

## NBA იანვრის კალენდარი

**1 იანვარი**
ატლანტა-ნიუ იორკი
მინესოტა-ორლანდო
ლეიკერსი-საკრამენტო

**2 იანვარი**
ნიუ ჯერსი-კლივლენდი
მაიამი-შარლოტი
ინდიანა-მინესოტა
ვაშინგტონი-სან ანტონიო
ბოსტონი-ტორონტო
ჩიკაგო-ორლანდო
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
მილუოკი-ოკლაჰომა
ფინიქსი-მემფისი
იუტა-დენვერი
პორტლენდი-გ. სტეიტი
საკრამენტო-დალასი

**3 იანვარი**
კლივლენდი-შარლოტი
ნიუ იორკი-ინდიანა
ტორონტო-სან ანტონიო
დენვერი-ფილადელფია
ლეიკერსი-დალასი

**4 იანვარი**
მაიამი-ატლანტა
ჩიკაგო-ოკლაჰომა
იუტა-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-პორტლენდი

**5 იანვარი**
შარლოტი-ჩიკაგო
ინდიანა-ორლანდო
ფილადელფია-ვაშინგტონ
ნიუ ჯერსი-მილუოკი
დალასი-დეტროიტი
დენვერი-გ. სტეიტი
პორტლენდი-მემფისი
საკრამენტო-ფინიქსი
ლეიკერსი-ჰიუსტონი

**6 იანვარი**
ატლანტა-ნიუ ჯერსი
კლივლენდი-ვაშინგტონი
ორლანდო-ტორონტო
მაიამი-ბოსტონი
მინესოტა-გოლ. სტეიტი
ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი
სან ანტონიო-დეტროიტი
ფინიქსი-ჰიუსტონი
იუტა-მემფისი
კლიპერსი-ლეიკერსი

**7 იანვარი**
ნიუ იორკი-შარლოტი

**8 იანვარი**
ფილადელფია-ტორონტო
ვაშინგტონი-ორლანდო
ატლანტა-ბოსტონი
მემფისი-იუტა
მინესოტა-ინდიანა
ნიუ ორლეანი-ნიუ ჯერსი
მილუოკი-ჩიკაგო
სან ანტონიო-დალასი
ფინიქსი-მაიამი
პორტლენდი-ლეიკერსი
დენვერი-კლივლენდი
გ. სტეიტი-საკრამენტო

**9 იანვარი**
შარლოტი-მემფისი
ორლანდო-ატლანტა
დეტროიტი-ფილადელფია
ჩიკაგო-მინესოტა
ოკლაჰომა-ინდიანა
დალასი-იუტა
ჰიუსტონი-ნიუ იორკი
საკრამენტო-დენვერი

**10 იანვარი**
ტორონტო-ბოსტონი
ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-მაიამი
სან ანტონიო-ნიუ ჯერსი
პორტლენდი-კლივლენდი
ლეიკერსი-მილუოკი

**11 იანვარი**
ინდიანა-ტორონტო
ფილადელფია-ნ ორლეანი
ბოსტონი-ატლანტა
ჩიკაგო-დეტროიტი
ოკლაჰომა-ნიუ იორკი
დენვერი-მინესოტა
ფინიქსი-მილუოკი
იუტა-მაიამი
გ. სტეიტი-კლივლენდი

**12 იანვარი**
შარლოტი-ჰიუსტონი
ვაშინგტონი-დეტროიტი
მემფისი-კლიპერსი
სან ანტონიო-ლეიკერსი
საკრამენტო-ორლანდო

**13 იანვარი**
ატლანტა-ვაშინგტონი
ინდიანა-ფინიქსი
ფილადელფია-ნიუ იორკი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ნიუ ორლეანი-კლიპერსი
ოკლაჰომა-სან ანტონიო
დალასი-ლეიკერსი
ჰიუსტონი-მინესოტა
დენვერი-ორლანდო
პორტლენდი-მილუოკი
გ. სტეიტი-მაიამი

**14 იანვარი**
ბოსტონი-ჩიკაგო
იუტა-კლივლენდი

**15 იანვარი**
შარლოტი-სან ანტონიო
ფილადელფ-საკრამენტო
ატლანტა-ფინიქსი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
დეტროიტი-ნიუ ორლეანი
მემფისი-მინესოტა
ნიუ ჯერსი-ინდიანა
ნიუ იორკი-ტორონტო
დალასი-ოკლაჰომა
ჰიუსტონი-მაიამი
გოლ. სტეიტი-მილუოკი
ლეიკერსი-კლიპერსი
პორტლენდი-ორლანდო

**16 იანვარი**
შარლოტი-ფინიქსი
ინდიანა-ნიუ ორლეანი
ვაშინგტონი-საკრამენტო
დეტროიტი-ნიუ იორკი
მემფისი-სან ანტონიო
ოკლაჰომა-მაიამი
იუტა-მილუოკი
კლიპერსი-კლივლენდი

**17 იანვარი**
ტორონტო-დალასი
დენვერი-იუტა

**18 იანვარი**
ნიუ იორკი-დეტროიტი
ვაშინგტონი-პორტლენდი
ატლანტა-ოკლაჰომა
შარლოტი-საკრამენტო
ჰიუსტონი-მილუოკი
კლიპერსი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-ფილადელფია
ნიუ ორლეანი-ს ანტონიო
გ. სტეიტი-ჩიკაგო
მემფისი-ფინიქსი
ბოსტონი-დალასი
ლეიკერსი-ორლანდო

**19 იანვარი**
კლივლენდი-ტორონტო
მაიამი-ინდიანა

**20 იანვარი**
ატლანტა-საკრამენტო
შარლოტი-მაიამი
ორლანდო-ინდიანა
ფილადელფია-პორტლენდ
ვაშინგტონი-დალასი
დეტროიტი-ბოსტონი
მილუოკი-ტორონტო
მინესოტა-ოკლაჰომა
ნიუ ორლეანი-მემფისი
ფინიქსი-ნიუ ჯერსი
სან ანტონიო-იუტა
გოლ. სტეიტი-დენვერი
კლიპერსი-ჩიკაგო

**21 იანვარი**
კლივლენდი-ლეიკერსი
დენვერი-კლიპერსი

**22 იანვარი**
ორლანდო-საკრამენტო
ფილადელფია-დალასი
ტორონტო-მილუოკი
ვაშინგტონი-მაიამი
ატლანტა-შარლოტი
ბოსტონი-პორტლენდი
დეტროიტი-ინდიანა
მემფისი-ოკლაჰომა
მინესოტა-ნიუ ორლეანი
ნიუ იორკი-ლეიკერსი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
გ. სტეიტი-ნიუ ჯერსი
ფინიქსი-ჩიკაგო

**23 იანვარი**
შარლოტი-ორლანდო
ინდიანა-ფილადელფია
კლივლენდი-ოკლაჰომა
დეტროიტი-პორტლენდი
მაიამი-საკრამენტო
ჰიუსტონი-ჩიკაგო
მილუოკი-მინესოტა
დენვერი-ნიუ ორლეანი
ფინიქსი-გოლ. სტეიტი
იუტა-ნიუ ჯერსი

**24 იანვარი**
ნიუ იორკი-დალასი
ვაშინგტონი-კლიპერსი
ტორონტო-ლეიკერსი

**25 იანვარი**
ფილადელფია-ინდიანა
ბოსტონი-კლიპერსი
მაიამი-კლივლენდი
მემფისი-ორლანდო
ჰიუსტონი-ატლანტა
სან ანტონიო-ჩიკაგო
დენვერი-შარლოტი
იუტა-ფინიქსი
პორტლენდი-ნიუ ორლეანი

**26 იანვარი**
ვაშინგტონი-ლეიკერსი
ნიუ იორკი-მინესოტა
დალასი-მილუოკი
ფინიქსი-შარლოტი
საკრამენტო-გ. სტეიტი

**27 იანვარი**
კლივლენდი-მინესოტა
ინდიანა-ლეიკერსი
ტორონტო-მაიამი
დეტროიტი-მემფისი
ნიუ ჯერსი-კლიპერსი
მილუოკი-ფილადელფია
ოკლაჰომა-ჩიკაგო
ჰიუსტონი-დენვერი
სან ანტონიო-ატლანტა
პორტლენდი-იუტა
გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი

**28 იანვარი**
ნიუ იორკი-ტორონტო
ორლანდო-ბოსტონი
ფინიქსი-დალასი

**29 იანვარი**
ინდიანა-კლივლენდი
ფილადელფია-ლეიკერსი
ატლანტა-ბოსტონი
დეტროიტი-მაიამი
მინესოტა-კლიპერსი
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
ნიუ ორლეანი-ჩიკაგო
ოკლაჰომა-დენვერი
ჰიუსტონი-პორტლენდი
სან ანტონიო-მემფისი
იუტა-საკრამენტო
გოლ. სტეიტი-შარლოტი

**30 იანვარი**
ორლანდო-ატლანტა
მემფისი-ნიუ ორლეანი
ვაშინგტონი-ნიუ იორკი
დალასი-პორტლენდი
მილუოკი-მაიამი
საკრამენტო-შარლოტი

**31 იანვარი**
სან ანტონიო-დენვერი
ბოსტონი-ლეიკერსი
კლივლენდი-კლიპერსი
დეტროიტი-ორლანდო
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ტორონტო-ინდიანა
ჰიუსტონი-ფინიქსი
მინესოტა-ნიუ იორკი
ოკლაჰომა-გ. სტეიტი

ფორმულა 1



# მერსედესს იანვარში ვნახავთ

გაზეთი "ბილდი" "მერსედეს გრან-პრ ს" მომავალი პრეზენტაციის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. კერძოდ, გერმანული საჯინიბო ახალ მანქანას იანვრის ბოლოს შტუტგარტში წარადგენს. პრეზენტაციას დაესწრებიან "მერსედეს გრან-პრის" პილოტები - **მიხაელ შუმახერი** და **ნიკო როსბერგი**, რომლებიც გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად სამომავალო გეგმებზეც ილაპარაკებენ. ახალი მანქანის დებიუტი 10 თებერვალს ესპანეთის ხერესში ოფიციალური ტესტებისას შედგება.

პრეზენტაციის ზუსტი თარიღი და ადგილი ჯერ არ გამოუცხადებიათ. სავარაუდოდ, სარბოლო სამყარო ახალ ბოლიდს "მერსედეს-ბენცის" მუზეუმში იხილავს.

...

ამასობაში, მიხაელ შუმახერის დაბრუნების გამო ატეხილ აჟიოტაჟს ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი **ფრანც ბეკენბაუერი** გამოეხმაურა: *"ახლა მე ისევ ვუყურებ ტელევიზორში ფორმულა 1-ის რბოლებს"*.

თუმცა შუმის დაბრუნებას ყველა მოწონებით არ შეხვდა. გერმანელის "მერსედეს გრან-პრიში" მისვლაზე საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდა იტალიურ პრესას, რომელიც გულშემატკივართა პირით ლეგენდარულ გერმანელს მოღალატეს უწოდებს.

ასე მაგალითად, გაზეთი Il Giornale თვლის, რომ მიხაელის საქციელი - ეს არის გზა "მითიდან ღალატამდე", ამასთან ჟურნალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, თუ ოდესვე მიხაელის მისამართით ასეთი ტერმინების გამოყენება მოუწევდათ.

ტელეარხ Channel 5-ის ჟურნალისტების აზრით, შუმახერთან დაკავშირებით დაახლოებით იგივე სიტუაცია შეიქმნა, "მილანის" ერთგულ მცველს, ლეგენდარულ **პაოლო მალდინის** მოულოდნელად მილანის "ინტერში" რომ გაეგრძელებინა კარიერა...

უკმაყოფილოა ცნობილი Tuttosport, რომელიც იტყობინება, რომ "გულშემატკივრებს შორის ღიად ალაპარაკდნენ შუმახერის მხრიდან ღალატზე".

ეს გამოცემა ნამდვილად არ იტყუება. ამაში თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ Google-ის საძიებელ გრაფაში ჩაწერთ სიტყვებს - Traditore schumacher...

# ქველმოქმედი ალონსო

ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ბოლო დროს მშობლიურ ასტურიაში მეტად აქტიურ ცხოვრებას ეწევა. წინა ორშაბათს "ფერარის" პილოტმა მონაწილეობა მიიღო Carrera Solidaria Cajastur-ის სამკილომეტრიან გარბენში, ხოლო ამ აქციიდან მიღებული თანხა მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ადამიანებისთვის განკუთვნილი ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხა. გუშინ კი ფერნანდო სპორტული სოლიდარობის დღის აქციაზე გამოცხადდა, რომელიც ოვიედოში ჩატარდა.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ესპანური სპორტის სხვა ვარსკვლავებთან ერთად საჩვენებელ საფეხბურთო ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა. ალონსოს პარტნიორები იყვნენ "ვალენსიასა" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი **ხუან მატა**, ველოსპორტში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი **სამუელ სანჩესი**, ხელბურთში ოლიმპიადის პრიზიორი **რუბენ გარაბაია** და სხვები. მანამდე ოვიედოს სპორტულ ცენტრ Vallobin-ში მისულ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა სახელბურთო ვარჯიშები, ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები და საბრძოლო ხელოვნების ილეთები.

სპორტული სოლიდარობის დღე ასტურიის გაერთიანებული სპორტული ასოციაციის მიერ არის დაარსებული და ეს ღონისძიება წელს მეთორმეტედ ჩატარდა. შემოსული თანხა ესპანეთის ამ რეგიონის ღარიბი მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. ვანკუვერი 2010

# ფორსბერგი ვანკუვერში მიდის



შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ იმ 23 ჰოკეისტის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ვანკუვერის ოლიმპიადაზე მიიღებენ მონაწილეობას. "ტრე კრუნურს" კანადურ ყინულზე ოთხი წლის წინ ტურინში მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუწევს.

მთავარი მწვრთნელის **ბენგტ-აკე გუსტაფსონის** საბოლოო განაცხადში ჰოკეისტთა აბსოლუტური უმრავლესობა - 19 მოთამაშე ჰოკეის ეროვნული ლიგიდანაა წარმოდგენილი. დანარჩენი ოთხი წევრიდან სამი შვედეთის ლიგაში თამაშობს, ერთი კი მოსკოვის "დინამოს" ჰოკეისტია.

შვედების განაცხადში ვხედავთ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **პეტერ ფორსბერგს**, რომელიც ამჟამად შვედეთის "მოდოში" თამაშობს.

ოლიმპიადაზე "ტრე კრუნურის" საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იონას გუსტაფსონი ("ტორონტო"), სტეფან ლივი (ჰვ71), ჰენრიკ ლუნდკვისტი ("რეინჯერსი");

**მცველები:** ტობიას ენსტრიომი ("ატლანტა"), მაგნუს იუჰანსონი ("ლინჩოპინგი"), ნიკლას კრონვალი ("დეტროიტი"), ნიკლას ლიდსტრიომი ("დეტროიტი"), დუგლას მიურეი ("სან ხოსე"), ჯონი ოდუია ("ნიუ ჯერსი"), ჰენრიკ ტალინდერი ("ბაფალო"), მატიას ოლუნდი ("ტამპა ბეი");

**თავდამსხმელები:** დანიელ ალფრედსონი ("ოტავა"), ნიკლას ბექსტრიომი ("ვაშინგტონი"), ლუი ერიქსონი ("დალასი"), პეტერ ფორსბერგი (მოდო), ტომას ჰოლმსტრიომი ("დეტროიტი"), პატრიკ ჰორნკვისტი ("ნეშვილი"), ფრედერიკ მოდინი ("კოლამბუსი"), სამუელ პალსონი ("კოლამბუსი"), დანიელ სედინი ("ვანკუვერი"), ჰენრიკ სედინი ("ვანკუვერი"), მატიას ვეინჰანდლი ("დინამო" მ), ჰენრიკ ზეტერბერგი ("დეტროიტი").

# შვედური რეკორდი

გუშინ, გიოტებორგში დამყარდა ევროპის საკლუბო რეკორდი ჰოკეის მატჩზე დასწრების მაჩვენებლით. "ულევის" ღია მოედანზე "ფრიოლუნდასა" და "ფერიესტადის" შეხვედრის სანახავად 30 144 მაყურებელი შეიკრიბა.

*უფრო ადრე ეს რეკორდი შვეიცარიელების საკუთრება იყო - იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს 30 076 ადამიანი დაესწრო. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ალპურმა რეგიონმა სულ მალე დაიბრუნოს დასწრების რეკორდი. 9 იანვარს ავსტრიის ქალაქ კლაგენფიურტში ქვეყნის ჩემპიონატის მატჩისთვის 31 500 ბილეთის რეალიზაცია იგეგმება,* - წერს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

რა თქმა უნდა, ეს ციფრები ახლოსაც ვერ მიდის საბჭოთის დროინდელ რეკორდთან, როცა მსოფლიოს 1957 წლის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას 55 ათასი მაყურებელი დაესწრო. მოგვიანებით ეს მაჩვენებელი ჩრდილოეთ ამერიკაში გააუმჯობესეს, სადაც ერთ-ერთი შეხვედრისას ტრიბუნებზე 74 554 ადამიანი შეიკრიბა.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ტორონტო 3:4**

1:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 შენი-1 (პონიკაროვსკი-13, გრაბოვსკი-18), 1:1 კუკი-7, 1:2 სტემპნიაკი-10 (პონიკაროვსკი-14, ტ. კაბერლე-32), 2:2 კროსბი-23 (გონჩარი-18, გერინი-16), 2:3 ჯ. ბლეიკი-9 (სტემპნიაკი-10, ი. უაიტი-13), 3:3 რუპი-10 (მალკინი-25, გოლიგოსკი-12), 3:4 ი. უაიტი-8 (ბოშემენი-15, სტემპნიაკი-11).

**აილენდერსი-ფილადელფია 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრიერი-13 (ჯ. კარტერი-16, პარტნელი-14), 1:1 სიმი-4 (შტრაიტი-16, შრემპი-5), 1:2 ჯ. კარტერი-14 (ჰარტნელი-15, ბრიერი-10).

**ფლორიდა-ბოსტონი 1:2**

1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მური-7 (დვორაკი-9, ლეოპოლდი-8), 1:1 რაიდერი-10 (ფერენსი-4, ველერი-11), 1:2 შტურმი-11 (სავარი-10, ვიდემანი-10).

**სტ. ლუისი-ბაფალო 3:5**

1:1, 2:1, 0:3

**გოლები:** 1:0 სტინი-4, 1:1 ჰეხტი-6 (პომინვილი-16, ტიმ კონოლი-19), 1:2 გრირი-7 (კენედი-8, ბატლერი-9), 2:2 ბრიუერი-2 (ტკაჩუკი-13), 3:2 სტინი-5 (ვინჩესტერი-4, ბერგლუნდი-6), 3:3 გრირი-8 (კენედი-9, ვანეკი-12), 3:4 ტიმ კონოლი-8 (ბატლერი-10, პომინვილი-17), 3:5 ტიმ კონოლი-9 (გრირი-6, მიერსი-17).

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:4**

1:1, 0:1, 4:2

**გოლები:** 0:1 გოკი-7 (ფრანსონი-7), 1:1 პ. კეინი-14 (ტეუვზი-16, ბ. კემპბელი-19), 1:2 ერატი-14 (სალივანი-15), 2:2 მადენი-6 (ლედი-8, კეიტი-27), 3:2 მადენი-7 (ბიკელი-1), 4:2 ბ. კემპბელი-4 (პ. კეინი-27, ტეუვზი-17), 4:3 ჰამჰუისი-4 (არნოტი-12, რ. სატერი-17), 4:4 ფრანსონი-4, 5:4 პ. კეინი-15 (კეიტი-28, ტეუვზი-18).

**კალგარი-ვანკუვერი 1:5**

1:4, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 იგინლა-20 (ბოუმისტერი-13, კონროი-8), 1:1 ჰ. სედინი-18 (უ. მიტჩელი-7, დ. სედინი-18), 1:2 უელვუდი-3 (ბაროუზი-16), 1:3 რეიმონდი-15 (სამუელსონი-14, კესლერი-23), 1:4 რეიმონდი-16, 1:5 რეიმონდი-17 (ედლერი-19, ერჰოფი-13).

## NHL. იანვრის კალენდარი

**1 იანვარი**
ბოსტონი-ფილადელფია
ბაფალო-ატლანტა

**2 იანვარი**
რეინჯერსი-კაროლინა
დალასი-ვანკუვერი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
ლ ანჯელესი-ვაშინგტონი
აილენდერსი-ატლანტა
კოლამბუსი-კოლორადო
კალგარი-ტორონტო
სტ. ლუისი-ჩიკაგო
ნეშვილი-ანაჰაიმი
მინესოტა-ნიუ ჯერსი
ფინიქსი-დეტროიტი
სან ხოსე-ედმონტონი

**3 იანვარი**
მონრეალი-ბაფალო
ოტავა-ფილადელფია
ფლორიდა-პიტსბურგი
ჩიკაგო-ანაჰაიმი

**4 იანვარი**
რეინჯერსი-ბოსტონი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

**5 იანვარი**
ტორონტო-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-დალასი
ვაშინგტონი-მონრეალი
ოტავა-ბოსტონი
პიტსბურგი-ატლანტა
ნეშვილი-კალგარი
ჩიკაგო-მინესოტა
ედმონტონი-ფინიქსი
ვანკუვერი-კოლამბუსი
ანაჰაიმი-დეტროიტი

**6 იანვარი**
ბაფალო-ტამპა ბეი
რეინჯერსი-დალასი
ფილადელფია-ტორონტო
მინესოტა-კალგარი
კოლორადო-აილენდერსი
სან ხოსე-სტ. ლუისი

**7 იანვარი**
ბოსტონი-ჩიკაგო
ვაშინგტონი-ოტავა
ატლანტა-რეინჯერსი
მონრეალი-ფლორიდა
პიტსბურგი-ფილადელფია
ნეშვილი-კაროლინა
ედმონტონი-კოლამბუსი
ვანკუვერი-ფინიქსი
ანაჰაიმი-სტ. ლუისი
ლოს ანჯელესი-დეტროიტი

**8 იანვარი**
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
კაროლინა-კოლორადო
ბაფალო-ტორონტო
დალასი-აილენდერსი
კალგარი-კოლამბუსი

**9 იანვარი**
ბოსტონი-რეინჯერსი
ბაფალო-კოლორადო
ტორონტო-პიტსბურგი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ოტავა-ფლორიდა
ფილადელფია-ტამპა ბეი
ატლანტა-ვაშინგტონი
ნეშვილი-ანაჰაიმი
მინესოტა-ჩიკაგო
ფინიქსი-აილენდერსი
ვანკუვერი-კალგარი
ლოს ანჯელესი-სტ. ლუისი
სან ხოსე-დეტროიტი

**10 იანვარი**
კაროლინა-ოტავა
კოლამბუსი-დალასი
ჩიკაგო-ანაჰაიმი

**11 იანვარი**
მინესოტა-პიტსბურგი
კალგარი-კოლორადო
ვანკუვერი-ნეშვილი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**12 იანვარი**
ტორონტო-კაროლინა
აილენდერსი-დეტროიტი
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-დალასი
ატლანტა-ოტავა
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
სტ. ლუისი-კოლამბუსი
ედმონტონი-ნეშვილი
ფინიქსი-სან ხოსე

**13 იანვარი**
მინესოტა-ვანკუვერი
ფლორიდა-ვაშინგტონი
კალგარი-პიტსბურგი
ანაჰაიმი-ბოსტონი

**14 იანვარი**
ტორონტო-ფილადელფია
რეინჯერსი-ოტავა
ატლანტა-ბაფალო
მონრეალი-დალასი
ტამპა ბეი-ფლორიდა
დეტროიტი-კაროლინა
სტ. ლუისი-მინესოტა
ჩიკაგო-კოლამბუსი
ფინიქსი-ნიუ ჯერსი
ედმონტონი-პიტსბურგი
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
სან ხოსე-ბოსტონი

**15 იანვარი**
ვაშინგტონი-ტორონტო
კალგარი-ნეშვილი

**16 იანვარი**
კოლამბუსი-ჩიკაგო
დალასი-დეტროიტი
კოლორადო-ნიუ ჯერსი
ლოს ანჯელესი-ბოსტონი
სან ხოსე-ედმონტონი
მონრეალი-ოტავა
აილენდერსი-ბაფალო
ფლორიდა-ტამპა ბეი
კაროლინა-ატლანტა
სტ. ლუისი-რეინჯერსი
ფინიქსი-მინესოტა
ვანკუვერი-პიტსბურგი

**17 იანვარი**
ვაშინგტონ-ფილადელფია
დეტროიტი-ჩიკაგო
რეინჯერსი-მონრეალი
ანაჰაიმი-კალგარი

**18 იანვარი**
ბოსტონი-ოტავა
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
კაროლინა-ტამპა ბეი
კოლამბუსი-სტ. ლუისი
ფინიქსი-ბაფალო
ფლორიდა-ატლანტა
ნეშვილი-ტორონტო
დალასი-მინესოტა
კოლორადო-ედმონტონი
სან ხოსე-კალგარი

**19 იანვარი**
რეინჯერსი-ტამპა ბეი
ფილადელფია-კოლამბუსი
ვაშინგტონი-დეტროიტი
ატლანტა-ტორონტო
ოტავა-ჩიკაგო
პიტსბურგი-აილენდერსი
ანაჰაიმი-ბაფალო
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**20 იანვარი**
ნიუ ჯერსი-ფლორიდა
მონრეალი-სტ. ლუისი
ედმონტონი-ვანკუვერი

**21 იანვარი**
ბოსტონი-კოლამბუსი
ოტავა-სტ. ლუისი
აილენდერსი-ფლორიდა
ფილადელფია-რეინჯერსი
ატლანტა-კაროლინა
ტამპა ბეი-ტორონტო
პიტსბურგი-ვაშინგტონი
მინესოტა-დეტროიტი
ფინიქსი-ნეშვილი
კალგარი-ჩიკაგო
ვანკუვერი-დალასი
ლოს ანჯელესი-ბაფალო
სან ხოსე-ანაჰაიმი

**22 იანვარი**
ნიუ ჯერსი-მონრეალი
კოლორადო-ნეშვილი
ედმონტონი-დალასი

**23 იანვარი**
ბოსტონი-ოტავა
ფილადელფია-კაროლინა
მონრეალი-რეინჯერსი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-ფინიქსი
ფლორიდა-ტორონტო
დეტროიტი-ლოს ანჯელესი
ტამპა ბეი-ატლანტა
სტ. ლუისი-ანაჰაიმი
მინესოტა-კოლამბუსი
ვანკუვერი-ჩიკაგო
სან ხოსე-ბაფალო

**24 იანვარი**
ფილადელფია-პიტსბურგი
კაროლინა-ბოსტონი
კოლორადო-დალასი

**25 იანვარი**
რეინჯერსი-პიტსბურგი
კალგარი-სტ. ლუისი
ვანკუვერი-ბაფალო

**26 იანვარი**
ტორონტო-ლოს ანჯელესი
აილენდერსი-ვაშინგტონი
ატლანტა-ანაჰაიმი
კოლამბუსი-ნეშვილი
ოტავა-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-მონრეალი
დეტროიტი-ფინიქსი
ედმონტონი-ჩიკაგო

**27 იანვარი**
ბაფალო-ნიუ ჯერსი
რეინჯერსი-კაროლინა
ვაშინგტონი-ანაჰაიმი
ტამპა ბეი-მონრეალი
მინესოტა-დეტროიტი
დალასი-კალგარი
ვანკუვერი-სტ. ლუისი

**28 იანვარი**
ფილადელფია-ატლანტა
პიტსბურგი-ოტავა
კაროლინა-აილენდერსი
კოლამბუსი-ლ ანჯელესი
კოლორადო-მინესოტა
ფინიქსი-კალგარი
ედმონტონი-სტ. ლუისი
სან ხოსე-ჩიკაგო

**29 იანვარი**
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ვაშინგტონი-ფლორიდა
ბაფალო-ბოსტონი
ტამპა ბეი-ანაჰაიმი
დეტროიტი-ნეშვილი
დალასი-კოლორადო

**30 იანვარი**
ოტავა-მონრეალი
ბოსტონი-ლოს ანჯელესი
ტორონტო-ვანკუვერი
ფილადელფია-აილენდერს
კაროლინა-ჩიკაგო
სტ. ლუისი-კოლამბუსი
ნეშვილი-ატლანტა
ფინიქსი-რეინჯერსი
კალგარი-ედმონტონი
სან ხოსე-მინესოტა

**31 იანვარი**
პიტსბურგი-დეტროიტი
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი
ფლორიდა-აილენდერსი
დალასი-ფინიქსი
კოლორადო-რეინჯერსი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 2:0 |
| ბლექბერნი-სანდერლენდი | 2:2 |
| ჩელსი-ფულჰემი | 2:1 |
| ევერტონი-ბარნლი | 2:0 |
| სტოკი-ბირმინგემი | 0:1 |
| ვულვზი-მანჩესტერ სიტი | 0:3 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნსლი-მიდლსბრო | 2:1 |
| ბრისტოლი-უოტფორდი | 2:2 |
| იფსვიჩი-ქუინზ პარკი | 3:0 |
| ნოტინგემი-ქოვენთრი | 2:0 |
| პიტერბრო-კარდიფი | 4:4 |
| პლიმუტი-რიდინგი | 4:1 |
| სკანთორფი-ვესტ ბრომვიჩი | 1:3 |
| შეფილდი-პრესტონი | 1:0 |
| სუონსი-კრ. პალასი | 0:0 |
| ნიუკასლი-დერბი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| სტოკპორტი-ლიდსი | 2:4 |
| ბრენტფორდი-ჩარლტონი | 1:1 |
| კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 2:1 |
| ექსეტერი-ჯილინგემი | 1:1 |
| ჰადერსფილდი-მილტონი | 1:0 |
| ლეიტონი-საუთენდი | 1:2 |
| მილუოლი-როვერსი | 2:0 |
| სუინდონი-იეოვილი | 3:1 |
| ტრანმერი-კარლაილი | 0:0 |
| უიკომბი-ბრაიტონი | 2:5 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ბერი | 2:4 |
| ბარნეტი-ნორთჰემპტონი | 0:0 |
| ბორნმუთი-ტორკი | 2:1 |
| ბრედფორდი-შრიუსბერი | 1:3 |
| ბარტონი-ნოტსი | 1:4 |
| დაგენჰემი-ჩელტენემი | 0:2 |
| გრიმსბი-პორტ ვეილი | 1:2 |
| მაკლსფილდი-ქრიუ | 4:1 |
| როჩდეილი-მორეკამბი | 4:1 |
| **კონფერენსი** | |
| გრეისი-ქროული | 2:3 |
| ჰეიესი-ებსფლიტი | 4:2 |
| ჰისტონი-კეტერინგი | 1:0 |
| ლუტონი-ისტბურნი | 4:1 |
| მენსფილდი-კემბრიჯი | 2:1 |
| რაშდენი-კიდერმინსტერი | 2:1 |
| სალისბერი-ოქსფორდი | 1:1 |
| სტევენეიჯი-უიმბლდონი | 0:0 |
| ტამუორტი-ფორესტ გრინი | 0:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| **ჰოკეი** | |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 5:2 |
| როდოვრე-ნორდსილანდი | 2:2 |
| ესბერგი-ფრედრიკშავნი | 3:1 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 2:5 |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 4:1 |
| მანგლერუდი-სპარტა | 1:3 |
| სტიორნენი-სტორჰამარი | 5:7 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ტიმრა | 2:0 |
| ლინჩოპინგი-როგლე | 3:3 |
| ლულეა-სიოდერტალე | 3:3 |
| მოდო-ბრიუნასი | 4:2 |
| ჰვ71-იურგორდენი | 3:2 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 4:1 |

## TV პროგრამა

**29 დეკემბერი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ფილადელფია.
10:15 სპორტული სამყარო.
10:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-სანდერლენდი.
12:30 ტანვარჯიში.
13:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-მანჩესტერ სიტი.
15:40 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. სან დიეგო, აშშ.
16:35 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
18:25 სპორტული ცეკვები.
19:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ბარნლი.
21:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-დეტროიტი.
23:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ლივერპული (LIVE).
01:45 სპორტული სამყარო.
02:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ჰალი.
04:00 ტანვარჯიში.
05:20 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
07:10 სპორტული ცეკვები.

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:30 პოკერი.
10:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-დეტროიტი.
12:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი.
13:25 სპორტული ცეკვები.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მარსელი-მილანი.
16:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ფულჰემი.
17:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-მაინცი.
19:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ფილადელფია.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლიონი-ფიორენტინა.
23:30 სპორტული სამყარო.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ჰალი (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მოსკოვი. რუსეთი.
04:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ფულჰემი.
06:45 პოკერი.
07:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.

კალათბურთი

## ჩონსი ბილაპსი ჯერ ვერ ბრუნდება

გაჭიანურდა "დენვერ ნაგეტსის" ძირითადი გამთამაშებლის ჩონსი ბილაპსის დაბრუნების პროცესი. შეგახსენებთ, რომ "ნაგეტსის" ერთ-ერთმა ლიდერმა საზარდულის ტრავმა 16 დეკემბერს "ჰიუსტონთან" მატჩში მიიღო. მაშინ ბილაპსის დამრიგებელმა **ჯორჯ კარლმა** განაცხადა, რომ მომდევნო კვირას შემტევი მცველი მზად იქნებოდა სათამაშოდ.

მაგრამ ჩონსი დღემდე არ გამოჩენილა მოედანზე. მან უკვე სამი შეხვედრა გამოტოვა და სავარაუდოდ, მომდევნო ორ მატჩშიც ("დალასთან" და "საკრამენტოსთან") ვერ მიიღებს მონაწილეობას. ბილაპსის დაბრუნება მხოლოდ 2 იანვრისთვის იგეგმება - "იუტასთან" კალენდარულ მატჩში.

ამ სეზონში "დენვერის" პლეიმეიკერმა 25 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 17.5 ქულა და 5.8 შედეგიანი პასი დააგროვა.

## ლორბეკი სლოვენიის რჩეულია

სლოვენიის კალათბურთის ფედერაციამ წლის ლაურეატები გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, 2009 წლის საუკეთესო კალათბურთელად ცენტრალური თავდამსხმელი **ერაზემ ლორბეკი** დასახელდა. ის თავიდან მოსკოვის ცსკა-ში გამოდიოდა, სადაც რთული ბრძოლა მოიგო სასტარტო ხუთეულში მოსახვედრად და უმაღლეს დონეზე ითამაშა. ზაფხულში ლორბეკი "ბარსელონაში" გადავიდა და კატალონიური კლუბის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ესპანეთის ჩემპიონატში სლოვენიელი საშუალოდ 10.6 ქულასა და 4.3 მოხსნას აგროვებს, ევროლიგაზე ანალოგიური მაჩვენებლები კი 7.6 ქულასა და 3.5 მოხსნას უდრის.

წლის საუკეთესო მწვრთნელად **იურე ზდოვცი** დასახელდა, რომელმაც ევრობასკეტზე სლოვენიის ნაკრები მეოთხე ადგილზე გაიყვანა. ახლა ზდოვცი ლიუბლიანის "ოლიმპიას" უდგას სათავეში. საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა **ზორან დრაგიჩი** "გეოპლინიდან", საუკეთესო ლეგიონერი - **შონ კინგი** "ჰოპშიდან".

ჰოკეი

## ჩელიოსი არ ისვენებს

47 წლის ლეგენდარული ამერიკელი მცველი **კრის ჩელიოსი** არ აპირებს კარიერის დასრულებას. ამ სეზონში "დეტროიტ რედ უინგზის" ყოფილი ჰოკეისტი ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) "ჩიკაგო ვულვზის" ღირსებას იცავს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ვეტერანმა ახალი ხელშეკრულება გააფორმა "მგლების" ხელმძღვანელობასთან.

მიმდინარე სეზონში ჩელიოსმა AHL-ის ლიგაში 22 მატჩის გამართვა მოასწრო და 14 ქულა დააგროვა. "ჩიკაგო ვულვზი" NHL-ის ბინადარ "ატლანტა ტრეშერზის" ფარმკლუბი გახლავთ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2010

# ახალი წელი დაკარით იწყება




ტრადიციულად, ახალ სპორტულ წელს საჩოგბურთო ტურნირებთან ერთად „დაკარის“ ლეგენდარული რალიმარათონი ხსნის.

ზედიზედ მეორე წელია რალირეიდი სამხრეთ ამერიკაში იმართება - რბოლის მარშრუტი კვლავაც არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე იქნება გადებული. ისევე როგორც 2009 წელს, მარათონი დაიწყება და დასრულდება არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში, მაგრამ შარშანდელისგან განსხვავებით, რიგით 32-ე „დაკარის“ მარშრუტი პირიქით არის შედგენილი. ბუენოს აირესიდან გასული პილოტები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით აიღებენ გეზს - სწორედ ამ გზით ბრუნდებოდნენ ისინი შარშან ფინიშზე. ამას მოჰყვება ჩილეს გაუვალ გზებზე რბოლა და უკან, ბუენოს აირესში გამომგზავრება.

„დაკარი-2010“-ის საერთო დისტანცია ცხრა ათას კილომეტრს უდრის, რომელთაგანაც თითქმის ხუთი ათასი სპეციალურ მონაკვეთებზე მოდის, სადაც დროის კონტროლი ხორციელდება. რბოლის საზეიმო სტარტი ახალი წლის პირველივე დღეს არის დანიშნული, თუმცა დროის ათვლა 2 იანვრიდან დაიწყება, როცა მრბოლელები კოლონიდან კორდობამდე 250 კილომეტრი სიგრძის სპეცმონაკვეთს გაივლიან. რალის ფინიში 16 იანვარს შედგება. ტრადიციულად, რბოლის შუაში ერთი დღე დასვენებას დაეთმობა - პილოტები 9 იანვარს ჩილეს ქალაქ ანტოფაგასტაში დასცემენ ბანაკს. წინადღეს კი ავტო და მოტომრბოლელებს მარათონის ყველაზე გრძელი ეტაპის გავლა მოუწევთ - მისი სიგრძე 600 კილომეტრი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს „დაკარში“ გაცილებით ნაკლები მონაწილე იქნება, ვიდრე ერთი წლის წინ იყო. შარშან სამ დისციპლინაში 530 ეკიპაჟი იბრძოდა, წელს ეს რიცხვი 382-მდე შემცირდა. მოტომრბოლთა კლასში სტარტზე 190 (შარშან 230) მონაწილე გავა, მსუბუქი მანქანების კლასში - 140 (180) და სატვირთო მანქანების კლასში - 52 (82). ასეთია მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის გავლენა.

სპეციალისტები წინასწარ აცხადებენ, რომ ყველაზე საინტერესო მოტომრბოლთა შეჯიბრება იქნება. მარათონის ორგანიზატორები აპირებენ ბოლო მოუღონ ავსტრიული მარკის - KTM-ის მრავალწლიან ჰეგემონიას. სწორედ ამ ფირმის მოტოციკლებმა მოიგეს ბოლო რვა „დაკარი“. ზაფხულში გამოცხადდა, რომ ამიერიდან, „დაკარზე“ მხოლოდ ის მოტოციკლები დაიშვებიან, რომელთა ძრავის მოცულობა 450 კუბურ სანტიმეტრს არ აღემატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 690 კუბური სანტიმეტრის ძრავით აღჭურვილი KTM-ის მოტოციკლები უკანონოდ გამოცხადდა. ავსტრიულმა მარკამ მაშინვე გამოაცხადა, რომ მისი ფეხი აღარ იქნება „დაკარზე“. ამიტომაც მარათონის ორგანიზატორებს დათმობაზე წასვლამ მოუწიათ: 2010 წელს KTM-ის მოტოციკლებს სტარტზე გასვლის ნება დართეს, მაგრამ 690 კუბური სანტიმეტრის ძრავებს სპეციალურ რესტიქტორებს დაუყენებენ და ამით ძრავების სიმძლავრეს შეზღუდავენ.

ასე რომ, მომავალ „დაკარზე“ კვლავ ვიხილავთ ესპანელ **მარკ კომასა** და ფრანგ **სირილ დეპრეს** - წინა წლების რალირეიდის მთავარ კონკურენტებს. ორივენი სწორედ KTM-ის მოტოციკლებზე იქნებიან ამხედრებულნი. კომა ტრადიციულად ესპანური სანავთობო კომპანია „რეპსოლის“ ფერებში იქნება გადაწყვეტილი, დეპრე კი რალიში „რედ ბულის“ დახმარებით ჩაებმება. ამ მოტომრბოლებზე „დაკარში“ ორ-ორი გამარჯვება მოდის და ამჯერადაც სწორედ ისინი ითვლებიან მთავარ ფავორიტებად. შესაძლოა, რომელიმე მათგანმა მოიპოვოს ამ ლეგენდარულ მარათონში KTM-ისთვის ბოლო გამარჯვება, რადგან 2011 წლიდან 690 კუბური სანტიმეტრის ძრავით აღჭურვილ მოტოკიცლებს რბოლაზე აღარ დაუშვებენ...

თუმცა მხოლოდ კომა და დეპრე არ წარმოადგენენ „დაკარზე“ ავსტრიულ მარკას. სამხრეთ ამერიკაში KTM-ის ღირსებას კიდევ რამდენიმე მოტომრბოლი დაიცავს, მათგან ყველაზე ძლიერი ნორვეგიელი **პოლ-ანდერს ულევალსეტერი** გახლავთ.

იმის გამო, რომ KTM-ის ძრავებს სიმძლავრეს შეუზღუდავენ, ამ გუნდის წევრთა დავაში, შესაძლოა, 450 კ/სმ ძრავის მოტოციკლებზე მოასპარეზე პილოტები ჩაერიონ. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ფრანგი **დავიდე ფრეტენიე** „იამაჰადან“, რომელმაც გასულ წლებში გვარიანად ანერვიულა ავსტრიული გუნდის წევრები. ასევე უნდა აღინიშნოს მეორე ფრანგი - **დავიდ კასტო**, ვინც 2007 წელს მეორე იყო საერთო ჩათვლაში, შარშანდელი მარათონი კი მეოთხე ადგილზე დაასრულა. ამჯერად კასტომ ფრანგული მარკის - „შერკოს“ ახალი მოტოციკლი აირჩია. 2010 წლის „დაკარზე“ გამოვა საქარხნო გუნდი „აპრილია“, რომელიც ორ მოტოციკლს გამოიყვანს ჩილელი **ფრანსისკო ლოპესისთვისა** და იტალიელი **პაოლო ჩეჩისთვის**. კიდევ ერთი ძლიერი მონაწილეა ჰოლანდიელი **ფრანც ვერჰოევენი** - ის BMW-ის მოტოციკლზე „ამხედრდება“.

კრივი

# ჯუნგლებში ბრძოლა II

საინტერესო იდეა დაებადა სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონს, ბრიტანელ **დევიდ ჰეის**. მას WBC-ის ვერსიით საუკეთესო მოკრივესთან, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** აფრიკაში სურს ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩატარება. სკანდალური მოკრივის ჩანაფიქრით, ამ შეხვედრას გაბონმა უნდა უმასპინძლოს. ჰეის მენეჯერებმა უკვე დაიწყეს აფრიკის ამ ქვეყნის პრეზიდენტთან მოლაპარაკებები.

ბრიტანელი მოკრივის თქმით, ამ შეხვედრის ორგანიზებით ის ცნობილ „ჯუნგლებში ბრძოლას“ (Rumble in the Jungle) მიჰბაძავს. ასეთი სახელი უწოდეს ლეგენდარული **მოჰამედ ალისა** და **ჯორჯ ფორმენის** დაპირისპირებას, რომელიც 35 წლის წინ ზაირის (ამჟამინდელი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) დედაქალაქ კინშასაში გაიმართა. სხვათა შორის, მაშინაც ამერიკელი მოკრივეები WBA-სა და WBC-ის საჩემპიონო ქამრებისთვის იბრძოდნენ.

*„რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, ტიტული სამშობლოში დავიცვა, აგრეთვე ვიჩხუბო ლას ვეგასში, მაგრამ როგორც სუპერმძიმე წონის ჩემპიონ, მინდა მთელ მსოფლიოში ჩავატარო ბრძოლები. მოჰამედ ალი ყველამ „ჯუნგლებში ბრძოლით“ დაიმახსოვრა“*, - ამბობს ჰეი.

მაგრამ დევიდისთვის „ჯუნგლებში ბრძოლა“ ჯერ მხოლოდ ოცნებაა. უკრაინელთან შეხვედრამდე ბრიტანელს WBA-ის ტიტულის აუცილებელი დაცვა უწევს ამერიკელ პრეტენდენტ **ჯონ რუისთან**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




# ხომ გიყვართ კითხვა?

**ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე**

**„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!“**

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და მედია სახლ „პალიტრის“ კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა“

„ცხოველები“

„მსოფლიოს დიდი ატლასი“

ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების“ სერიის ხელმომწერი







**მედია სახლ „პალიტრის“ გამოცემები:**

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“**

www.elva.ge

☎ 38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს ხაზთუმო გაქრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.